პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.

ტელეფონები:)რედაქტორის 14—76
)მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კაპ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მან., ქალაქს გარეშე—1 მ. და 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირალდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ., განცხადებების მიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ოთხშაბათი, 4 ნოემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 254 (1409)

მარქსის სახ. საქართ. ... ბიბლიოთეკა

დღევანდელი ნომერი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

- რიზა-ხანმა მოწოდებით მიმართა საფრანგეთის ხალხს.
- გაიხსნა საფრანგეთის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ყრილობა.
- დრუზები და სირიელები ემზადებიან ფრანგებისათვის სასტიკი წინააღმდეგობის გასაწევათ.
- მოსკოვში გაიხსნა გერცენის სახელობის სახლი.
- ჩინეთ ი მდგომარეობა გამოურკვეველია.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები გლეხებს

პარტიის გადაწყვეტილება ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გლეხობაზე გადაცემის შესახებ უკვე ტარდება ცხოვრებაში. ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ეს გადაცემა უნდა ჩატარებულ იქნას არა უგვიანეს მომავალი წლის პირველ იანვრისა.

ამრიგად გლეხობის ტყით დაკმაყოფილების საკითხი დაკვრითი წესით უნდა იქნას მოგვარებული; დანიშნულ ვადამდი სულ ორიოდე თვე დაგვრჩენია. ზოგიერთ მაზრებში ტყეების გადაცემა ნაწილობრივად უკვე ჩატარებულია. დანარჩენ ადგილებში კი გაცხოველებული სამზადისი სწარმოებს ხელისუფლების დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

ამ დადგენილების თანახმად გლეხებს უბრუნდებათ ისეთი ტყეები, რომლებიც დღეს სახელმწიფო ფონდშია მოქცეული და რომელნიც წინათ მათ საკუთრებას წარმოადგენდენ. სოფელს უბრუნდება აგრეთვე ყოფილ მემამულეთა, კერძო პირთა და ეკლესიების ტყეები, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და რომლებიც ადგილობრივ მეურნეობასთან მჭიდროთ არიან დაკავშირებული.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები, თუ კი წინათ კომლობრივ საკუთრებას არ წარმოადგენდენ, გადაეცემა თემებს, სოფლებს, სასოფლო-სამეურნეო კომუნებს და გლეხთა სხვა სახის კოლექტივებს მათივე პასუხისმგებლობის ქვეშ. კერძო სარგებლობისათვის გლეხებს დაუბრუნდებათ ისეთი ტყეები, რომლებიც წინათ ცალკე კომლების საკუთრებას შეადგენდენ. მხოლოდ ეს დაბრუნება მოხდება ერთი პირობით: გადაცემულ ტყის შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს ოჯახის მეურნეობის მოთხოვნილებებს და ამნაირათ არ უნდა წარმოადგენდეს ვაჭრობისა და მოგების წყაროს.

ამრიგად პარტიისა და ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯი რომელიც მდგომარეობს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების გლეხებზე გადაცემაში, მიზნათ ისახავს სოფლის ნივთიერ აღორძინებას. ხე-ტყეს გლეხის მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. საბინაო მშენებლობის და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საკითხი ჩვენი სოფლის პირობებში თითქმის მთლიანად ხე-ტყეზეა დამოკიდებული.

დღემდი ტყით სარგებლობის, ნორმალურ ექსპლოატაციის საქმე ზევრათ მოიკოჭლებს. ზოგიერთ შემთხვევაში ტყის მზვერავებათ დაყენებული პირები დაცვის მაგიერ ხელს უწყობდენ თავის დაუდევრობით ან აშკარა ბოროტმოქმედებით ტყის უთავბოლო გაჩეხვა-განადგურებას. და ეს მაშინ, როცა გლეხობას ეკრძალებოდა ტყეში უბრალო ფიჩხის ან ვენახის სარის მოჭრა. ასეთ მდგომარეობას ამის შემდეგ ბოლო უნდა მოეღოს. სოფლებს გადაეცემა ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები თავის მეურნეობის მოთხოვნილების უსასყიდლოთ დასაკმაყოფილებლათ.

მაგრამ ეს გადაცემა კიდევ არ ნიშნავს, რომ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები სოფელს ეძლევა განუკითხავ მფლობელობაში და მას უფლება ენიჭება ისე მოექცეს ამ ტყეს, როგორც ამას მხოლოთ თვითონ მოისურვებს. საქმე იმაშია, რომ ჩვენი ქვეყანა ისედაც ღარიბია ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეებით. მიწის სივიწროვემ გაანადგურა მოსახლეობის ახლო მდებარე ტყეები. სახნავ-სათესის ძებნაში ასეულ წლობის განმავლობაში ის დაუზოგველათ ნადგურდებოდა. რაც დარჩა, განსაკუთრებულ მზრუნველობას და მოვლა-პატრონობას საჭიროებს. განადგურების საშიშროებისაგან კი დაზღვეული არაა ის ტყეებიც, რომელიც უკანასკნელ დადგენილების ძალით გლეხებს უბრუნდება მათი მეურნეობრივ საჭიროებისათვის. და ეს არა იმიტომ, რომ ამ განადგურების უარყოფით მხარეებს ვერ გრძნობს თვით ტყით მოსარგებლე გლეხობა, არამედ იმავე მიზეზის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ძველი გაუვალი ტყეები.

ამ შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლათ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყის ნაკვეთები გადაეცემა სოფელს ან გლეხთა რომელიმე ამხანაგობას საგანგებო ხელშეკრულებით, რომელიც გარკვეულ ვალდებულებებს აკისრებს ტყით მოსარგებლეს. იქ სხვათა შორის ნათქვამი იქნება, რომ ტყის ხარჯვა უნდა სწარმოებდეს ოჯახურ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ და სათანადო სამეურნეო გეგმის მიხედვით. გარდა ამისა, ტყით მოსარგებლეს ამავე ხელშეკრულების ძალით დაევალება გადაცემულ ტყის ცეცხლის, საქონლის და საზიანოთ ყოველივე მავნებლისაგან დაცვა. დაუშვებელია აგრეთვე ტყის ახოთ გაწმენდა და სახნავ-სათეს მინდვრათ აღება.

ამნაირათ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების სოფელზე გადაცემა არ გულისხმობს, რომ სახელმწიფო ხელს იღებს ამ ტყის მოვლა-პატრონობის საერთო ხელმძღვანელობაზე. პირიქით, ტყეების დაცვის საქმე ამის შემდეგ კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს, რადგან ხელისუფლებასთან ერთად ტყეს დარაჯათ ედგომება თვით ორგანიზაციებში გაერთიანებული მოსახლეობა.

გარდა იმისა, რომ სოფლისათვის ტყე უძვირფასეს საგანძურს წარმოადგენს, როგორც საამშენებლო მასალის მიმწოდებელი, მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტიქიურ უბედურებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. გვალვა, წყალდიდობა, მეწყერი და სხვა სახალხო უბედურება ხშირი სტუმარია სწორეთ იმ ადგილების, სადაც ტყე გაჩანაგებული და გაველანებულია.

ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების სოფელზე გადაცემის ჩასატარებლათ დიდი დრო აღარ დაგვრჩენია. საჭიროა ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარებასთან ერთად სწარმოებდეს ფართე პროპაგანდა მთავრობის დადგენილების მნიშვნელობის და იმ პირობების განსამარტავათ, რომელშიაც ეძლევა სოფელს დასახელებული ტყეები. საჭიროა სათანადო ორგანოების მთელი ძალების მობილიზაცია ამ დადგენილების დროულათ და უმტკივნეულოთ ჩასატარებლათ.

ინგლისელი მუშის ეკონომიური მდგომარეობა

არასოდეს ინგლისის ისტორიაში ინგლისელი მუშები არ ყოფილან ისეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორც დღეს. ასეთ მდგომარეობაშია ამჟამად ინგლისის თითქმის მთელი მუშათა კლასი, მაშინ როდესაც წინათ გაჭირვებას განიცდიდენ მხოლოდ უვარგისი მუშები. 1918 წლიდან თითქმის ყველა ინგლისელი მუშა დარჩენილა უმუშევრათ, მაშინ როდესაც წარსულში უმუშევრათ რჩებოდენ უვარგისი მუშები.

ამჟამად ინგლისში უმუშევართა რიცხვი შეადგენს 3.000.000 კაცს. მთავრობის უკანასკნელ სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, უმუშევართა რიცხვი უდრის 1.300.000 კაცს. ეს ციფრები მოჰყავდათ მენშევიკ-კარიერისტებს მუშათა პარტიის ლივერპულის კონფერენციაზე, რადგან მათთვის ხელსაყრელი არ არის სიმართლის თქმა მუშების ბრძოლის შესახებ, ან უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, მათ არ ესმით ეს ბრძოლა. მუშათა ლიდერები ისე ბურჟუაზიულათ სცხოვრობენ, ისე შორს არიან ბრძოლის და შრომის ასპარეზიდან, რომ მათ აღარ შესწევთ ძალა ანალიზი გაუკეთონ შექმნილ მდგომარეობას.

კაპიტალისტური სტატისტიკოსები სტყუიან; ისინი განზრახ სცდილობენ დაფარონ სინამდვილე. ტრედ-იუნიონების სტატისტიკური ცნობებიც კი ხელფასის შესახებ არ შეიძლება სწორათ ჩავთვალოთ, მუშათა ხელფასის სწორ ციფრას ისინიც არ იძლევიან. ინგლისელ მეჩექმეს მინიმალური ხელფასი კვირაში უდრის 24 მანეთს, მაგრამ 200.000 მეჩექმედან ინგლისში 10 პროცენტიც კი ვერ ღებულობს 24 მანეთს, — დანარჩენი 90 პროც. 16 მანეთზე მეტს ვერ აკეთებს კვირაში. მაგრამ გარდა ამისა, მუშა-მამაკაცმა კიდეც რომ გააკეთოს ყოველ კვირაში 24 მან., მაინც საშუალოთ კვირაში 4 დღის მუშაობით ის მიიღებს 16 მანეთს. ინგლისის მუშათა დიდი ნაწილი სწორედ 4 დღე მუშაობს კვირაში. ამგვარათ მათი მდგომარეობა უკეთესი არ არის, ვიდრე რუსეთის მუშის მდგომარეობა ამჟამად, ამასთანავე მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ცხოვრება ინგლისში უფრო ძვირია.

როგორ იხარჯება ეს 16 მანეთი— რას ყიდულობს იმით მუშა?

უწინარეს ყოვლისა, თვითეული მუშის ოჯახი იხდის 5 მანეთს ბინის, განათების და გათბობისათვის. ინგლისში არ იშოვება შავი პური და ინგლისელი მუშა იძულებულია 11 კაპიკი აძლიოს გირვანქა თეთრ პურში. და ამგვარათ ოჯახს, რომელიც შესდგება 5—6 სულისაგან, სჭირდება მხოლოდ პურისათვის 3—4 მანეთი კვირაში. ამნაირათ 16 მანეთიდან იხარჯება 8—9 მანეთი. შემდეგ მხედველობაში უნდა მივიღოთ ხორცი, რომელიც ინგლისში ფასობს 50—90 კაპ. გირვანქა, კარტოფილი—რომელიც ღირს 6 კაპ. გირ., კვერცხი—ათეული ღირს 80 კაპ., 2 კოლოფი ასანთი—8 კაპ., პაპიროსები ყველაზე დაბალი ხარისხის ღირს 32 კაპ.—20 ცალი, მაგრამ თუ თამბაქოს იყიდი გირვანქაში 6 მანეთი უნდა მისცე, რადგან ინგლისში დაბალი ხარისხის თამბაქო—„მახორკა“ არ იშოვება. ინგლისელ მუშის ბავშვს არასოდეს არ ეძლევა მთელი კვერცხი. ძალიან ხშირათ ერთი ორი კვერცხით კმაყოფილდება მთელი ოჯახი. ხორცს ჩვეულებრივ დღეებში ძალიან ცოტას ჰყიდულობენ. შედარებით მეტს ყიდულობენ კვირაობით. თვითეული ინგლისელი მუშა მოუთმენლათ ელოდება ამ დღეს და კვირის სადილი საუკეთესოა დანარჩენ დღეებთან შედარებით. მაგრამ ამ 16 მანეთიდან ინგლისელმა მუშამ უნდა შეიტანოს ავადმყოფობის, უმუშევრობის, სიკვდილისაგან დასაზღვევი, პროფკავშირთა საწევრო გადასახადი და სხვ. ფეხსაცმელი და მანუფაქტურა ინგლისში იაფია. მაგალითად მამაკაცის კოსტიუმი ღირს 33 მანეთი, ხოლო მამაკაცის ფეხსაცმელი—6 მანეთი. მაგრამ მუშას ყველა ზემოდ ჩამოთვლილ ხარჯების შემდეგ ბევრი აღარაფერი რჩება ტანსაცმელის შესაძენად. 1914 წლამდე ინგლისელ მუშას შეეძლო შეეძინა ახალი კოსტიუმი და ფეხსაცმელები წელიწადში ერთხელ—დღეს კი ის ბედნიერათ ჩასთვლის თავის თავს, თუ 2—3 წელიწადში ერთხელ შეიძენს ყველაფერ ამას.

ინგლისელი მუშა სცხოვრობს ნისიაზე.

საშობაოთ ინგლისელ მუშების უმრავლესობა წინდაწინ იღებს ერთი კვირის და ზოგჯერ 2—3 კვირის ხელფასს. 3—4 დღის შემდეგ მუშას აღარ აქვს არც ფული და არც პროდუქტები და აი ის იძულებულია წავიდეს დუქანში და ითხოვოს პროდუქტები ნისიად. ის იხდის წამოღებულ პროდუქტისათვის 40 კაპიკს ყოველ კვირის ხელფასიდან, მაგრამ ვერ ასწრებს საშობაო ნისიების გასტუმრებას და ხელახლა იძულებულია წამოიღოს ნისიად აღდგომის დღესასწაულისათვის. რამდენიმე კვირის შემდეგ დგება სამების დღესასწაული და კიდევ რამდენიმე კვირის შემდეგ აგვისტოს დღესასწაულები. ამნაირად მთელი წლის განმავლობაში 4—8 თვემდე მუშა არავითარ ხელფასს არ იღებს. ამას უნდა მიუმატოთ სამუშაო დროის შემოკლება. ომის შემდეგ ინგლისში სამუშაოს ნაკლებობაა და ხშირად ინგლისელი მუშა მუშაობს ქარხანაში 2—3 ან 4 დღე კვირაში.

ინგლისელი მუშა იშვიათად დადის მატარებლით. რუსეთში რკინისგზების სადგურები ყოველთვის სავსეა მუშებით და გლეხებით, ინგლისში კი სადგურები სავსეა მხოლოდ ბურჟუებით, რადგან ყოველი ვერსის გავლა მატარებლით ღირს 4 კაპიკი. აი ინგლისის მუშის ყოველდღიური ცხოვრების სურათი; ასეთი ცხოვრება უფრო მძიმეა, ვიდრე რუსეთის მუშის და გლეხის, რომლებიც ფიზიკურად უფრო ჯანსაღები არიან, ვიდრე ინგლისელი მუშა. რომ მივსცეთ წინადადება, მე დარწმუნებული ვარ, რომ ინგლისის მუშები ათასობით დასთანხმდებიან რუსეთში წასვლაზე. რუსეთში ცხოვრება ჯერ კიდევ მძიმეა, მაგრამ იქ მუშები დაჩაგრულები აღარ არიან, ისინი აღარ განიცდიან შეურაცხყოფას კაპიტალისტების მხრივ.

რამდენ ხანს იცხოვრებს ინგლისელი მუშა ასეთ პირობებში? თუ სიმართლეს ვიტყვით, მას შეეძლო დღესაც არ ყოფილიყო ასეთ პირობებში, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ინგლისის მუშათა მასას აღარ სჯერა თავის ბელადების.

ამას ამტკიცებს არაოფიციალურ (ტრედიუნიონების მიერ დაუდასტურებელი) გაფიცვათა რიცხვი, უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში ამ გაფიცვების დროს მუშები უარს აცხადებდენ თავიანთ ბელადების ხელმძღვანელობისათვის დამორჩილებაზე. ჩვენ დიდი ხანი ველოდებით ინგლისში მუშების და კაპიტალისტურ კლასის შეტაკებას. ჩვენ ძალიან მივუახლოვდით ამ კონფლიქტს 1921 წელს, მაგრამ მენშევიკებმა თავიდან აიცილეს კონფლიქტი და მოატყუეს მუშები. დღეს კონფლიქტი ხელახლა მზადდება და რამდენიმე თვის შემდეგ იგი ფაქტი იქნება. კაპიტალისტებმა იციან ეს და ცილს სწამებენ კომუნისტებს იმაში, რომ ისინი ხელს უწყობენ ამ კონფლიქტს, მაგრამ სკარბოროს ყრილობაზე რამდენიმე კვირის წინად გამომუშავებული იქნა საბოლოო გეგმები და მიიღეს გადაწყვეტილება ამ კონფლიქტის შესახებ. როდესაც ეს კონფლიქტი მომწიფდება, ეს იქნება სასიხარულო ახალი ამბავი რუსეთის გაზეთებისათვის, რადგან ასეთი კონფლიქტი მოასწავებს ინგლისში რევოლიუციის დაწყებას.

გარრი ტუზუდ.

მიმდინარე წლის გაწვევა სამხედრო სამსახურში

1902 წელში დაბადებულ წითელარმიელების უვადო შვებულებაში დათხოვნის გამო, ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნენ 1903 წელში დაბადებული წითელარმიელები და 1901 წელში დაბადებული ის მოქალაქენი, რომელთაც ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის დროს მიცემული შვებულების ვადა გაუთავდათ.

1 ოქტომბრიდან მთელ საბჭოთა საქართველოში გაცხოველებით მუშაობდენ გამწვევი კომისიები დილიდან-საღამომდე, რათა შემოწმებაში გაეტარებიათ ყველა გამოცხადებული მოქალაქეები.

25 ოქტომბერს კომისიებმა დაასრულეს მუშაობა, გაწვეულთა შესამოწმებლად ამა თუ იმ სახის ჯარისათვის მათი ვარგისიანობის გამოსარკვევად და სათანადო შეღავათების მისაცემად იმ გაწვეულთათვის, რომლებმაც ვერ მოასწრეს წარმოედგინათ საბუთები შეღავათის უფლების მისაღებათ.

მიუხედავათ მიღებულ ღონისძიებათა, როგორც, მაგალითად: ყველა დასახელებულ პუნქტებში განცხადებების გამოკიდება არსებულ შეღავათების და მათი მიღების წესის შესახებ, კრებების გამართვა სოფლებში, რომლის დროსაც სოფლელებს უმარტავდენ არსებულ შეღავათებს და იმ დოკუმენტებს, რომელიც მათ უნდა წარადგინონ სამაზრო სამხედრო კომისარიატებში, მიუხედავათ ამისა მაინც აღმოჩნდენ ბევრი მოქალაქენი, რომელთაც არ მოისურვეს ან ვერ მოასწრეს გამოერკვიათ შეღავათების უფლება ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით.

ამიტომ გამწვევ კომისიებს უხდებათ ამჟამად გაარჩიონ ამ მოქალაქეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები.

ახალ გაწვეულების გამოცხადებას ჰქონდა ყველგან ორგანიზაციული ხასიათი, გაწვეულები მწყობრი რიგებით სიმღერით, და წითელი დროშებით ცხადდებოდენ შესაკრებ პუნქტებში.

იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი გაწვეულები უარს ამბობდენ მინიჭებულ შეღავათებზე, რადგან უნდოდათ სამხედრო სამსახურში მოხვედრა და წერა-კითხვის სწავლა.

გამწვევ კომისიებში გატარებულ პირებს ეძლეოდათ მოკლევადიანი შვებულება 5, 7 და 9 ნოემბრამდე. 5 ნოემბრიდან იწყება შესაკრებ პუნქტებში გაწვეულთა დაბრუნება. თუმცა კომისიაში ჯერ არ გატარებულან ა/წ. შემოდგომაზე სამხედრო სამსახურში ყველა გაწვეულები, მაგრამ საკმარისად გამოირკვა, რომ უშეღავათო გაწვეულთა რიცხვი არა თუ საკმარისია ქართული დივიზიის საკადრო შემადგენლობის შესავსებათ, არამედ რჩება ზედმეტი, რომელიც ჩარიცხული იქნება ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში.

ცვალებად შემადგენლობაში ჩარიცხული იქნებიან აგრეთვე მესამე ხარისხის შეღავათის და ნაწილობრივ მეორე ხარისხის მქონე პირები. 1-ლ ხარისხის შეღავათების მქონე პირები არ იქნებიან არც ქართულ დივიზიის საკადრო შემადგენლობაში, არც ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში. იმისათვის, რათა გამოირკვეს, თუ რომელმა უშეღავათო გაწვეულებმა უნდა გაიარონ სამხედრო სამსახური ქართული დივიზიის საკადრო შემადგენლობაში, მოწყობილი იქნება კენჭის ამოღება ამა წლის 5 ნოემბრიდან.

კენჭს ამოიღებენ თვით გაწვეულები და, თუ უკანასკნელები არ დაესწრენ, კომისიების თავმჯდომარეები.

ამგვარად მთელ საბჭოთა საქართველოში ოჯახური მდგომარეობის მიხედვით შეღავათების, თუნდაც მე-3 ხარისხის შეღავათის, მქონე პირებს საშუალება ეძლევათ განთავისუფლდენ ქართულ დივიზიის საკადრო შემადგენლობაში სამსახურისაგან. შეღავათის მქონე პირები გაივლიან სამსახურს ტერიტორიალურ ნაწილების ცვალებად შემადგენლობაში იმ რაიონში, სადაც ისინი სცხოვრობენ და ამგვარად მათ საშუალება ეძლევათ თავისი შრომით არჩინონ თავიანთი ოჯახის წევრები. ცვალებად შემადგენლობაში მყოფი პირები გადიან სამსახურს ტერიტორიალურ ნაწილებში პირველ წელს 2—3 თვე, მეორე წელს—არა უმეტეს 2 თვისა, მესამე წელს 1 თვე და ასე ამგვარად. ხოლო დანარჩენი დრო ისინი თავისუფალი არიან და იმყოფებიან თავიანთ სახლში.

სამხედრო სამსახურის კანონის თანახმად, წითელ არმიაში განსაკუთრებულ შეღავათიან პირობებში შედიან უმაღლეს სასწავლებელთა, ტეხნიკუმების, მე-2 საფეხურის სკოლების კურსდამთავრებულები. ყველა ისინი იგზავნებიან მუშურ-გლეხურ წითელი არმიის საკადრო შემადგენლობაში, ამასთანავე გადიან სამსახურს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, რის შემდეგ მათ საშუალება ეძლევათ ჩააბარონ გამოცდები და ჩაირიცხონ საკომანდო შემადგენლობის სათადარიგო ნაწილში.

მეორეთ სამსახურში გაწვევის დროს ისინი გაწვეული იქნებიან, როგორც საკომანდო შემადგენლობა.

უნდა ვიფიქროთ, რომ არმიაში აღნიშნულ პირთა კატეგორიის გაწვევით, აწეული იქნება წითელარმიელთა კულტურული დონე და საბოლოოთ მოისპობა მათ შორის წერა-კითხვის უცოდინარობა.

გაწვეულთა შორის წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი შეადგენს 75 პროც., დანარჩენები წერა-კითხვის უცოდინარი არიან. ამ მიზნით, რათა წერა-კითხვის უცოდინართა პროცენტი დაყვანილი იქნეს ნოლამდე, საჭიროა დიდი და ხანგრძლივი მუშაობა ყაზარმებში და ყაზარმების გარეთ.

გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ 1926 წელს ჩვენ ავიღებთ რეკორდს ყოველმხრივ: გაუმჯობესებული იქნება წითელარმიელთა შემადგენლობის ხარისხი სათანადო შერჩევით და აგრეთვე წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრება—კვების, ბინის, მოწყობილობის მხრივ და წერა-კითხვის მცოდნეთა 100 პროცენტამდე აყვანით.

წითელარმიელთა ხარისხის შერჩევის მხრივ მიღებულია ყოველგვარი ზომები სამაზრო-სამხედრო კომისარიატების მიერ, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად მიღებული იქნება ზომები პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს მიერ.

რაც შეეხება წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას, საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინება იძლევა იმის გარანტიას, რომ 1925 წელში გაწვეული წითელარმიელები ჩაყენებული იქნებიან გაცილებით უკეთეს პირობებში, ვიდრე წინად გაწვეული წითელარმიელები.

მაშ, ახლად გაწვეულებო, კეთილი იყოს თქვენი სამსახურში მოსვლა!

ჟღენტიშვილი.

ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო

სამგლოვიარო სხდომა მოსკოვის დიდ თეატრში

სხდომის გახსნა

მოსკოვი, 3 ნოემბ. 2 ნოემბერს დიდი თეატრის დარბაზში შესდგა საკავშირო და რუსეთის ცაკის, საკავშირო და რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს, საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს, მოსკოვის საბჭოს, საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს, მოსკოვის საგუბერნიო პროფსაბჭოს, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების წარმომადგენლების, რ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, რ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საკონტროლო კომისიის, რუს. ახ. ლენ. კომკავშირის ცეკას და მოსკოვის კომიტეტის და წითელი არმიის ნაწილების წარმომადგენელთა სამგლოვიარო სხდომა ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად.

პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: კალინინი, სტალინი, რიკოვი, კამენევი, კრუპსკაია, ბუდიონი, უნშლიხტი, ტომსკი, მოლოტოვი, ენუკიძე, ციურუპა, იაროსლავსკი, ზინოვიევი, პეტროვსკი, ბუბნოვი, ვოროშილოვი, სმირნოვი, მიხაილოვი, კუიბიშევი, ვასილიევი და ბუხარინი.

ამხ. კალინინის სიტყვა

კალინინი მიმართავს კრებას შემდეგი სიტყვით:

„ბოლშევიკები ასობით და ათასობით თავდადებულად იღუპებოდენ ბრძოლაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ასობით და ათასობით სცილდებოდნენ პარტიის სუსტი ნებისყოფის მატრონი წევრები და შეგვრჩა მხოლოდ ბოლშევიკების ერთი [illegible] ნაწილი, რომელიც გამოიბრძმედა, გაკაჟდა ბრძოლებში და შეიმუშავა [illegible] ნებისყოფა. ამ [illegible] წევრთა კატეგორიას ეკუთვნის ამხ. ფრუნზე. ფრუნზეს ბიოგრაფია უნდა იყოს მაგალითი ჩვენი კომუნისტური ახალგაზრდობის აღზრდის, მომზადებისა და ბოლშევიკურად გამობრძმედისათვის.

ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ: „ფრუნზემ ღირსეულად და თავდადებულად გაიარა თავისი ცხოვრების გზა. დეე მსუბუქი იყოს მისთვის მიწა. დეე მისი ცხოვრება მაგალითი იყოს ახალგაზრდა ამხანაგებისათვის“.

ამხანაგებო, გთხოვთ ფეხზე ადგომით პატივი სცეთ მიხეილ ვასილისძეს ხსოვნას“.

ყველანი დგებიან. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

ამხ. კამენევის სიტყვა

რ. კ. პ. ცეკას და საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით გამოდის კამენევი, რომელიც ლაპარაკობს:

„ბოლშევიკების პარტიის ცეკამ და საკავშირო მთავრობამ დამავალეს მე უთხრა უკანასკნელი „მშვიდობით“ მიხეილ ვასილისძე ფრუნზეს.

ვდგევართ რა მისი ცივი კუბოს წინაშე, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ კუბოში განისვენებს პროფესიონალურ რევოლიუციონერ - პროლეტარულ საქმის ერთ ერთი საუკეთესო წარმომადგენელთაგანი, ერთი იმათგანი, ვინც ათეულ წლების განმავლობაში ვლადიმირ ილიჩის ხელმძღვანელობით რაზმავდა პროლეტარულ ძალებს, აკავშირებდა მათ, და საჭირო მომენტში მოუწოდა მათ ბრძოლისაკენ, არ შეუშინდა პირველ დამარცხებებს, გადაიტანა ნგრევის წლები, აამხედრა კვლავ მუშათა არმია, წაიყვანა ის გამარჯვებისაკენ და განუწყვეტელ ბრძოლებით განამტკიცა ეს გამარჯვება.

ფრუნზეს ცხოვრება—ეს არის რუსეთის მუშათა კლასის ისტორია, პროლეტარიატის აჯანყებების, პროლეტარული რევოლიუციის ისტორია. მისი ბიოგრაფია—ეს არის მუშათა კლასის ბიოგრაფია. მისი წარმატებები—მუშათა კლასის წარმატებებია. მისი გამარჯვება მუშათა კლასის გამარჯვებაა.

მხოლოდ მუშათა კლასს შეეძლო შეექმნა ასეთი განსაცვიფრებლად გმირული ფიგურა, მხოლოდ რევოლიუციის ისტორიას შეეძლო მოეცა ასეთი სახელოვანი დიდი მებრძოლი, რომელსაც შეეძლო ემუშავა ვიწრო მუშათა წრეში არალეგალურ პირობებში და გადაეჭრა მსოფლიო რევოლიუციის დიდმნიშვნელოვანი საკითხები, ამხანაგი, რომელიც თავის ადგილას იყო ქ. შუის მუშათა დეპუტატების საბჭოშიაც და კომინტერნის აღმასკომშიაც.

ჩვენ უფრო სუსტნი გავხდით ფრუნზეს დაკარგვით, მაგრამ მუშათა კლასი უძლეველია, კომუნისტური პარტიის ძალა უძლეველია. მსოფლიო რევოლიუციის მსვლელობას, რომელიც მიმართულია იმ იდეების გამარჯვებისაკენ, რომლისათვისაც იბრძოდა მიხეილ ვასილის ძე, ვერაფერი ვერ შესცვლის.

მიხეილ ვასილის ძის თავახდილ კუბოსთან ჩვენ უნდა უთხრათ ჩვენს თავს, რომ კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენს რიგებს. მის კუბოს წინაშე ჩვენ ვეუბნებით ჩვენი კავშირის პროლეტარებს: „მაღლა გეჭიროთ პროლეტარული დროშები“. მივმართავთ რა წითელ არმიას, ჩვენ ვამბობთ: „ამხანაგო წითელარმიელებო მტკიცედ გეჭიროთ ხელში ვინტოვკები. ბრძოლები—წინ არის. თქვენი სამხედრო უფროსის —ფრუნზეს, მისი იდეების ხსოვნით, მისი დროშების ქვეშ ჩვენ წავალთ გამარჯვებისაკენ“.

ამხ უნშლიხტის სიტყვა

კამენევის შემდეგ სიტყვას ამბობს უნშლიხტი.

„როგორ უნდა შევხვდეთ ჩვენ ამ დანაკლისს?

ჩვენი კავშირის, მთელი ჩვენი ქვეყნის მუშათა და გლეხთა მთავრობის, მუშათა კლასის ავანგარდის —რუსეთის კომუნისტურ პარტიის და მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე წითელი არმია სდებს ფიცს განაგრძოს თავისი წინამძღოლის ფრუნზეს საქმე მუშურ-გლეხურ წითელი არმიის ძლიერების განსამტკიცებლად.

ამხ. ტომსკის სიტყვა

სიტყვა ეძლევა ტომსკის, რომელიც ამბობს:

„კიდევ ერთი დანაკლისი ძველი ლენინური გვარდიის რიგებში! თანდათან წვებიან სამარეში ლენინის უძლეველ გვარდიის ძველი მებრძოლები.

პარტიის, პროფესიონალურ კავშირების, მუშათა კლასის ამოცანას შეადგენს პროლეტარიატის მოწინავე რიგებს მისცენ ახალი გაბედული მებრძოლები, აღზარდონ პროლეტარების ახალი ძალები და მოამზადონ ისინი სახელმწიფოსათვის ხელმძღვანელობის გასაწევად“.

კლარა ცეტკინის სიტყვა

შემდეგ კომინტერნის სახელით გამოდის კლარა ცეტკინი, რომელიც აღნიშნავს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის სიმპატიას ფრუნზეს მიმართ.

ამხ. პეტროვსკის სიტყვა

პეტროვსკი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ ფრუნზეს ხსოვნა საუკუნოდ დარჩება უკრაინის მუშათა და გლეხთა გულში.

შემდეგ სიტყვას ამბობს კრინიცკი—ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის სახელით, ლიუბიმოვი—მოსკოვის საბჭოთა, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების სახელით, ბარანოვი—ფრუნზეს თანამებრძოლი არალეგალურ მუშაობის დროს ივანოვო-ვოზნესენსკში, მუშა ქალი ზუიდან-კუკინა, უკრაინის სამხედრო ოლქის კომანდირის მოადგილე ავქსენტევსკი.

ბოლოს სიტყვას ამბობს თარხს-ლავსკი ძველი ბოლშევიკების სახელით.

ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად

მოსკოვი, 3 ნოემბ. 1 ნოემბერს მოსკოვის კლუბებში, ფაბრიკებსა, ქარხნებში, კინო-თეატრებში და უმაღლეს სასწავლებლებში გაიმართა სამგლოვიარო მიტინგები ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად.

მთელ საბჭოთა კავშირიდან

მოსკოვი, 3 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკმა, სახალხო კომისართა საბჭომ, საბჭოთა რუსეთის ცაკმა და სახ. კომისართა საბჭომ, ფრუნზეს გარდაცვალების გამო მიიღეს სამძიმრის დეპეშები უკრაინის, უზბეკისტანის, ტაჯიკისტანის, გერმანელების რესპუბლიკის, ბელორუსიის აზერბეიჯანის, დაღესტანის, აჭარისტანის და ყაზახისტანის მთავრობებისაგან.

რუსეთის ცაკის დეპეშა ფრუნზეს ოჯახისადმი

მოსკოვი, 3 ნოემ. კალინინის წინადადებით, სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ფრუნზეს ოჯახს.

ფრუნზეს კუბოზე

მოსკოვი, 3 ნოემ. 1 ნოემბერს ფრუნზეს კუბოზე დადებული იქნა გვირგვინები კომინტერნის აღმასკომისაგან, რუსეთის კომპარტიის ცეკას, მოსკოვის საბჭოს და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებისაგან.

სამეცნიერო აკადემიის წარმომადგენელი

ლენინგრადი, 3 ნოემბ. სამეცნიერო აკადემიის პრეზიდიუმმა დაავალა აკადემიის მუდმივ მდივანს აკადემიკოს ოლდენბურგს აკადემიის სახელით დაესწროს ამხ. ფრუნზის დასაფლავებას.

უცხოელების სამძიმარი

სხვადასხვა სახელმწიფოებისაგან

მოსკოვი, 3 ნოემბ. გარეშე საქმეთა სახ. კომისრის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი შეუწყვეტლივ იღებს სამძიმრის წერილებს ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო. მიღებულია წერილები: საფრანგეთის ელჩი—ერბეტიდან, გერმანიის საქმეთა რწმუნებულ. გაისგან, ჩინეთის დიპლომატიურ მისსიის ხელმძღვანელ—ლიო-ტიაოდან და ავსტრიის ელჩისაგან. სამძიმარი გამოსთქვეს აგრეთვე შვეციის ელჩმა გეიდენშტამმა, ნორვეგიის ელჩმა ურბიმ, დანიის ელჩმა სკაუმ, ესტონიის რწმუნებულმა იოგამ, საბერძნეთის რწმუნებულმა კოკოტაკიმ, და იტალიის დიპლომატიურმა მისსიამ.

ქემალ-ფაშას დეპეშა

მოსკოვი, 3 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ კალინინმა მიიღო ანგორიდან მუსტაფა-ქემალ-ფაშასაგან შემდეგი სამძიმრის დეპეშა: „დიდი მწუხარება გამოიწვია ჩემში ცნობამ ჩვენი პატივცემული მეგობრის—ფრუნზეს გარდაცვალების შესახებ. მწუხარებას, რომელსაც განიცდის საბჭოთა კავშირის ხალხი ამ დანაკლისის გამო, სავსებით იზიარებს ოსმალეთის ხალხი. მიიღეთ ჩემი ღრმა თანაგრძნობა“.

კანტონის არმიის გენერალი სიმუსი ფრუნზეს კუბოსთან

მოსკოვი, 3 ნოემბერი. კანტონის არმიის გენერალი სიმუსი ხუ-ხან-მინი რომელიც ამჟამად იმყოფება მოსკოვში, კანტონის დელეგაციის დანარჩენი წევრების თანხლებით გამოცხადდა კავშირთა სახლის დარბაზში, სადაც დასვენებულია ფრუნზეს ცხედარი.

კუბოსთან მიახლოვებისას დელეგაციის წევრებმა ჩინური ადათის მიხედვით რამდენიმეჯერ თავი დახარეს ცხედრის წინაშე და წყნარად გამოვიდენ დარბაზიდან.

თბილისი ამხ. ფრუნზეს დასაფლავების დღეს

ნოემბრის ღრუბლიანი დღე.

შემოდგომის ქარი ისევ აფრიალებს თბილისის ქუჩებზე მწუხარების და გლოვის დროშებს.

დღეს საბჭოთა კავშირის დედა ქალაქში კრემლის კედლის ძირას ასაფლავებენ წითელ ლაშქრის შემქმნელს და უბადლო წინამძღოლს.

გლოვობენ საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა მასსები.

წითელი არმია ჭირისუფლობს ამხ ფრუნზეს, რომლის მაგარმა ხელმა და უდრეკმა ნებისყოფამ მისცა მას—წითელ ლაშქარს რკინისებური გამძლეობა და შეუპოვარი ბრძოლის წყურვილი თავისუფლებისათვის.

დღეს თბილისის ქუჩებზე გამოსულა წითელი ლაშქარი, რომ უკანასკნელი გამოსათხოვარი „მშვიდობით“ გადასძახოს თავის ძვირფასს მიცვალებულს, რომელსაც დღეს მიიბარებს შორეული, მაგრამ საყვარელი დედა-ქალაქის — მოსკოვის მიწა.

ამ მწუხარების დღეს წითელარმიელებთან არიან მუშებიც,—მრავალათასიან ორგანიზაციების წარმომადგენლნი.

მუშა, გლეხი და წითელარმიელი თანაბრად გლოვობს დაკარგულ ბელადს, ყოველი მათგანი ერთგვარად გრძნობს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს შორდება საუკეთესო მზრუნველი და დამცველი.

მაგრამ არც ერთ მათგანს არ აზის ნიშანი სასოწარკვეთილებისა და უიმედობის, რადგან სჯერათ, რომ ამხ. ფრუნზე ცოცხალია წითელ არმიაში, ამხ. ფრუნზე უკვდავია წითელი ლაშქრის სიმტკიცეში.

ნოემბრის ცივი ქარი აფრიალებს გლოვის დროშებს. მოწოლილი ძლიერი ქარი ვერ ხრის მაღლა ამართულ ბაირაღებს.

წითელარმიელთა, მუშათა და ახალგაზრდათა რაზმები დგანან და ელიან იმ საშინელ წუთს, როცა ატირდებიან ქარხნის საყვირები, დაიგრიალებს ზარბაზნების სალიუტი და დაიხრებიან სივრცეში აღმართული დროშები, დაიხრებიან დროშები, რომელნიც ვერ დახარა სამოქალაქო ბრძოლების ქარმა, ვერ დახარა ნოემბრის ქარის ძლიერმა ქროლამ.

დგანან და ელიან უხმოდ, დუმილით.

ქალაქის საათის ციფერბლატზე ისარი ნელ ნელ უახლოვდება საბედისწერო წერტილს.

და მალე ქალაქის საათი რეკავს ორჯერ. ყრუანტელი უვლის ყველას. ბოხი ხმით ყვირიან ზარბაზნები, კივიან საყვირები, კვნესიან მუსიკის ჰანგები. ამ გლოვის ხმებს იმეორებენ თბილისის რუხი კლდეები. სულგანაბული და თავჩაქინდრული დგანან მოქალაქეები.

დახრილია დროშები მოედანზე, დახრილია წითელი დროშები სასახლეებზე. რამოდენიმე წამს შეჩერდა ყველგან გრდემლის და ჩაქუჩის რაკუნი, შეჩერდა ყველგან მუშის შემომქმედი ხელი.

შესწყდა ქალაქში ყოველგვარი მოძრაობა. დგანან ტრამვაის რონოდები, ეტლები და ავტომობილები.

მშვიდობით, — დიდო ამხანაგო, ფიქრობს ყოველი მათგანი წინამძღოლზე, რომელსაც ამ წუთში სდებენ ცივ მიწაში.

მიდიან წუთები. ბელადის ცხედარი დაიფარა მიწის ბელტებით.

მუშა ისევ უბრუნდება ჩაქუჩს და გრდემლს. კვლავ ახლდება მუშის ახალი ცხოვრების შესაქმნელად.

მოკვდა ამხ. ფრუნზე! გაუმარჯოს ახალ ცხოვრებას.

კინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსერვატორების მთავრობა „სადარაჯოზე“

ინგლისის კომპარტიის გავლენა დღითი-დღე იზრდება

ლიბერალების უკმაყოფილება ხიქსის პოლიტიკით

ლონდონის მუშათა უბნის მუნიციპალურმა საბჭომ გამოიტანა საპროტესტო რეზოლუცია კომუნისტების დაპატიმრების წინააღმდეგ

ფონდის დაარსება კომუნისტების დახმარების მიზნით

მუშების საპროტესტო რეზოლუცია

ლონდონი, 2 ნოემბ. ლონდონის მუშათა უბნის პოპლარის მუნიციპალურ საბჭომ გამოიტანა საპროტესტო რეზოლუცია კომუნისტების დაპატიმრების წინააღმდეგ. რეზოლუციაში ნათქვამია, რომ კომუნისტების დევნას მოჰყვება რეპრესიები საერთოდ მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. რეზოლუციის ასლი გაეგზავნა ბალდვინს, ჯონსონ ხიქსს და მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

ასეთივე რეზოლუციები მიღებულ იქნა მთელ რიგ პროფკავშირების, პროფსაბჭოების ადგილობრივ განყოფილებებში და სხვა ორგანიზაციების მიერ.

მოწოდება მუშებისადმი

ლონდონი, 2 ნოემბ. დევისმა, რომელიც თავმჯდომარეობდა უკანასკნელ კოოპერატიულ ყრილობაზე, გამოაქვეყნა მუშათა პარტიის ორგანო „დეილი გერალდ“-ში წერილი, რომელშიაც სვამს კითხვას — ფიქრობს თუ არა მუშათა პარტია და გაზეთის რედაქცია თანხების შეგროვებას კომუნისტების დაცვის ფონდის სასარგებლოდ.

შენიშვნაში, რომელსაც უკეთებს რედაქცია წერილს, ნათქვამია, რომ ასეთი ფონდი უკვე არსებობს „რემიდას“-თან, სადაც უნდა გაიგზავნოს ყველა შემოწირულებანი.

საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

ბანკეტი სრულუფლებიან წარმომადგენლობაში მექსიკაში

მექსიკა, 2 ნოემბ. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში შესდგა ბანკეტი ინგლისის თემთა პალატის მუშათა პარტიის ფრაქციის წევრების პერსელის და სმიტის საპატივცემლოდ. ბანკეტს დაესწრენ მექსიკის შრომის რევოლუციონური ფედერაციის, მექსიკის კომპარტიის, რკინისგზელების კავშირის, იმპერიალიზმის მოწინააღმდეგების ლიგის და სხვ. წარმომადგენლები.

საფრანგეთის „სოციალისტები“

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საბჭოში

პარიზი, 2 ნოემბერი. საფრანგეთის სოციალისტური პარტიის საბჭოს უკანასკნელმა სხდომამ პარტიის წევრებს უფლება მისცა ითანამშრომლონ ბურჟუაზიულ გაზეთებში.

დადგენილ იქნა აგრეთვე გამოიცეს პარტიის თეორეტიული ჟურნალი.

დიდი შეჯახება გამოიწვია 1924 წელს პარტიიდან გამორიცხულ ფროსარის ჟურნალის რედაქტორად დანიშვნამ: გრუმბახმა და პრესმანმა სასტიკად გაილაშქრეს ფროსარის წინააღმდეგ, რომელსაც დააბრალეს განხეთქილების შეტანა პარტიაში, რასაც ადგილი ჰქონდა 1920 წელს ტურის კონგრესზე, რომელზედაც სოციალისტურ პარტიას გამოეყო მემარცხენე ფრთა და რომელიც შემდეგში იქცა საფრანგეთის კომუნისტურ პარტიად.

რა ხდება ჩინეთში

ორივე მხარეები გამარჯვებულებია

პეკინი, 2 ნოემბერი. სასტიკი ცენზურის წყალობით ფრონტებზე ნამდვილი მდგომარეობის გამორკვევა შეუძლებელი ხდება. ორივე მხარე თავს გამარჯვებულად სთვლის: ჩჟილიის ჯგუფი ამტკიცებს, რომ მუკდენის ჯარები გაიქცნენ სუ-ჩჟოუდან ჩრდილოეთის მიმართულებით მაშინ, როდესაც სხვა დეპეშები იუწყებიან, რომ მუკდენის ჯარებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს პემპუ და სუჩოუ—სუჩჟოუფუს სამხრეთით. ჩინეთის ჯარები თავს იყრიან ტიან-ძინის მახლობლად, სადაც გაიგზავნა 15 აეროპლანი.

ჩჟან-ძო-ლინის მოლაპარაკება ფინ-იუი-სიანთან

პეკინი, 2 ნოემბერი. პრესის ცნობების თანახმად, ფინ-იუი-სიანმა და ჩჟან-ძო-ლინმა უკვე დანიშნეს თავიანთი წარმომადგენლები მოლაპარაკების საწარმოებლად. მოლაპარაკება ახლო მომავალში დაიწყება პეკინში.

„აზრის თავისუფლების აღსასრული“

ლონდონი, 2 ნოემბ. ბრეილსფორდი დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყოველკვირეულ ორგანო „ნიუ ლიდერ“-ში აღნიშნავს, რომ კომუნისტების დევნა მიმართულია არა მოქმედების, არამედ პოლიტიკური მრწამსის წინააღმდეგ, რაც ნიშნავს აზრის თავისუფლების დევნას. თუ მთავრობა ლოღიკურად გაჰყვება დევნის პოლიტიკას და კომუნისტების შემდეგ დაუწყებს დევნას სხვა მემარცხენე პარტიებსაც, ასეთი საქციელი რამოდენიმე თვეში უფრო მეტად შეუწყობს ხელს რევოლუციონური განწყობილების შექმნას, ვინემ „მოსკოვის ცდები“.

ლიბერალები ხიქსის წინააღმდეგ

ლონდონი, 2 ნოემბ. ლიბერალურ ყოველკვირეულ ჟურნალების უკანასკნელ წერილებიდან სჩანს, რომ ინგლისის ფართე წრეებს ძლიერ აშინებს მთავრობის მიერ კომუნისტების დევნა.

„ნეიშენ“ სწერს, რომ კომუნისტების დევნა ყველაზე უფრო შესანიშნავი მოვლენაა ქვეყნის შინაურ ცხოვრებაში უკანასკნელ წლების განმავლობაში.

„ერთი რამ აშკარაა, აცხადებს ჟურნალი, ჯონსონ ხიქსი ძალიან შეუფერებელია შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ბალდვინი პირველი შესაძლებლობისთანავე გაათავისუფლებს მას მინისტრის თანამდებობიდან“.

იჭვების გამართლება

ლონდონი, 2 ნოემბ. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ყოველკვირეულ ჟურნალ „ნიუ-ლიდერში“ ბრაილსფორდს მოჰყავს ნაწყვეტები კოლონიების მინისტრის ამხანაგის ორმსბი გორის სიტყვიდან საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ და ამბობს, რომ ეს სიტყვა ადასტურებს ამ ხელშეკრულების გარშემო წარმოშობილ ყოველგვარ იჭვიანობას. თავის სიტყვაში გორამ აშკარად განაცხადა, რომ ლოკარნოს ხელშეკრულება მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ცნობილმა კონსერვატორმა პუბლიცისტმა გარვინმა „ობსერვერში“ მოათავსა წერილი და მოითხოვს საბჭოთა კავშირის შესვლას ერთა ლიგაში. ამის შესახებ ბრაილსფორდი სწერს:

„ჩვენ იჭვი არ შეგვეძლოს იმაში, რომ შეუძლებელია საბჭოთა კავშირთან რაიმე საფუძვლიანი ხელშეკრულება დაიდოს, სანამ ინგლისი უარს არ იტყვის აღმოსავლეთში წარმოებულ იმპერიალისტურ პოლიტიკაზე“.

მდგომარეობა სპარსეთში

რიზა-ხანის დეკლარაცია

თეირანი, 2 ნოემბ. გამოქვეყნდა მთავრობის დროებითი მეთაურის რიზა-ხანის დეკლარაცია, რომელშიაც რიზა-ხანი აცხადებს, რომ ის ყოველივე ზომებს მიიღებს სპარსეთის ხალხის საარსებო პირობების გასაუმჯობესებლად.

გაცემულია ბრძანება დაბეჭდილ იქნეს შახის სასახლეები, სასახლის მუზეუმი და შახის საგანძური.

მთელს სპარსეთში გამოცხადებულია დღესასწაული 8 დღით.

ფრანგული გაზეთები სპარსეთის ამბების შესახებ

პარიზი, 2 ნოემბ. გაზეთები სპარსეთის შახის ჩამოგდებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ამ ამბავს, პრესის აზრით, შეუძლია დიდი გავლენა იქონიოს აღმოსავლეთის ყველა ქვეყნებზე. ბევრის აზრით, ეს მოვლენა უფრო გააძლიერებს საბჭოთა კავშირის გავლენას აზიაში.

საგარეო საქ. სამინისტროს ოფიციოზი „ტანი“ გადატრიალებას სთვლის საბჭოთა კავშირის, ოსმალეთისა და სპარსეთის დაახლოვების დასაწყისად და პირველ ნაბიჯად აღმოსავლეთის სახელმწიფოების კავშირის შექმნისაკენ, ევროპის სახელმწიფოთა კავშირის წინააღმდეგ.

იტალიის დელეგაცია ამერიკაში

ვაშინგტონი, 2 ნოემბ. იტალიის დელეგაცია ფინანსთა მინისტრის ვოლპის მეთაურობით ჩავიდა ვაშინგტონში; ამ დელეგაციას დავალებული აქვს მოაწესრიგოს შეერთებულ შტატებთან დავალიანების საკითხი. დელეგაციამ უკვე დაიწყო მოლაპარაკება.

ფრანგები სირიაში

დრუზების ძალები იზრდება

ანგორა, 2 ნოემბერი. ოსმალეთის გაზეთებმა ალეპოდან მიიღეს ცნობები იმის შესახებ, რომ სირიის მცხოვრებლები ძლიერ აღელვა ფრანგების მიერ დამასკისათვის ყუმბარების დაშენამ. სირიის მცხოვრებნი მზად არიან დახმარება გაუწიონ დრუზებს, რომელთა ძალები უკანასკნელ ხანებში ძალიან გაიზარდა, რადგან მათ არაბებიც შეუერთდენ.

სირიის მცხოვრებლებმა დასდეს ფიცი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლონ მანამ, სანამ ფრანგები არ იქნებიან განდევნილი მათი ქვეყნიდან.

ოსმალეთის ყველა გაზეთები აღფრთოვანებით სწერენ დრუზების და სირიელების გმირული ბრძოლის შესახებ.

დამასკი სიმშილის მოლოდინში

ლონდონი, 2 ნოემბერი. „ჰავასის“ საგენტო იუწყება ალექსანდრიიდან, რომ მეამბოხეებმა დაიკავეს სოფლები დამასკის მიდამოებში. დამასკში მოელიან სიმშილობას, რადგან ხორბლის შეტანა ჰაურანიდან ამჟამად შეწყვეტილია.

ბედუინები თავს უყრიან თავიანთ ძალებს

ლონდონი, 2 ნოემბერი. ალექსანდრიიდან მიღებული ცნობების თანახმად, ბედუინთა ტომები თავს უყრიან ძალებს ალეპპოსთან, სადაც ადგილობრივ ბედუინების ბელადმა უარი განაცხადა ფრანგებთან მოლაპარაკებაზე.

მუშათა მოძრაობა

საფრანგეთის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ყრილობა

პარიზი, 2 ნოემ. გაიხსნა საფრანგეთის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის პირველი ყრილობა, რომელიც მოიწვია კომკავშირმა. ყრილობას ესწრება 600 დელეგატი, რომლებიც არჩეული არიან მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის 60 პროვინციალურ კონფერენციაზე.

ყრილობის ამოცანაა დარაზმოს პროლეტარული ახალგაზრდობა და შეიმუშაოს მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მოთხოვნილებები.

გამოსული ორატორები ეხებიან იმ ექსპლოატაციას, რომელსაც განიცდიან ახალგაზრდა მუშები და აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდა მუშებს ამუშავებენ ხშირად 8 საათზე მეტს და აძლევენ 30—40 პროცენტით ნაკლებ ხელფასს უფროს მუშებთან შედარებით.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

დელეგაციის დაბრუნება

მოსკოვი, 3 ნოემბ. პარიზიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელიც მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო კონფერენციაზე ევროპაში მატარებლების მიმოსვლის ცხრილების შეთანხმების საკითხის მოსაგვარებლად.

რკინისგზების საერთაშორისო კავშირის ადმასკომის სესია

მოსკოვი, 3 ნოემბერი. 4 ნოემბერს პარიზში მიემგზავრება გზათა სახალხო კომისარიატის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი რუდიი. დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს რკინის გზების საერთაშორისო კავშირის ადმასკომის სესიის მუშაობაში.

მწერლების სახლი

მოსკოვი, 3 ნოემბერი. 1 ნოემბერს საკავშირო მწერალთა კავშირმა გახსნა მწერლების სახლი.

საბჭოთა კავშირის, ლატვიის და ესტონეთის რკინისგზო კონფერენცია

მოსკოვი, 3 ნოემბერი. 2 ნოემბერს გაიხსნა საბჭოთა კავშირის, ლატვიის და ესტონეთის რკინისგზო კონფერენცია.

ა.-კ. ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

თამბაქოს დამზადება

სოხუმი, 31 ოქტ. წარსულ სამეურნეო წელს დამზადებულია 74.119 ფუთი თამბაქო 1923 წლის მოსავლიდან და 246.308 ფუთი, 1924 წლის მოსავლიდან.

148 წლის მოხუცი

სოხუმი, 31 ოქტომბ. აღძრულია შუამდგომლობა აფხაზელ ნიკოლოზ შაპკოლბას, 143 წლის მოხუცის სიცოცხლის უზრუნველყოფის შესახებ. მოხუცი ფიზიკურად ჯანმრთელია, მას ახსოვს აფხაზეთის ამბები მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში.

აზერბეიჯანი

რკინის გზის ხაზი კარდონლინის სამრეწველოში

ბაქო, 31 ოქტ. აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის სამმართველომ დაამთავრა რკინის გზის ხაზის გაყვანა კარდონლინის სამრეწველოში. ხაზის სიგრძე 7 ვერსია.

მარილის სამრეწველოში

ბაქო, 31 ოქტ. ნახიჩევანის მარილის სამრეწველოების სამმართველო შეუდგა რკინის გზის ხაზის გაყვანას 9 ვერსის მანძილზე.

უკანასკნელი ცნობები

სამგლოვიარო სხდომა ამხ. ფრუნზეს გარდაცვალების გამო

მოსკოვი, 2 ნოემ. 1 ნოემბერს საბ. თეატრში შესდგა ფრუნზეს ხსოვნის აღსანიშნავად სამგლოვიარო სხდომა. სხდომას უამრავი საზოგადოება დაესწრო. ქალაქში ყველა გასართობები დახურულია. სახლებზე შავი დროშებია გამოკიდებული.

კომინტერნის სახელით გამოვიდა ამხ. ზინოვიევი, რომელიც ლაპარაკობს: „ფრუნზე, როგორც ყველა ნამდვილი ბოლშევიკები, იყო საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციის მონაწილე. აი რატომ სწუხს მის დაკარგვას მთელი ქვეყნის მუშათა კლასი. რევოლუცია, რომელმაც წარმოშვა ისეთი მებრძოლები, როგორიც იყო ფრუნზე, ეპიმარჯვებს. ჩვენი პარტია კიდევ უფრო შეამჭიდროვებს რიგებს. ჩვენი ახალგაზრდობა აღიზრდება ფრუნზეს მაგალითზე და ასწავლის ახალ თაობებს რევოლუციონურ ბრძოლას“.

სამხედრო საბჭოს სახელით გამოვიდა ბუბნოვი, რომელმაც სთქვა: „წითელმა ჯარმა ფრუნზეს სახით დაკარგა ბელადი, ამხანაგი და ძვირფასი მეგობარი. ივანოვო-ვოზნესენსკში და შუეში ჯერ ქვეშ მუშაობის პირველ ხანებშივე ფრუნზემ დაგვანახვა თავისი თავი, როგორც დიდი ორგანიზატორმა, ორატორმა და ფართო მასების მოსიყვარულემ. სამოქალაქო ომის დროს ის იყო პროლეტარულ ოპერაციების დიდი ტაქტიკი“.

უკანასკნელად გამოვიდენ ივანოვო-ვოზნესენსკის მუშების წარმომადგენელი ფადეევი და მოსკოვის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების წარმომადგენელი მიხაილოვი.

სიტყვები დამთავრდა. მუსიკა უკრავს სამგლოვიარო მარშს.

პროცესია ფრუნზეს ნეშთით მიდის ლენინის მავზოლეისთან და ჩერდება საფლავთან. სამარისებურ სიჩუმეში ფრუნზეს სხეულს აბარებენ მიწას.

ფრუნზეს დასაფლავება

მოსკოვი, 3 ნოემბერი. მთელი დღის განმავლობაში ფრუნზეს კუბოსთან იცვლებოდა საპატიო ყარაული ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების, მუშათა, პარტიულ და წითელი ჯარის მეთაურთა შემადგენლობიდან.

დღის სრულ 11 საათზე და 40 წუთზე კუბო ფრუნზეს ნეშტით გამოაქვთ დარბაზიდან. კუბო მოაქვთ კალინინს, რიკოვს, სტალინს, კამენევს, ზინოვიევს, ძერჟინსკის და ენუქიძეს.

ლენინის მავზოლეისთან კუბოს სდგამენ.

მავზოლეის ტრიბუნაზე ადიან კალინინი, სტალინი, რიკოვი, კამენევი და ივანოვ-ვაზნესენსკისა და შუისკის მუშების წარმომადგენლები.

სამგლოვიარო სხდომას ხსნის ენუქიძე და პირველ სიტყვას აძლევს რიკოვს.

რიკოვმა სთქვა: „ფრუნზე ეკუთვნის ისეთ ხალხს, რომელმაც ჩვენს რევოლუციას მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე ათასებმა და ასიათასებმა სხვამ. 1910 წელში ფრუნზეს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, რაც შემდეგ კატორღით შეუცვალეს. სიკვდილით დასჯამ და კატორღამ მას ასწავლა მუშათა კლასისა და რევოლუციის სიყვარული. ჩვენს ისტორიაში ბევრი არ მოიპოვება ისეთი ხალხი, რომლებიც ასე დატანჯულიყვნენ რევოლუციისათვის და ასე დაკავშირებულიყვნენ რევოლუციონურ მოძრაობასთან, როგორც ფრუნზე.

ფრუნზე იყო არა მხოლოდ ერთი საუკეთესო და წმინდა რევოლუციონერი, არამედ მისი სახით ჩვენ ვმარხავთ დიდ პიროვნებას. ჩვენ ვმარხავთ დღეს გამოცდილ სტრატეგს, წინამძღოლს და ორგანიზატორს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისას“.

რ. კ. პ. (ბ) ცეკას სიტყვას ამბობ სტალინი. „ფრუნზეს სახით ჩვენ და კარგეთ ერთ-ერთი ყველაზე უფრ წმინდა, პატიოსანი და შეუპოვარ რევოლუციონერი.

პარტიამ დაკარგა ერთ-ერთი სა კეთესო შვილი.

საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგ სახელმწიფოს შეუპოვარი და [illegible] მშენებელი.

ჯარმა დაკარგა საყვარელი ხელ მძღვანელი.

მე მრწამს, რომ მუშათა კლას შესძლებს ახალი მუშაკების გამო ჭედვას დაკარგულ ამხანაგების ნა ვლათ“.

მოსავლის დღე და სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

ლენინაკანი, 2 ნოემ. მოსავლის დღესთან დაკავშირებით ლენინაკანის რაიონის სოფ. კინფალში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია გლეხობაში. გამოფენას დაესწრო 10.000 კაცზე მეტი.

შაქარი სპარსეთისთვის

ბათომი, 2 ნოემ. აქციონერ საზოგადოების „ტრანსპორტის“ ბათომის განყოფილებამ სპარსეთში გააგზავნა 16 [illegible] შაქარი.

პარტიის მუშაობა ყოფილ მენშევიკებს შორის

II

როგორი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ჩვენს პირველ წერილში ნათქვამიდან, როგორი უნდა იყოს ჩვენი მომავალი მუშაობა ყოფილ მენშევიკებს შორის.

ამ დღეებში გაიმართა ყოფილ მენშევიკების თათბირი. ამ თათბირზე აღიარეს, რომ ამ ორგანიზაციის არსებობა იმ სახით, რა სახითაც იგი არსებობდა, არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად, იმიტომ რომ მუშათა კომისია წარმოადგენს პარალელურ პოლიტიკურ ორგანიზაციას, აერთიანებს თავის გარშემო, იმ ციფრების თანახმად, რომელიც არსებობს (შესაძლოა, რომ იგი გადაჭარბებულიც იყვეს, — მაგრამ დაახლოვებით ამდენი იქნება) 11 ათას კაცს საქართველოში. პირველი კამპანია აერთიანებდა 12,000 კაცს. ამას უნდა დაუმატოთ კიდევ 5.000 კაცი, რომლებიც გამოვიდენ პარტიიდან სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგ მეორე კამპანია შეეხო უკვე 11.000 მუშა და გლეხს, რომლებიც გაერთიანებული იყვენ მუშათა კომისიის გარშემო.

ეს უკვე მთელი პოლიტიკური ორგანიზაციაა. მართალია, მას გარკვეული პროგრამა არა აქვს, მუშათა კომისიას არ შეუძლია მისცეს რაიმე დირექტივა, ვინაიდან ეს პარტიის ცეკა, ან საერთოთ პარტიული ორგანიზაცია არ არის. აი ამიტომ მათ წინაშე წამოიჭრა საკითხი მუშათა კომისიის ლიკვიდაციის შესახებ. საკითხს იხილავდენ თათბირზე და, რამდენადაც მე გავიგე სტენოგრაფიულ ანგარიშებიდან, თათბირის რამდენიმე მონაწილე წინააღმდეგი იყო ამ კომისიის გაუქმების, რადგან ზოგიერთებს ეშინოდათ და ეშინიათ, რომ თუ ისინი იმუშავებდენ კომპარტიის დროშის ქვეშ, ეს პირველ ხანებში ზოგიერთებს ჩამოაშორებს მათ და ისე ხალისით არ წავლენ კომპარტიაში, როგორც მუშათა კომისიაში. მაგრამ თათბირი არ დაეთანხმა ასეთ მოსაზრებებს და მიიღო მუშათა კომისიის წინადადება.

გარდა ამისა ზოგიერთები საჭიროდ სთვლიდენ შეენარჩუნებიათ ჟურნალი „ახალი გზა“, რადგან კომუნისტურ პრესაში ყველაფერი არ იწერება ისე, როგორც მათ პრესაში. აი იმათი მოსაზრებანი. უმთავრესად ისინი აღნიშნავდენ, რომ საჭიროა მუშაობა ინტელიგენციის შორის, მაგრამ ასეთ მოსაზრებების მიღება არ შეიძლება. თუ დაუშვებთ ასეთ ორგანიზაციის არსებობას, ეს იმას ნიშნავს რომ შევქმნით პარალელურ დიდ ორგანიზაციას. ზოგიერთები არ კმაყოფილდებიან 11.000 ყოფილი მენშევიკით და კიდევ უფრო შორს მიდიან. სენაკის წარმომადგენელმა ძველაიძემ სთქვა, რომ მათ მისდევენ ათეული ათასები. მაშასადამე მათ აქვთ ტენდენცია შეიერთონ უპარტიო მასა, მაგრამ ეს უკვე აღარ შეადგენდა და აღარ შეადგენს მუშათა კომისიის ამოცანას. ამ ხაზს თუ გადასცილდენ, ისინი იმუშავებდენ უპარტიოთა შორის, ხოლო პარტიულ ორგანიზაციას არ შეუძლია მხედველობიდან გაუშვას ეს მნიშვნელოვანი მუშაობა.

თუ ავიღებთ, მაგალითად, სააგიტაციო-საპროპაგანდო და საგამომცემლო მუშაობას, ამისათვის არსებობს ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება და სააგიტაციო აპარატი ადგილებზე. მიზანშეუწონელი იქნება ამ მუშაობის მინდობა მუშათა კომისიის წარმომადგენლებისათვის, (როგორც ამას თათბირზე აღნიშნავდა ამხ. ზ. ჩახვაძე, ყოფილი ახალგაზრდა მარქსისტი), მიუხედავათ იმისა, რომ ისინი დაგვიახლოვდენ ჩვენ, ვინაიდან სავსებით კავშირი არ გაუწყვეტიათ მენშევიზმთან, ხოლო სხვების აღსაზრდელად, უპირველეს ყოვლისა საჭიროა, რომ თვით იყო აღზრდილი ნამდვილ კომუნისტათ: ამიტომ სწორიად მოიქცა ყოფილ მენშევიკების თათბირი, რომელმაც მხარი დაუჭირა იმას, რომ უნდა მოხდეს მუშათა კომისიის ლიკვიდაცია და თავისი მუშაობა ამ კომისიამ უნდა დაუკავშიროს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის მუშაობას. ეს სავსებით გამოწვეულია საქმის ინტერესით, ეს უკეთესად და უფრო მჭიდროთ დაუკავშირებს მათ მოქმედებას ჩვენი ცეკას მთელ მუშაობასთან.

ჩვენ ცეკაში ამ დღეებში ვიხილავდით თათბირის წინადადებებს და მივედით იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა შეიქმნას, — თუმცა ეს არ არის გათვალისწინებული რაიმე პარტიული წესდებით, — მაგრამ საქართველოს პირობებში ჩვენ ამაზედაც კი წავედით, — ყოფილ მენშევიკებს შორის მომუშავე სპეციალური განყოფილება. ეს განყოფილება არ ემგვანება სხვა განყოფილებებს იმ მხრივ, რომ მას ექნება განსაზღვრული მუშაობის არე ყოფილ მენშევიკებს შორის, ხოლო მთელი პრაქტიკული მუშაობა გატარებული იქნება სათანადო განყოფილებების საშუალებით, ორგანიზაციული — საორგანიზაციო განყოფილების, სააგიტაციო — სააგიტაციო განყოფილების საშუალებით. ეს განყოფილება განსაზღვრავს მთელ მუშაობას მენშევიკების იმ ნაწილს შორის, რომელიც ჩვენთან ახლოს დგას, მაგრამ პარტიაში არ შემოსულა. საკმარისი არ არის პარტიაში მივიღოთ ათეული და ასეული მენშევიკები, საჭიროა პარტიის გავლენის ქვეშ ვიყოლიოთ ის ათასები, რომლებიც ჩვენი პარტიის გარეშე იმყოფებიან. აი ამიტომ საჭირო იყო ყოფილ მენშევიკებს შორის მომუშავე განყოფილების შექმნა. მაშასადამე, ამით არ სწყდება მუშაობა ყოფილ მენშევიკებს შორის, იგი გრძელდება, მხოლოდ ფორმის გამოცვლით და მთელი ეს მუშაობა უფრო მეტათ უკავშირდება მთელ ჩვენ პარტიულ აპარატს. ამ განყოფილებაში მუდმივ ორგანიულ სამუშაოდ მიზიდული იქნებიან ყველაზე უფრო აქტიური ყოფილი მენშევიკი—მუშები.

გარდა ამისა გადასწყდა მოწვეული იქნას ყოფილ მენშევიკების პერიოდული თათბირები იმისათვის, რათა ყოველთვის გაეცნონ ისინი საქმის მდგომარეობას და გაითვალისწინონ შემდეგი ღონისძიებანი ამ განყოფილების მუშაობისათვის.

სწორეთ ასეთივე ორგანიზაციები უნდა შეიქმნას სამაზრო და საოლქო კომიტეტებთან პარტკომების მდივანთა ხელმძღვანელობით.

არავითარი განცალკევება აქ საჭირო არ არის და ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს პარტიულ ორგანოების კონტროლის და ხელმძღვანელობის ქვეშ. და ყველა მასები, რომლებიც შორდებიან მენშევიკებს, საჭიროა უშუალოთ დაუკავშირდენ ჩვენს პარტიას. სოფლის მრავალრიცხოვანი მასა უნდა მივიზიდოთ ჩვენ საერთო საბჭოთა კალაპოტში.

აი რას უნდა მივაღწიოთ მახლობელ პერიოდში.

ეხლა, რაც შეეხება სპეციალურ ორგანოს, უნდა ვსთქვათ, რომ მისი არსებობა ამ ჟამად ზედმეტია, რადგან თუ ვიტყვით არსებითად, რა იბეჭდება „ახალ გზა“-ში, იქ სწერენ საერთო ნაკლულოვანებებზე, იმაზე, რომ ამა და ამ დაწესებულებაში არ ტარდება როგორც საჭიროა, ნაციონალიზაცია და აღნიშნავენ რომელიმე სათემო აღმასკომის წარმომადგენლის უწესო მოქმედებას. საჭიროა თუ არა ამისთვის სპეციალური გაზეთი? რა თქმა უნდა, არა. ამისათვის სპეციალური ორგანოს არსებობა ზედმეტია. ამის შესახებ შეიძლება თამამად ვსწეროთ „კომუნისტ“-ში, „მუშა“-ში და გლეხურ გაზეთ „ახალ სოფელში“. მაშასადამე არავითარი მოსაზრებით ამ ორგანოს არსებობა საჭირო არ არის. აი ამიტომ მუშათა კომისიის წინადადებით გადასწყდა დაარსდეს სპეციალური ფურცელი „კომუნისტთან“, რომელშიაც გაშუქებული იქნება მუშაობა ყოფილ მენშევიკებს შორის. ამ განყოფილების რედაქტორობა დაევალა ერთ-ერთ ყოფილ მენშევიკს, რომელიც შესძლებს ამ საქმის კარგად დაყენებას.

რაც შეეხება საზღვარ-გარეთ მუშაობას, ეს საკითხიც დასმულია ჩვენს წინაშე. მუშათა კომისია სისტემატიურად აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა გაიგზავნოს დელეგაცია საზღვარ-გარეთ იმ მიზნით, რათა საზღვარ-გარეთელ წრეებს და საზოგადოებრივ აზრს მივაწოდოთ ინფორმაცია საქართველოში შექმნილ მდგომარეობის შესახებ. პრინციპიალურად არაფრის თქმა ამის წინააღმდეგ არ შეიძლება. ამას წინად საბჭოთა საქართველოში დაბრუნდა ყოფილ მენშევიკ-მუშების ერთი ნაწილი ამხ. ალიხანაშვილის მეთაურობით. იქ მათ ჩაატარეს საკმაოთ გაბედული მუშაობა, მაგრამ მაინც მათ ვერ შესძლეს (საფრანგეთის პოლიციამ დახმარება გაუწია ბატონ რამიშვილებს და გადაასახლა ეს მუშები „თავისუფალ“ საფრანგეთის ფარგლებიდან) იდეურათ დაეშალათ მთელი ემიგრაცია მაგრამ ერთგვარი განხეთქილების ჩამოგდება ემიგრანტებს შორის მათ მაინც მოახერხეს: მენშევიკების ფაშისტური ნაწილი ძალიან მტრულად შეხვდა ამ მუშებს. იმათ ფიზიკურად, კეტებით სცემეს ამ მუშებს კრებაზე. ნოე რამიშვილმა დაარსა პარიზში სპეციალური ფაშისტური ორდენი კედიას და ფაჩულიას შვილებისაგან (მამა ნახე, დედა ნახე—შვილი ისე გამონახე!) „თეთრი გიორგის“ სახელწოდებით. „თეთრი გიორგი“ აწარმოებს მუშაობას, რა თქმა უნდა, თეთრების სასარგებლოთ, რათა დაარბიონ წითლები. ალიხანაშვილის ჯგუფი ჩამოვიდა და ჩვენ საშუალება გვაქვს გავეცნოთ მის პოზიციას. უნდა ითქვას, რომ ისინი ძალიან რევოლუციონურად არიან განწყობილნი და ამჟამად, შეიძლება ითქვას უფრო მემარცხენეობას იჩენენ, ვიდრე მუშათა კომისია. ამხ. ამხ. ალიხანიშვილის, სხულუხიას, დემეტრაშვილის, სულაქველიძის და სხვ. დამსახურება იმაშია, რომ მათ მოახერხეს ისეთ პირობებში, როგორიც პარიზშია—რეაქციის თარეშის ცენტრში, გამოსულიყვენ მენშევიკურ პარტიის და მის თავკასულ ხელმძღვანელების წინააღმდეგ.

ჩვენ თვალწინ ამ სამი წლის განმავლობაში სწარმოებს 3 მუშათა ჯგუფის მუშაობა. ჩვენ ობიექტიურად უნდა შევაფასოთ თვითეული ეს ჯგუფი. ერნიეევის ჯგუფმა პირველმა მიუყარა თავი მოწინავე მენშევიკურ მუშებს საბჭოების წითელი დროშის ქვეშ და უსათუოთ კარგად ჩაატარა მუშაობა, ძმანაშვილის ჯგუფმა სავსებით კეთილსინდისიერათ შეასრულა თავისი მისია, ალიხანაშვილის ჯგუფი აკეთებს სხვანაირ სასარგებლო საქმეს. მხოლოდ ჩვენ უნდა გავარჩიოთ ეს ჯგუფები ერთი ერთმანეთისაგან, უნდა გამოვიყენოთ გარდატეხა მშრომელთა შორის და არავითარ შემთხვევაში ხელი არ ვკრათ იმათ, ვინც პირს იბრუნებს საბჭოთა ხელისუფლებისაკენ.

რაც შეეხება შემდეგ მუშაობას ემიგრაციის დასაშლელად, ამ საკითხს ჩვენ უნდა მივაქციოთ ამ ჟამად სერიოზული ყურადღება.

დღეს საზღვარგარეთ თარეშობს და ევროპის საზოგადოებრივ აზრზე გავლენას ახდენს ჟორდანიას უკანონო „მთავრობა“. საჭიროა ამ უკანონო მთავრობას და მის ზრახვებს დაუპირდაპირდეთ საქართველოს კანონიერ საბჭოთა მთავრობის ნამდვილი ინფორმაცია. ეს ასე უნდა მოხდეს. ამჟამად ყველა დიდ ცენტრებში, როგორც ლონდონში, ბერლინში, პარიზში და სხვ. იმყოფებიან მენშევიკები, რომლებიც თავის თავს უწოდებენ ელჩებს, კონსულებს და სხვა ამგვარ რამეებს ავრცელებენ ყალბ ინფორმაციას საქართველოს მდგომარეობის შესახებ და სხვა ამგვარად, ამ ხუთი წლის განმავლობაში საზღვარ-გარეთ არ მოიპოვება სწორი ცნობები საბჭოთა საქართველოს ცხოვრების და საბჭოთა [illegible] მოღვაწეობის შესახებ. ამიტომ ცეკა და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი უნდა შეუდგეს ამ საკითხის გადაჭრას და დიდ ბურჟუაზიულ ცენტრებში საჭიროა წარმოებულ იქნას კონტრ-იერიში საზღვარ-გარეთ ავანტიურისტების საქართველოს უკანონო მთავრობის წინააღმდეგ, რათა გაფანტული იქნას სიყალბის და ლეგენდების ის ატმოსფერა, რომელსაც იქ ქმნიან ეს ავანტიურისტები. მათ, როგორც ოტტო ბაუერმაც კი აღნიშნა ეს მე-2 ინტერნაციონალის მარსელის კონგრესზე, არ შეუძლიათ იყონ ობიექტიური იმ უბრალო მიზეზით, რომ ისინი შეურაცხყოფილნი არიან საქართველოდან განდევნის გამო. ახლო მომავალში ჩვენ უნდა შევუდგეთ ამ საკითხის სერიოზულად განხილვას, — ეს შეადგენს ჩვენ მორიგ ამოცანას.

დასასრულ საჭიროა მოკლეთ მაინც შევეხოთ საკითხს მენშევიკური ინტელიგენციის შესახებ და ამ საკითხთან დაკავშირებით შევჩერდეთ სეით დევდარიანზე. უკანასკნელი წარმოადგენს შესანიშნავ ფიგურას, რომელიც გამოხატავს მენშევიკური ინტელიგენციის მთელს მერყეობას, მთელს ორპირობას, მთელს გაუბედაობას, სიმხდალეს, უხერხემლობას და უხასიათობას. ის დღემდე იგივე დარჩა, რაც იყო თავიდან, ე. ი. ის საბოლოოდ ჯერ კიდევ არ განშორებია მეორე ინტერნაციონალს. მან ვერ შესძლო დაახლოვება მესამე ინტერნაციონალთან. ის ძველებურად განაგრძობს ორპირ პოლიტიკას. ის საუკეთესო გამომხატველია იმ მენშევიკური ინტელიგენციის და საზოგადოთ ინტელიგენციის იმ ნაწილის, რომელიც ჩვენთან არ მოდის, არამედ შის და რაღაცას უცდის. ყველაზე უკეთესად დევდარიანის ეს ფიგურა ჩვენ გავიცანით პარიტეტული კომიტეტის პროცესის დროს. პარიტეტელების პროცესი პატარა მოვლენა არ არის ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ ვასამართლებდით მენშევიკებს და პარიტეტის წარმომადგენლებს. ამ პროცესის შედეგი არის ის, რომ ჩვენ შევსძელით იმედები გაგვეცრუებია მენშევიკების მნიშვნელოვან ჯგუფისათვის, ხოლო ამ ლმობიერი განაჩენით, რომელიც უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა ამ პროცესზე, — ჩვენ ბევრი დავარწმუნეთ იმაში, რომ ჩვენ არ ვდგევართ შურისძიების თვალსაზრისს, არამედ ვაწარმოებთ საღ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას იმათ მიმართ, ვინც შეიგნო თავისი შეცდომები.

ორ მესამედზე მეტი განთავისუფლებულია სასჯელიდან. შეიძლება უზენაესი სასამართლოს განაჩენი იყო ძალიან ლმობიერი, შეიძლება ბევრ ჩვენს ამხანაგს ეს არ მოეწონა, მაგრამ პოლიტიკურად ეს განაჩენი იყო სწორი ნაბიჯი და ის გამართლებულია იმ შედეგებით, რომელიც ჩვენ ვნახეთ პარიტეტელების პროცესის შემდეგ.

თუ რამეს ვერ მიაღწია ჩვენმა პროლეტარულმა სასამართლომ ამ პროცესის დროს, — ეს მხოლოდ იმას, რომ ბრალმდებლებმა სათანადოთ ვერ გამოიყენეს მენშევიკური პარტიის წინააღმდეგ მთელი ის მდიდარი მასალა, რომელიც ცხადჰყოფდა მისი არა მარტო პოლიტიკური დაცემის მთელს სიღრმეს, არამედ აგრეთვე ამჟღავნებდა ამ პარტიის სისხლის სამართლის დანაშაულების ხასიათის მთელ მოქმედებას.

მაშასადამე ნაკლი მდგომარეობდა იმაში, რომ მუშურ-გლეხური ხელისუფლების უზენაესმა სასამართლომ ვერ შესძლო ბოლომდე გამოემჟღავნებინა მენშევიკები, აგვისტოს უმაგალითო ავანტიურის ავტორები. ეს კი საჭირო იყო, რადგან თვით ძმანაშვილის ჯგუფიც ლაპარაკობს, რომ მენშევიკური პარტიის წევრები 1921—1922 წლებიდან ასცდენ რევოლუციონური მარქსიზმის გზას და — პარტიის, დავალებით — შეითვისეს დაშნაკების წმინდა ბანდიტიზმის პოლიტიკა: თავს ესხმოდენ მატარებლებს, ჰკლავდენ ჩასაფრებით იმათ, ვინც „ღალატობდა“ ამ ბანდიტებს და სხვა.

აი, რა უნდა ყოფილიყო გამომჟღავნებული არა მარტო საქართველოს მშრომელი მასების, არამედ მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის წინაშე, რომ საბოლოოდ სახელი გაგვეტეხა ქართველ მენშევიკებისათვის და გაგვეკრა ისინი სამარცხვინო ბოძზე.

ამაშია ამ ისტორიული პროცეს სუსტი მხარე. და აი ამ პროცეს ჩვენ ვხედავდით მოწმეებად მენშევი კური ინტელიგენციის ზოგიერ წარმომადგენლებს, რომლებიც ფრ ად სამართლიანი იქნებოდა ყოფილიყვენ ბრალდებულთა სკამზე.

აი ორი მათგანი: ბ. თევზაია სეით დევდარიანი.

როცა მათ შეეკითხენ სასამარ ლოში, რატომ მოაწყვეს მათ პარ ტეტული კომიტეტი, მათ განაც დეს: წმინდა კულტურულ და იდეუ ამოცანებისათვის, რომ თვალყურ ედევნებია, როგორ მიმდინარეო კულტურული მუშაობა, როგორ ტა დება ნაციონალიზაცია, ხელი შე ეწყო მისთვის და სხვ.

როცა მათ უთხრეს, რომ ამ კულ ტურულ-იდეურ ამოცანებთან არავი თარი კავშირი არა აქვს ინფორმაცი ჯარების რაოდენობის შესახებ, მ თი გადაყვან-გადმოყვანის შესახებ მაშინ მათ განაცხადეს, რომ ეს მ ესაჭიროებოდათ ინფორმაციისათვი თუმცა ისინი — ყველამ იცის — არიან სამხედრო პირები და არ წა მოადგენენ არც დივიზიის შტაბ არც არმიის რევოლუციონურ-სა ხედრო საბჭოს. როცა მათ მიუთ თეს იმაზე, რომ პარიტეტული კომ ტეტის პროგრამის ერთ მუხლ პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ჭიროა ძალა-უფლების ხელში ჩაგდ ბა, ს. დევდარიანმა დამშვიდებ განმარტა, რომ ერთია ძალა-უფლ ბ-ს ხელში ჩაგდება, ხოლო ძალ ჩამოგდება კი—მეორეა. ძალა-უ ლების ხელში ჩაგდება შეიძლებ როცა ის უეცრად ეცემა, ყოვე გვარი ძალდატანების გარეშე.

აი ასეთი თაღლითური, თვალ მაქცური განცხადება გააკეთა ს დევდარიანმა ამ პროცესზე და ლას გულს აკლდა, რომ ის არ ი მე-48-ე ბრალდებული. პირდაპ შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცე ს. დევდარიანი პოლიტიკურად გამ დიოდა, როგორც მენშევიკი. კი მეტი: დევდარიანი არის, არც მე არც ნაკლები, შინაური ემიგრან თუ საზღვარგარეთ ჩვენ გვყავს ჟო დანიას, რამიშვილის, წერეთლის ხით უცხოელი ემიგრანტები, ს დევდარიანის სახით კი ჩვენ გვყ შინაური ემიგრანტი. ეს თვალსაჩ გახდება, რომ ავიღოთ თუნდაც ხი საერთაშორისო მდგომარეო საკითხები. დარწმუნებული უნდა

პარტიული ცხოვრება

შინა-პარტიული დემოკრატია

შინა-პარტიული დემოკრატიის მთლიანათ და სწორათ გატარება—აი რას ავალებს ჩვენი პარტიის უმაღლესი ორგანო—რ. კ. პ. (ბ) ცკას პლენუმი — პარტიის ადგილობრივ ორგანოებს. საჭიროა, რომ ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ დავალებას.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ უპარტიო მუშებისა და გლეხების აქტივობა გაიზარდა; ისინი აღარ კმაყოფილდებიან, რომ მხოლოდ მაყურებლის როლში გამოვიდნენ, არამედ მათაც უნდათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს მშენებლობაში. ამიტომ ჩვენ ვამბობდით რომ საჭიროა საბჭოთა დემოკრატიის ფართედ გატარება პროფკავშირებში, კოოპერაციაში და სხვ. მაგრამ ეს კი იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ჩვენ ჩვენს რიგებში სავსებით გავატარებთ შინა-პარტიულ დემოკრატიას.

უდავოა, რომ ჩვენი პარტიის წევრთა საერთო შეგნება, განვითარება თანდათან იზრდება, ამასთან ერთად იზრდება მისი აქტივობა. დღეს არ კმარა ის, რომ უჯრედის ბიურომ გადასწყვიტოს ესა თუ ის საკითხი და შემდეგ უსიტყვოთ მიაღებინოს უჯრედს. ყოველ წევრს უნდა მონაწილეობა მიიღოს ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში, პარტიის თვითეულ წევრს სურს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში. თუ წინათ კრიტიკით გამოსვლა პარტკომის ან უჯრედის ბიუროს მოქმედებაზე დიდ ცოდვათ იყო მიჩნეული, დღეს ასეთ მოვლენებს ადგილი არ უნდა იქნეთ. პირიქით, პარტიის უმაღლესი ორგანოები ავალებენ ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ პარტიის წევრის ყოველივე შენიშვნა ყურადღებით მოისმინონ და მხედველობაში მიიღონ.

იყო შემთხვევები, რომ უჯრედის ბიურო, თუ პარტკომი წარადგენდა მზამზარეულ სიას კრებაზე და კრებას ხმა ამოუღებლივ უნდა მიეღო სია. რ. კ. პ. (ბ) ცკას პლენუმი ავალებს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ ასეთ მოვლენებს შემდეგში ადგილი არ ექნეს. საჭიროა რაც შეიძლება მეტი თავისუფლება არჩევნების დროს, რომ უფრო სწორათ იქნეს გამოხატული პარტიის წევრთა ნება-სურვილი.

ჩვენ დარწმუნებული ვართ პარტიის უმაღლეს ორგანოს დირექტივებს ადგილობრივი ორგანიზაციები შეგნებულათ შეხვდებიან, სრულიად გაატარებენ მათ ცხოვრებაში და მით ხელს შეუწყობენ ჩვენი პარტიის რიგების განმტკიცებას.

ან.

თბილისის მომავალ პარტკონფერენციისათვის

უჯრედთა მუშაობის კომისიური მეთოდი

კომისიური მუშაობა წარმოადგენს უჯრედთა მუშაობის ახალ ორგანიზაციულ ფორმას, რომელიც წარმოიშვა მთელი პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაფართოების ნიადაგზე.

თბილისის ორგანიზაციების უჯრედებში მუშაობს 5 მთავარი კომისია: საორგანიზაციო, სააგიტაციო-საპროპაგანდო, ქალთა შორის მუშაობის, ა. ლ. კომკავშირში მუშაობის და სამეურ. ყველაზე უფრო მეტი აქტიური მუშაობა გამოიჩინეს სააგიტაციო-საპროპაგანდო კომისიებმა, რასაც ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ ამ კომისიების დაარსებამდეც არსებობდნენ აგიტ-პროპორგანიზატორები, რომლებიც ეწეოდნენ ამ მუშაობას.

მიუხედავათ მთელ რიგ დეფექტებისა ცალკე კომისიების მუშაობაში, გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ კომისიური მუშაობა უჯრედებში ხელს უწყობს უჯრედთა ბიუროებს გასწვდნენ წარმოებების და დაწესებულებების ცხოვრების ყველა მხარეებს, უადვილებს უჯრედებს საერთო პარტიული საკითხების დამუშავებას და უჯრედების რაც შეიძლება მეტი წევრების ჩაბმას მთელ რიგ პრაქტიკულ ამოცანების შესრულებაში, რითაც ძლიერდება უჯრედის პარტიული აქტივი.

საანგარიშო პერიოდში კომისიური მუშაობის განვითარება სწარმოებდა ჩქარი ტემპით, მაგრამ მეტად ძნელი ხდებოდა მისი გარკვეულ ორგანიზაციულ ჩარჩოებში ჩამოყალიბება. განსაკუთრებით ეს ითქმის საორგანიზაციო კომისიის შესახებ.

ამან აიძულა თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილება შეესწავლა უჯრედთა კომისიური მუშაობის ფორმები და შინაარსი.

აუცილებელი გახდა ამ სწრაფობის გამოკვლევა და ფაქტიური მასალის შეკრება ამ საკითხის შესახებ. ამ მიზნით რაიკომებმა კიდევ მოახდინეს მთელ რიგ კომისიების გამოკვლევა და ჩაატარეს საორგანიზაციო და კომკავშირთა კომისიების თათბირები. თათბირებზე აღნიშნული იყო, მრავალი დეფექტები, რომელთა შორის უმთავრესს წარმოადგენენ:

საორგანიზაციო კომისიის მუშაობაში: 1) არ იყო ზუსტად ჩამოყალიბებული საორგანიზაციო კომისიების ფუნქციები და ისინი ხშირად ითვისებდნენ სხვა კომისიების ფუნქციებს; 2) აგრეთვე იყო შემთხვევები, როცა საორგანიზაციო კომისიები ასრულებდნენ უჯრედთა ბიუროების სამუშაოს; 3) კომისიების შემადგენლობა ძლიერ ფართო იყო.

კომკავშირთა კომისიების მუშაობაში: 1) სუსტად იყო კომისიების შემადგენლობა, კომისიებში შედიოდნენ უმთავრესად კანდიდატები და პარტიის ახალგაზრდა წევრები, რომელთაც არ ჰქონდათ საკმაო კომუნისტური სიმტკიცე და გამოცდილება პარტმუშაობაში; 2) კომისიებს არ ჰქონდათ ავტორიტეტი ლ. კომკავშირის უჯრედთა წევრებს შორის; 3) კომისიებს სწორად არ ესმოდათ პარტხელმძღვანელობა ლ. კომკავშირზე და იჩენდენ გადახრას ხელმძღვანელობაში; 4) ადგილი ჰქონდა წვრილმან ჩარევას ლენ. კომკავშირის უჯრედთა საკითხებში და კომკავშირის აქტივის ინიციატივის ჩახშობას; 5) ადგილი ჰქონდა აგრეთვე უთანხმოებას კომისიების წევრებ შორის კომკავშირის უჯრედთა საერთო კრებებზე.

გაითვალისწინა რა ყველა ეს ზემოდ მოყვანილი უარყოფითი მოვლენები, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებამ შეიმუშავა დებულება საორგანიზაციო კომისიების მუშაობის შესახებ. კომკავშირის უჯრედებს და მათთან კავშირის დამჭერ კომისიებს მიეცათ მთელი რიგი დირექტივებისა ურთიერთობის მოსაგვარებლათ.

ამ ჟამად კომისიების მუშაობას დაეტყო გამოცოცხლება. დარწმუნებული უნდა ვიყვეთ, რომ ამ ჟამად უჯრედთა ბიუროების განახლებასთან დაკავშირებით ჩატარებული იქნება კომისიების ხელახალი არჩევნები და კომისიები შევსებული იქნებიან ახალი ამხანაგებით, რომლებიც გამოაცოცხლებენ თავიანთ მუშაობას.

ლანი.

წერილები ადგილებიდან

ქ. ქუთაისი

სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა

ქუთაისის სამაზრო კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება უმთავრეს ყურადღებას აქცევდა პარტგანმანათლებელ მუშაობას.

გარდა ამისა ჩატარებულ იქნა წინასწარ მოსამზადებელი მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობასთან საბრძოლველად. ახლა ხანში სალიკვიდაციო პუნქტები განაახლებენ თავიანთ მუშაობას.

აქას წინად ადგილობრივ პარტიულ სკოლაში მიღებული იქნა 136 ამხანაგი, ამათში 27 ქალია. მაზრების მიხედვით პარტსკოლაში მსმენელთა რიცხვი განაწილებულია ამრიგად: თვით ქუთაისიდან—31, შორაპნიდან—21, ოზურგეთიდან—25, ლეჩხუმიდან—21, ზემო-სვანეთიდან—22 და რაჭიდან—21. წლეს პარტიული სკოლა უზრუნველყოფილია საკმაოდ მომზადებულ ხელმძღვანელებით.

სააგ.-საპროპ. ხაზით განყოფილების მიერ თბილისის მუშფაკში გაგზავნილი იყო 12 ამხანაგი, კომუნივერსიტეტში—6 და ცენტრ-პარტსკოლაში—24.

მეთვალყურე.

დუშეთი

უპარტიოთა შორის მუშაობა

ამ ბოლო დროს დუშეთის მაზრაში უპარტიოთა შორის მუშაობა გამოცოცხლდა. უჯრედის ღია სხდომებზე მრავლად ესწრებიან უპარტიოები. იზრდება პარტიისაკენ ლტოლვა. გლეხებს სურთ დაუახლოვდნენ არა მარტო პარტიის გარეშე, არამედ თვით პარტიაში. მაგრამ აქ ერთ სამწუხარო მოვლენას აქვს ადგილი. დუშეთს და მის მაზრას არა ჰყავს მომზადებული პარტმუშაკები, რის გამოც უპარტიოთა შორის მუშაობის გაღრმავება შეუძლებელი ხდება. უჯრედების პასუხისმგებელი მდივნები კი არ არიან ისეთი ცოდნით აღჭურვილნი, რომ სათანადოთ გაუძღვნენ ამ საქმეს.

უპარტიო გლეხობის ლტოლვას პარტიისაკენ მხოლოდ მაშინ მოჰყვება საგრძნობი შედეგები, როდესაც ჩვენ შევძლებთ ამ უპარტიოთა პოლიტიკური აქტივობის და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათ აღზრდას. ამიტომაა, რომ ჩვენი მაზრის პარტმუშაკებით უზრუნველყოფის საკითხი დღეს ერთი საჭირბოროტო საკითხთაგანია, რასაც პარტიის უმაღლესმა ორგანომ უნდა მიაქციოს სერიოზული ყურადღება.

დ. კ—ლი.

ქულაშის თემი (სამტრედიის რაიონი)

უჯრედის წევრების პოლიტიკური განვითარება უნდა ავხწიოთ.

დღეს, ქულაშის კომუჯრედი აერთიანებს 45 წევრს და კანდიდატს; ამათში 2 ქალია. უჯრედის კრებები იმართება თვეში ორჯერ; ზოგი დახურული და ერთიც ღია. ღია სხდომებზე ხშირად ესწრება უპარტიო გლეხობა.

უჯრედის წევრთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი და მცირე მცოდნეა. ამხანაგების პოლიტიკური განვითარებაც ძლიერ დაბალია. ამიტომაც, რომ მათ პარტიის ახალი კურსი არც აქვთ შეთვისებული, და იმ დროს, როდესაც უპარტიო მასსა გაცილებით უფრო მაღლა სდგას პოლიტიკურად, თუ აქეთ არანორმალურ მდგომარეობას ეხლავე არ გამოუცხადეთ სასტიკი ბრძოლა, თუ არ ვიზრუნეთ ამხანაგების პოლიტიკურ განვითარებაზე—ჩვენ ნიადაგს ვერ წავალთ. პარტიული ხაზის გატარება სოფლად ამ შემთხვევაში შეუძლებელია, თუ უჯრედი, რომელიც წარმოადგენს [illegible] მუშაობის, თავისი დანიშნულების სიმაღლეზე დადგომება.

დღეს-დღეობით კი საჭიროა, რომ უჯრედი [illegible], რათა გამოიყენოს [illegible] სოფლის [illegible], მისი უშუალო დახმარებით გამოსცეს კედლის გაზეთი, რაც დიდათ ხელს შეუწყობს სოფლის გაჯანსაღებას.

— ბა მელქაძე.

ყოთ, რომ ყოველი საერთაშორისო გართულების დროს, ახალი კონტრრევოლიუციონური ტალღის წარმოშობის დროს, თუ ისინი ამას ოდესმე მოესწრენ, აი შინაურ ემიგრანტებს შეუძლიათ რამე იხეირონ.—სეით დევდარიანმა სთქვა: „ჩვენ გვქონდა პარიტეტული კომიტეტი, ერთნაირი ორგანოსავით, შემდგარი პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებისაგან, იმისათვის, რომ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა ხელისუფლების საერთაშორისო მდგომარეობა გართულდებოდა, ეს პარიტეტული კომიტეტი მზად ყოფილიყო ამ ხელისუფლების მისაღებად“. მან სთქვა, რომ თუ რაიმე მიზეზის გამო ბოლშევიკები იძულებული იქნებიან წავიდნენ, ისინი ყოველივე ზომებს მიიღებენ, რომ ძალაუფლება ხელში არ ჩაიგდოს რეაქციამ. იმ შემთხვევაში, თუ გართულდება ჩვენი მდგომარეობა, დევდარიანის და მის მზგავსთა ამოცანა იქნება არა ის, რომ მოუწოდოს ხალხს ბრძოლისაკენ მჩაგვრელების წინააღმდეგ,—ის საზოგადოთ არავითარი ბრძოლისათვის გამოსადეგი არ არის და ამიტომაც, სხვათაშორის, ის წინააღმდეგია შეიარაღებული აჯანყების—არამედ ფსონს იდებს ამ ბრძოლაზე, მოუწოდებს მასებს იქითკენ, რომ წინააღმდეგობა არ გასწიონ, ხოლო შესაძლებელია თავისი უხასიათობით კიდევ გადავიდეს მოწინააღმდეგის ბანაკში. აი სწორედ ეს არის „პარაჟენცობა“ ჩვენს საბჭოთა პირობებში. აი ამ „პარაჟენცობის“, შინაური ემიგრაციის წინააღმდეგ ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ. პარტიამ გადაჭრით უნდა ებრძოლოს ს. დევდარიანის პოზიციას, ყოველ ჯურის მენშევიზმის პოზიციას, იქნება ეს ნ. ჟორდანია თავისი ავანტიურიზმით, ფანატიზმი ნოე რამიშვილის, რომელიც წარმოადგენს მენშევიკური პარტიის ბოროტ გენიას, იქნება ეს გრ. ლორთქიფანიძე თავისი „შეგუების“ წყნარი მუშაობით, თუ სეით დევდარიანი თავისი პოზიციით, შინაური ემიგრაციისა და „პარაჟენცობის“ პოზიციით საბჭოთა პირობებში. რაც შეეხება იმათ, ვინც ჩვენსკენ მოდის მუშათა კომისიას და ალიხანიშვილის ჯგუფს და იმათ, ვინც მათ მოჰყვება, მათ შორის მოგვიხდება დიდი იდეურ-პოლიტიკური მუშაობის გაწევა. იმედის დამყარება მენშევიკურ ინტელიგენციაზე, რომ ეს ხალხი რამეს გააკეთებს, ჩემი აზრით, არ ღირს. არ მგონია რამე გამოვიდეს ამ სეით დევდარიანის ტიპის ხალხისაგან.

ამხ. კ. სულაქველიძემ სთქვა ყოფილ მენშევიკების თათბირზე, რომ ჩვენ უკანასკნელ დროს გადაუხვიეთ მარქსის და ენგელსის ანდერძს, ვკვებოდით დამახინჯებული მარქსიზმით და მხოლოდ ეხლა ვუბრუნდებით ჭეშმარიტ მარქსიზმს. ამ მხრივ ჩვენ უნდა გავსწიოთ დიდი და სერიოზული მუშაობა. ჟორდანიას უკანასკნელ ბროშურას ეწოდება „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“, სადაც ნამდვილ კომუნისტს ის უწოდებს თავის თავს და თავის მრევლს, ხოლო ყალბ კომუნისტებს გვიწოდებს ჩვენ.

ამას სწერს ის სოციალისტი (ოდესღაც ხომ იყო სოციალისტი!) რომლის საზღვარგარეთის ორგანოს „ბრძოლა“-ს 1 №-ში მთელი ლოზუნგია დაწერილი: „სოციალიზმს მეტი საერთო აქვს ბურჟუაზიასთან, ვინემ ბოლშევიზმთან“.

ამას სწერს ის კაცი (ოდესღაც ხომ იყო კაცი!), რომელმაც იმავე ორგანოს „ბრძოლა“-ში სამუდამოდ უარყო და მოხსნა, სრულიად სამართლიანად მისი თვალსაზრისით (ალბად, ზედმეტად სცნო) ძველი პროლეტარული ბრძოლის დევიზი, „კომუნისტური მანიფესტის“ ავტორების ანდერძი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით“.

მე ვფიქრობ, რომ ამის შემდეგ ზედმეტია კამათი ყოფილ სოციალისტთან და ყოფილ კაცთან, ხოლო ეხლა ყალბი მარქსიზმის მქადაგებელთან და მის უცხოელ „მინისტრებთან“ იქ სიცოცხლე აღარ არის, იქ ლეშის და სიდამპლის სუნი სდგას... და დეე მკვდრებმა მკვდრები დამარხონ...

ჩვენ აქ—ცოცხალ და მხნე, ბრძოლისაკენ მომავალ, ძველი წითელი დროშის ქვეშ დამდგარ, ჩვენ ახალ თანამებრძოლებს და ამხანაგებს—მოწინავე მუშებს შორის უნდა გავაძლიეროთ ფართო იდეურ-პოლიტიკური მუშაობა, უნდა გავაძლიეროთ ჩვენი ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე და აღვზარდოთ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ მარქსისტებად ის მასა, რომელიც გზა აბნეული იყო ნოე ჟორდანიას დამახინჯებული მარქსიზმის წყალობით.

მიხ. კახიანი.

ეკონომიური ცხოვრება

პურის დამზადება და ბაზარი

ამ დღეებში შესდგა თბილისის სავაჭრო და საფონდო ბირჟის პურის პროდუქტების სექციის სხდომა, რომელზეც პურის დამზადებისა და ბაზრის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა „ხლებოპროდუქტის“ წარმომადგენელმა ამხ. იცშინმა.

მომხსენებელმა განაცხადა, რომ მიმდინარე კამპანიაში გეგმით გათვალისწინებული რაოდენობის პურის დამზადება ჩრდილო-კავკასიაში მიმდინარეობს სუსტად, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ დაწესებული ფასები ფქვილზე, საგრძნობლად განსხვავდება კერძო ბაზრის ფასებისაგან.

ესაა მიზეზი, რომ სახელმწიფო ორგანიზაციებმა დაამზადეს მიცემულ ამოცანის მხოლოდ 58 პროცენტი; რაც შეეხება კერძო დამამზადებლებს, მათი მუშაობა უფრო ინტენსიურია.

ამასთანავე მომხსენებელი შეეხო პურის ფქვილის ფასებს და აღნიშნა, რომ ფასების მომატება მოსალოდნელი არ არის. პირიქით, ფასებს ემჩნევა კლება.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე ბაზრისათვის პურეულის მიწოდებას და განაცხადა, რომ გლეხობას პურის პროდუქტები ბაზარზე დიდი რაოდენობით არ გამოაქვს. ამის მიზეზია ბაზარზე სამრეწველო საქონლის უქონლობა, რაც გლეხს საშუალებას არ აძლევს პურის მაგიერ იყიდოს სხვა საქონელი.

ამიტომ ისეთი მსხვილი დამამზადებელი ორგანიზაცია, როგორიცაა „ხლებოპროდუქტი“ იძულებულია პურის ფქვილის მაგიერ დამზადოს მზესუმზირა და სხვა მე-2 ხარისხოვანი სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოები. პურის ფქვილის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მიღებულ ზომებმა გასჭრეს და ამ უკანასკნელად მიღებული ფქვილის პარტიის ხარისხი საგრძნობლად განსხვავდება წინანდელისაგან.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა პურის მარაგის საკითხზე და აღნიშნა, რომ „ხლებოპროდუქტ“-ს პურის ფქვილის მარაგი საკმაო რაოდენობით მოეპოვება.

სასოფ.-სამ. საკრედიტო და კოოპერატიულ ამხანაგობათა გაერთიანებისათვის

წარმოკავშირის და საქ. სასოფ.-სამ. ბანკის საინსტრუქტორო-საორგანიზაციო განყოფილებებმა გამოიმუშავეს გეგმა მთელ რიგ ძირითად სასოფ.-სამ. ორგანიზაციების გაერთიანებისთვის.

უკვე შედგენილია სია წარმოკავშირის სისტემაში შემავალ იმ კოოპერატიულ ამხანაგობების, რომლებიც უნდა გადავიდნენ საკრედიტო ამხანაგობათა წესდებაზე.

სასოფ.-სამ. ბანკის ძირითად ორგანიზაციების ქსელში ამჟამად შედის 124 ამხანაგობა, რომელთაგან წარმოკავშირს [illegible] ასეთსავე რაოდენობას გამოჰყოფს წარმოკავშირი თავის მხრივ. დანარჩენი ამხანაგობები გადავლენ ახალ წესდებაზე. ამასთანავე წარმოკავშირის 7 ამხანაგობა მიიღებს საკრედიტო ამხანაგობის ფუნქციებს.

აღნიშნულ გაერთიანების შემდეგ, ამხანაგობებზე იდეური ხელმძღვანელობა დარჩება წარმოკავშირს. ეს ხელმძღვანელობა გამოიხატება: მათ ორგანიზაციულ შენებაში, ინსტრუქტორული ხელმძღვანელობის გაწევაში, მათ მიერ დამზადებულ სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების დამზადება-რეალიზაციაში და სხვ. ბანკს კი ევალება: ინსტრუქციების მიცემა, კრედიტების სფეროში რევიზიების წარმოება და სხვა.

ამჟამად საკრედიტო და კოოპერატიულ ორგანიზაციებში ანგარიშთწარმოება სხვადასხვაგვარად სწარმოებს, ახლა კი ყველა ორგანიზაციებში შემოღებული იქნება ამერიკული სისტემა.

ამ ახალ სისტემაზე გადასვლას ხელს უშლის მომზადებულ მუშაკების უქონლობა. ამისათვის მიღებულია ზომები 1 იანვრიდან ყოველ მაზრაში ჩატარდეს ორკვირეული კამპანია ადგილობრივ მუშაკთა გადასამზადებლათ.

კოოპერაცია

ბოროტმოქმედებანი დასავლეთ საქართველოს კოოპერატიულ ორგანიზაციებში

ერთი თვის წინად წარმოებულმა რევიზიამ ქუთაისის მაზრის თემების მთელ რიგ კოოპერატიულ ორგანიზაციებში აღმოაჩინა გამგეობის წევრების და სხვა პასუხისმგებელ თანამშრომელთა მიერ ფულების გაფლანგვა და კოოპერატიულ ქონების მითვისება.

მაგალითად სოფელ მუხიანის ერთიან მომხმარებელ საზოგადოების პასუხისმგებელ ნოქარს გაუფლანგავს 700 მანეთზე მეტი კოოპერატივის ფული, რის შესახებაც შედგენილია ოქმი, რომელიც გადაცემული აქვს პროკურორს.

იმავე მომხმარებელ საზოგადოებაში ნოქარ ვაჟაძეს სექტემბერში გაუფლანგავს 670 მანეთი, 115 მანეთი მიუთვისებია აგრეთვე მუხიანის კოოპერატიულ ფურნის გამგეს.

სოფელ ვანის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარეს გაუფლანგავს კოოპერატივის საჭიროებისათვის „ცეკავშირი“-საგან ავანსად მიცემული 1472 მანეთი, იმავე ერ. მომხ. საზ—ის გამგეობის წევრს შეუჭამია 375 მანეთი. გამგეობის მავე წევრს მიუთვისებია 1000 მანეთი, რომელიც მას მიცემული ჰქონდა გლეხებისაგან თხილის შესასყიდად. ეს ვაჟბატონი გლეხებს და კოოპერატივის გამგეობას არწმუნებდა, თითქოს ეს თანხა სოფელში მოგზაურობის დროს დაეკარგა. მაგრამ ფულის მეორეჯერ მითვისების გამორკვევის შემდეგ, ცხადი შეიქნა სად „დაიკარგა“ გლეხებისათვის დასარიგებელი 1000 მანეთი. ვანის იმავე მრავალხანგძლ „ეპო“-ში მოანგარიშე და ნოქარს გაფლანგული აღმოაჩნდა 900 მანეთი, ამგვარად ვანის მომხმარებელმა საზოგადოებამ იზარალა 3747 მანეთი.

სოფელ ამაღლების (ქვემო იმერეთი) ერთიანი მომხმარებელი საზოგადოების მაღაზიის გამგეს გაფლანგული აღმოაჩნდა 724 მანეთი, რის შესახებ შედგენილ იქნა ოქმი, რომელიც გადაეცა პროკურორს.

ბოროტმოქმედებას ვერ გადაურჩა ვერც ზესტაფონის ერ. მომხ. საზოგადოება. მიუხედავათ იმისა, რომ ორგანიზაცია აერთიანებს მევენახეობის მდიდარ რაიონის გლეხებს, კოოპერატივის ბალანსი დიდ დეფიციტს შეიცავს. როგორც ერთ. მომხ. საზოგადოების რწმუნებულთა კრებაზე გამოირკვა, „ასეთი დიდი დეფიციტი შედეგია კოოპერატივის გამგეობის და თანამშრომლების მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებისა.“

საზოგადოების დებიტორთა ანგარიშში აღნიშნულია 45 ათასი მანეთი, აქედან რამოდენიმე ათასი მანეთის შესახებ არავითარი საბუთი—დოკუმენტები არ არსებობს, ხოლო რამოდენიმე ათასი ირიცხება ისეთ პირებზე, რომელნიც ამჟამად ზესტაფონში არ იმყოფებიან, ან ისეთებზე, რომელთაც ვალის გადახდა არ შეუძლიათ. ამ თანხის შეკრება შეუძლებელი საქმეა. გარდა ამ 45 ათასისა, ვალი აღნიშნულია კიდევ „ვილაც პირებზე“, რომელთა ვინაობა შეტანილი არ არის წიგნებში და ამის შესახებ არც არავითარი გასამართლებელი საბუთები მოიპოვება.

გამგეობის კანტორაში არ არსებობს საქონლის წიგნი, ურომლისოდ შეუძლებელი შეიქნა მოგების, ზარალის, დარჩენილი საქონლის სწორი ციფრის გამორკვევა.

გამგეობის წევრთა „საქმიანობას“ არ ჩამორჩება ნოქრების „ერთგული მუშაობა“ თავის ჯიბის სასარგებლოდ.

ნავთის კრიზისის დროს, როცა გირვანქა ნავთი 10—17 კაპ. ღირდა, ზესტაფონის „ეპო“-ს ნოქარს გელაშვილს 5 ათასი ფუთი ნავთიდან გაუყიდია მხოლოდ 4 ათასი. 1000 ფუთი კი „დაღვრილა“. (როგორც გამოირკვა გელაშვილის ჯიბეში ჩაღვრილა). ახალმა გამგეობამ გელაშვილი მოხსნა თანამდებობიდან და აღძრა მის წინააღმდეგ საჩივარი.

მრავალი ბოროტმოქმედებანი აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ზესტაფონის რაიონის სასოფლო კოოპერატივებში.

კოოპერატივი „გლეხთა კავშირი“

(სოფ. გომი, გორის მ.)

სოფ. გომში არის მთლიანი რაიონის მომხმარებელი საზოგადოება „გლეხთა-კავშირი“, რომელიც აწვდის სხვადასხვა საქონელს 22.000 გლეხს მთელ რაიონში, როგორც არის ფართალი, შარილი, ხაზონი, წუმწუმა, თამბაქო, რკინეულობა, ლურსმანი და სხვა; ემოსმა აგრეთვე დაამზადა გლეხებისათვის 700 ფუთი, თითო თავის მალით 7—50 კ. ეპოს აქვს 8 განყოფილება, პურის საცხობი, წითელი სასადილო, ელექტრონის სადგური „დიზელი“, წისქვილი და სამხერხაო (ელექტრონისა) და თბილისში სამანის ქარხანა ხაშურის და ბორჯომის ეპოსთან ერთად. გლეხობა კმაყოფილია ემ-ის მუშაობით.

1924 წ. 1 ოქტომბრიდან 1925 წ. 1 ოქტომბრამდე საქონლის ბრუნვა იყო 1.797.775—11 კ. დაურიგდა წევრებს დივიდენდი 603—50 კ.

18 ოქტომბერს შესდგა ემოსის წევრების კრება, რომელსაც დაესწრო 350 წევრი.

გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენების შემდეგ, მუშაობა გამგეობისა ჩაითვალა დამაკმაყოფილებლად და გადაარჩიეს ძველი გამგეობა, რომელშიაც შედიან რუხაძე, დანელია, ცხოვრებაშვილი, კოშკაძე და ნოზაძე. კრებამ დაამტკიცა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

წმინდა მოგება დარჩა ემოსს 24.295—35 კ. საჭიროა, რომ ამ კოოპერატივს მიეცეს დახმარება გრძელვადიანი სესხით, რადგანაც ემოსი მუშაობს მოკლევადიანი სესხებით და ეს ძალიან აფერხებს მის მუშაობას. გომის ემოსს არ მიუღია არც ერთი კაპეიკი გრძელვადიანი სესხისა.

მანაველი

მატყლის დამზადება

მიმდინარე წელს წარმოკავშირს წინასწარ შემუშავებული გეგმით უნდა დაემზადებია 82.000 ფუთი მატყლი. აქედან გაზაფხულის მატყლი უნდა დაემზადებია—59.000 ფუთი და შემოდგომის—43.000 ფუთი.

ამ რაოდენობიდან უკვე დამზადებულია გაზაფხულის მატყლი—29.867 ფ. და შემოდგომის—20.000 ფუთამდე.

მატყლის დამზადება სწარმოებს წარმოკავშირის ძირითად ორგანიზაციების საშუალებით. იმ რაიონებში და ბაზრებზე, სადაც კოოპერატივები არ არსებობენ, დამზადება სწარმოებს წარმოკავშირის სამეთაური აპარატის საშუალებით.

დამზადებისათვის ფულის მიწოდება არ შეფერხებულა. ავანსები გაიცა დამამზადებელ ორგანიზაციებზე ფულად, ხოლო ორგანიზაციებიდან მეცხვარეები იღებდნენ კუთვნილ თანხებს, ნაწილს ფულად, ნაწილს საქონლით.

გაზაფხულის მატყლის დამზადება უკვე დამთავრდა და იგი 90 პროც. შესრულებულია.

წარმოკავშირი მიღებულ მატყლს, ჩაბარებამდე ახარისხებს; ამ გვარად ჩაბარდა „შერსტ“-ს გაზაფხულის მატყლი, ეხლა კი სწარმოებს შემოდგომის მატყლის დახარისხება.

სასოფლო მეურნეობა

სესხი სასოფ.-მეურნეობას

ა.-კავკასიის საგეგმო კომისიის ა. წ. 17 ოქტომბრის დადგენილების თანახმად, ა. კავკასიის სასოფ.-სამეურნეო ბანკმა გაანაწილა 157,600 მანეთი ამიერ-კავკასიაში თამბაქოს კულტურის განსავითარებლად. ამ თანხიდან გრძელვადიანი სესხის სახით აფხაზეთს ერგება 96.070 მან., საქართველოს: ლ. გოდების რაიონისთვის—17.680 მან. და გურიისთვის—11.180 მანეთი; აზერბეიჯანს—2.840 მან. და სომხეთს—2.730 მან.

მოკლევადიან სესხის სახით კი: საქართველოზე მოდის—9.522 მან., აზერბეიჯანზე—7.314 მან., სომხეთზე—8.308 მან. და აჭარისტანზე—2.455 მანეთი.

გარდა ამისა ა.-კ. სასოფ.-სამ. ბანკმა გაუხსნა საქართველოს ბანკს მოკლევადიანი კრედიტი 50.000 მანეთის რაოდენობით, საქართველოში ხილის დასამზადებლად და გრძელვადიანი კრედიტი—50.000 მანეთის რაოდენობით აზერბეიჯანის სასოფ.-სამ. ბანკს მუშა-საქონლის შესაძენად.

ა.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოფენა

ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოფენის მომწყობ კომიტეტმა მიმართა ა.-კ. ცალკე რესპუბლიკების მიწათმოქმედების კომისარიატებს თხოვნით, მიიღონ ახლო მონაწილეობა გამოფენის მოწყობაში. მონაწილეობა უნდა გამოიხატოს სამეურნეო-ეკონომიურ პირობების დამახასიათებელ სხვადასხვა დიაგრამების და კარტოგრამების წარმოდგენაში, აგრეთვე რესპუბლიკაში უფრო გავრცელებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღების ასორტიმენტის დამზადებაში.

თბილისის აღმასკომი მხურვალე მონაწილეობას იღებს გამოფენის მოწყობასთან დაკავშირებულ საქმეების მოწესრიგებაში.

გამოფენის კომიტეტმა დანიშნა ხუროთმოძღვრები, რომელთაც მინდობილი აქვთ გამოფენის ადგილის დაგეგმვა.

უცხოელების მიერ შემოტანილ მანქანა-იარაღების დაცვას და მოვლას კისრულობს გამოფენის კომიტეტი, რომელიც სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოს საშუალებით შეღავათიან ფასებში დააზღვევს უცხოელთა ნივთებს.

გამოფენაზე იწარმოებს მანქანა-იარაღების გამოცდა. გამოსცდიან უმთავრესად მიწის დასამუშავებელ იარაღებს, დანარჩენი მანქანები კი გასინჯული და შეფასებული იქნება მათი აგებულობის და ამიერ-კავკასიის სინამდვილესთან შეფარდებით.

შ. მ. ო.-ს კვირა

როგორ ავღრიცხოთ საწარმოო თათბირის მუშაობა

საწარმოო თათბირების მუშაობაში ამ ბოლო დროს შენიშნულია მუშათა მასის საერთო ინტერესის შემცირება ამ თათბირების მიმართ.

იბადება კითხვა: სად უნდა ვეძიოთ ამ მოვლენის მიზეზები? გვერდს უხვევთ რა შემთხვევითი ხასიათის მთელ რიგ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიან თათბირების მუშაობას, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიზეზი, უმთავრესად, მდგომარეობს იმაში, რომ სათანადოთ მოგვარებული არ არის საწარმოო თათბირების მუშაობის შედეგების აღრიცხვა.

ეჭვს გარეშეა, რომ უშედეგობა, ბოლოს და ბოლოს, ჰკლავს აქტივობას. ამას გარდა, აღრიცხვის უქონლობა და საწარმოო თათბირების მუშაობის შედეგების გამოურკვევლობა აძნელებს ხელმძღვანელობის გაწევას პროფორგანიზაციების მხრიდან, საშუალებას არ იძლევა მარტივ ფორმებში იქნეს ჩამოსხმული საწარმოო თათბირების მიღწევები და ასუსტებს მუშათა მასების შემოქმედებითი ინიციატივის გამომჟღავნებას.

როგორ უნდა მოგვარდეს საწარმოო თათბირების მუშაობის აღრიცხვა? როგორი უნდა იყოს ეს აღრიცხვა?

უპირველეს ყოვლისა, ის უნდა შეეფერებოდეს იმ ძირითად ამოცანებს, რომლებიც დასმულია საწარმოო თათბირის წინაშე, სახელდობრ: მუშათა ფართო მასების ჩაბმა წარმოების გაუმჯობესების საქმეში, მასების საწარმოო აქტიურობის განვითარება და მუშების საწარმოო გამოცდილების გამოყენება.

ამას გარდა, აღრიცხვის საქმე უნდა იყოს უბრალო, ტექნიკურად ადვილად განსახორციელებელი და ყოველი მუშისათვის გასაგები და ხელმისაწვდომი.

აი ის ორი ძირითადი მოთხოვნილება, რომლებიც უნდა წაუყენოთ საწარმოო თათბირების მუშაობის აღრიცხვას. გამოვდივართ რა ამ მოთხოვნილებებიდან, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ აღრიცხვის სწორათ დაყენება საშუალებას მოგვცემს ნათელი პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებზე: რამდენათ არიან ჩაბმული მუშები ეკონომიურ მუშაობაში, რამდენათ აქტიურია მათი მონაწილეობა და როგორია საწარმოო თათბირების მუშაობის რეალური შედეგები.

მუშათა მასების აქტიურობის გამოსარკვევათ აუცილებელია აღრიცხვა თათბირების რაოდენობისა განსაზღვრულ დროში; ამასთანავე აღრიცხული უნდა იქნეს თათბირებზე დამსწრეთა რიცხვი, მუშების გამოსვლა, გარჩეული საკითხების რაოდენობა და ბოლოს, თვითეული თათბირის ხანგრძლივობა.

საწარმოო თათბირის მუშაობის შედეგების შესაფასებლად შემოღებული უნდა იქნეს საწარმოო თათბირებზე წამოყენებულ კონკრეტიულ ღონისძიებათა, მათი შესრულების, პრაქტიკული განხორციელების და აგრეთვე იმ მიზეზების აღრიცხვა, რომლებიც ხელს უშლიან მათ გატარებას.

მან.

შ. მ. ო.-ს ქრონიკა

— ამიერ-კავკასიის ცაკთან ეწყობა შ. მ. ო.-ს ლიგის უჯრედი.

— ჩატარებული იქნა ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამართველოს ტელეფონზე მომუშავე ქალების პროფესიონალური ვარგისობის შემოწმება.

— ოთხშაბათი შემოღებულია შ. მ. ო.-ს დღეთ. ამ დღეს თბილისის გაზეთებში იბეჭდება სპეციალური წერილები და შ. მ. ო. ს ქრონიკა.

— დღეს, 4 ნოემბერს, შესდგება შ. მ. ო.-ს ლიგის თბილისის კომიტეტის პლენუმის ღია სხდომა (რუსთაველის პრ., 24, საღამოს 7 საათზე.

ქაღალდის ქარხნის გახსნისათვის

(საქართველოს საგეგმო კომისიაში)

30 ოქტომბერს შესდგა კომისიის სხდომა, რომელსაც დავალებული ჰქონდა გამოერკვია ქაღალდის ქარხნის ნედლი მასალით უზრუნველყოფის საკითხი. კომისიის სხდომას დაესწრენ ამხ. ჯუღელი, ა. ქოიავა-შვილი, დოლგოვი, პროფ. ვინაგრადოვ-ნიკიტინი, პროფ. ქურდიანი, ინჟ. ალშიბაია, ბაქრაძე, ზაკტრეგერი, კოტიკი და ყარსელაშვილი. მთავარი გასარჩევი საკითხი იყო საქართველოს ტყეების, განსაკუთრებით სოჭის და ნაძვის ქაღალდის საჭიროებისათვის გამოყენება და ამ მასალით უზრუნველყოფა ქაღალდის ქარხნისა საქართველოში. კომისიის წევრებმა სხვადასხვა აზრი გამოსთქვეს სოჭის, როგორც მასალის გამოყენების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კომისიამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი დასკვნა: „სოჭი თავის ღირსებისა გამო არ შეიძლება ჩაითვალოს ძირითად საალშენებლო მასალათ. ამისდამიხედვით, სოჭი უმთავრესად გამოყენებულ უნდა იქნეს ქაღალდის ქარხნის ნედლ მასალათ“.

შემდეგ კომისია გადავიდა ნაძვის, როგორც ქაღალდის მასალის გამოყენების, გარჩევაზე. კომისიამ მიიღო ერთხმად ამხ. დოლგოვის მიერ წარმოდგენილი შემდეგი დადგენილება: ნაძვის ხე, როგორც საალშენებლო მასალა, თავის ღირსების მიხედვით საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს; ამას გარდა ნაძვი თავის თვისებებისა გამო არ არის სავსებით გამოსადეგი როგორც ნედლი მასალა ტეხნიკური თვალსაზრისით ქაღალდის ქარხნისათვის. ქაღალდის ქარხნისათვის ის შეიძლება გამოდგეს როგორც დამხმარე ნედლი მასალა, აგრეთვე შეიძლება გამოდგეს ნარჩენიც, რომელიც დარჩება სატყეო მასალის დამზადების დროს. ვერხვის, როგორც მასალის, გამოყენების შესახებ კომისიამ ის აზრი გამოიტანა, რომ ის არ შეიძლება ჩაითვალოს ქაღალდის ქარხნის მასალის ბაზად. კომისიამ შესაძლებლათ მიაჩნია გამოყენებულ იქნეს ვერხვის ხე, როგორც დამხმარე მასალა ქარხნის საჭიროებისათვის. კომისიამ საჭიროთ დაინახა აგრეთვე ალვის ხ. ს გასაშენებლათ მიღებულ იქნეს შესაფერი ზომები, რადგან ის შეიძლება ჩაითვალოს ქაღალდის ქარხნის საუკეთესო და ნაყოფიერ მასალათ.

თათბირზე გამოირკვა, ჩვენი ტყეების მარაგი იმდენად დიდია, რომ თავისუფლად შეიძლება ქაღალდის ქარხნის სატყეო მასალით საკმაოდ უზრუნველყოფა. მაგალითად: მდინარე ინგურის რაიონს შეუძლია მოგვცეს 1.200.000 კუბ. ფ. სოჭის მასალა, ცხენის-წყალის რაიონს—750.000 კ. ფ., მდინარე რიონის რაიონს—650.000 კ. ფ., ბაღდადის რაიონს—80.000 კ. ფ., მდინარე ბზიბის რაიონს—1.000.000 კ. ფ., მდინ. კოდორის რაიონს—1.500.000 კ. ფ. ყველა ზემოხსენებულ ხუთ რაიონს ქაღალდის ქარხნის მასალისათვის შეუძლია მოგვცეს—4.900.000 კუბიკური ფუტი.

ამხ. ზაკტრეგერის ცნობების მიხედვით კი ბზიბის, კოდორის, რაჭის, ჩებისხევის და ბაღდადის რაიონებს შეუძლია მოგვცეს არა ნაკლებ—10.065.000 კუბ. ფ. სოჭის მასალა.

ამ მოსაზრებათა გამო კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოში ასაშენებელი ქაღალდის ფაბრიკა, რომლის პროდუქცია 1 მილიონი ფუთი უნდა იყოს, სავსებით უზრუნველყოფილი იქნება საჭირო ნედლი მასალით.

უბედური შემთხვევები წარმოებებში

ამიერ-კავკასიის და საქართველოს შრომის ორგანოების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ უბედურ შემთხვევათა რიცხვი არა თუ არ კლებულობს, თანდათან იზრდება.

მაგალითად 1923—24 სამეურნეო წლის განმავლობაში შრომის ორგანოების მიერ აღრიცხული იყო მთელს ამიერ-კავკასიაში 3.488 უბედური შემთხვევა, ხოლო 1924—25 სამეურნეო წლის განმავლობაში უბედურ შემთხვევათა რიცხვმა ა/კ. წარმოებებში 3.670 გადააჭარბა. ამაში არ შედის უკანასკნელ კვარტალში მომხდარი შემთხვევები.

რაც შეეხება კერძოთ საქართველოს, აქ უბედურ შემთხვევათა რაოდენობა გასულ წელთან შედარებით 30 პროც.-ით გადიდებულა. უბედურ შემთხვევათა გახშირება დღის წესრიგში აყენებს ამ საკითხის სათანადო მოგვარებას.

როგორც სტატისტიკური ცნობები მოწმობენ უბედურ შემთხვევათა მთავარი მიზეზებია: გამაფრთხილებელ ზომების მიუღებლობა, მუშაობის არანორმალური პირობები მანქანების და დაზგების მოუწყობლობა, დასამუშავებელი მასალის უვარგისობა, სამუშაოს ცუდი ორგანიზაცია—მოწყობა და სხვა.

უბედურ შემთხვევებთან ბრძოლას წარმოებებში არ ექცევა სათანადო ყურადღება. სამეურნეო ორგანოები არ იღებენ ზომებს სანიტარულ-ტეხნიკური პირობების შესაქმნელად, როგორც ამას საჭიროდ სცნობენ შრომის ინსპექტორები; გარდა ამისა არც პროფორგანოები და არც შრომის დაცვის კომისიები თვალყურს არ ადევნებენ სანიტარულ-ტეხნიკურ ღონისძიებათა გატარებას წარმოებებში. ერთი სიტყვით, მუდმივი კონტროლის უქონლობის გამო,—შრომის დაცვის დარგში სათანადო ყურადღება არ ექცევა გაფრთხილების ტეხნიკას.

უმთავრეს შემთხვევაში თვით მუშებიც არ არიან დაინტერესებული რომ უნაკლოთ ასრულებდნენ შრომის სახ. კომ-ტის დადგენილებებს ხიფათისაგან დაცვის შესახებ.

პროფკავშირებში

ყველა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფ. ბიუროებს და პროფკავშირთა საბჭოებს.

მიმდინარე წლის ნოემბერში მოწვეულ ხრულიად საკავშირო პროფკავშირთა პლენუმისათვის, ს. ს. პ. კ. საბჭომ მოითხოვა ხასწრაფო ცნობები ურთიერთ დამხმარე სალაროების შესახებ.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭო წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გადმოგზავნოთ საქართველოს შრომის სტატისტიკის ბიუროში (თბილისი, მუშათა სასახლე, ოთახი № 7) ცნობები, თვითეულ კავშირისათვის ცალკე, შემდეგი ფორმით:

[illegible]	[illegible]	[illegible]		[illegible]		[illegible] მ. ხელფასი				[illegible]	ხელ. თანხ 1925 წ. 1 ოქტ.				
						დასაქმებულთა [illegible]		უმუშევართა [illegible]							
		1925 წ. 1-ლ იანვრისათვის	1925 წლის 1-ლ ოქტომბრისათვის	1925 წლის იანვარში	1925 წლის სექტემბერში	1925 წლის იანვარში	1925 წლის სექტემბერში	1925 წლის იანვარში	1925 წლ. სექტემბერში	[illegible]	ნაღდ ფულ და მიმდინარე ანგარიშზე	დაბანდებული ხაზინაში	[illegible] სხვადასხვა პირებზე		სულ ხვ. 12+13+14+15
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16

მასალები უნდა გადმოიგზავნილი იქნეს სასწრაფო ფოსტით. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პროფკავშირთა საბჭო ვერ შესძლებს მიაწოდოს ს. ს. პ. კ. ს. ცნობები დანიშნულ ვადაში.

ს. პ. კ. ს. პასუხისმგებელი მდივანი—ყურულაშვილი.
საორგანიზაციო განყ. გამგე—ფანცხავა.
შრომის სტატ. ბიუროს გამგის მოადგილე—გძელიშვილი.

ქიმიკოსთა კავშირის მე-5 ყრილობა

1-ლი სხდომა

31 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა შენობის დიდ დარბაზში გაიხსნა საქართველოს ქიმიკოსთა პროფკავშირის მე-5 ყრილობა.

კავშირის ც. გამგეობის სახელით ყრილობა გახსნა ამხ. ბაბაჯანოვმა, რომელმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, რომ გამგეობის საქმიანობაში უსათუოდ გვხვდება დეფექტები, რომლებიც უნდა აღნიშნოს ყრილობამ და მიიღოს ზომები მათ გამოსასწორებლად.

ამხ ბაბაჯანოვმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, თუ როგორი მუშაობაა ეხლა საჭირო პროფსაქმიანობაში და დასძინა, რომ მასებისათვის ბრძანების მაგიერ ადგილი უნდა დაეთმოს, მასის ფართოდ ჩაბმას პროფკავშირის საქმიანობაში და სხვა. ეს მით უმეტეს საჭიროა ეხლა, რადგან პროფკავშირის წევრთა მასები საგრძნობლად განვითარდნენ.

მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი (7 კაცისაგან), მიიღო და დაამტკიცა დღის წესრიგი და შეუდგა საქმიან მუშაობას.

ყრილობამ ამასთანავე აირჩია საპატიო თავმჯდომარეებად: ამხ. ამხ. ლოზოვსკი, ტომსკი და ყურულაშვილი.

მე-2 სხდომა

მეორე სხდომა გაიხსნა კვირას 1 ნოემბერს დილის 9 საათზე. დღის წესრიგში იყო დასმული ც. გამგეობის მოხსენება თავისი საქმიანობის შესახებ.

სანამ მოხსენების მოსმენას შეუდგებოდნენ ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ახლად გარდაცვალებულ ამხ. ფრუნზეს ხსოვნას.

ც. გამგეობის საქმიანობა

ქიმიკოსთა კავშირის ც. გამგეობის საქმიანობის შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის პ. | მგ. მდივანმა ამხ ბაბაჯანოვმა.

ა | წლის 1 ოქტომბრამდე—ჩვენი კავშირი აერთიანებდა—1.234 წევრს, რომელთაგან—146 წევრი უმუშევარი იყო. საერთოდ ც. გამგეობის საქმიანობაში იღებდა მონაწილეობას წევრთა რაოდენობის 80 პროცენტი.

აღნიშნულ დრომდე გამგეობას მოუწვევია სულ 25 თათბირი და კონფერენციები.

გამგეობა აწარმოებდა მუშაობას ძირითად ორგანიზაციებში და მჭიდრო კავშირი ჰქონდა მათთან. მათში მუშაობას გამგეობამ მოანდომა 58 დღე. რაც შეეხება მასიურ მუშაობას, ეს უმთავრესად გამოიხატება საერთო კრებების მოწვევაში თვით წარმოებებში.

გამგეობა აწარმოებდა მუშაობას ქალთა და ახალგაზრდათა შორისაც. აღნიშნულ დრომდე კავშირის მუშაობაში ჩაბმული იყო—42 ქალი, ანუ კავშირის წევრთა 26 პროც. ახალგაზრდების რიცხვი კი უდრის—233 წევრს.

თანახმად ა | წ. ს.პ.კ.ს. დირექტივებისა გამგეობას ჩაუტარებია წევრთა ხელახალი აღრიცხვა. აღრიცხვაში გატარებულია 738 წევრი

შემდეგ ეხება რა მომხსენებელი ძირითად ორგანიზაციების საქმიანობას, აღნიშნავს რომ მათი საქმიანობა თანდათან უმჯობესდება; ისინი სავსებით გადასული არიან გეგმიან მუშაობაზე.

გამგეობა აწარმოებს მუშაობას ინჟინერ-ტეხნიკოსთა შორისაც და იგი აერთიანებს 38 კაცს. რაც შეეხება სტუდენტთა შორის მუშაობას; ეს სწარმოებს უმაღლეს სასწავლებლებში და მუშფაკების პროფსექციებში, რომლებიც აერთიანებენ—35 სტუდენტს კავშირის წევრს, რომელთაგან 15—სტიპენდიანტია, დანარჩენები კი მუშაობენ წარმოებებში.

გამგეობის მუშაობა უმუშევართა შორის მდგომარეობს იმაში, რომ შექმნილია კომისია, რომელიც აწარმოებს მათ შორის მუშაობას.

შემდეგ მომხსენებელი ეხება გამგეობის ფინანსიურ საქმიანობას და აღნიშნავს, რომ ამ სფეროში სწარმოებს ინდივიდუალური საწევრო გადასახადის აკრება. რამოდენიმე ფაბრ-კომები არიან დეფიციტიანები, და მათი დეფიციტი ივსება შეძლებულ კომიტეტების საშუალებებიდან. ამასთანავე მომხსენებელი აღნიშნავს გაფლანგვებსაც. სულ გაფლანგული ყოფილა 555 მანეთი—მოქ. განჯეის და ბადრიევის მიერ.

ამას გარდა, გამგეობა აწარმოებს მუშაობას—საწარმოო თათბირებში, კავშირის წევრთა შრომის დაცვის საქმეში და კულტურულ დარგში.

ამ დარგში მუშაობა მიმდინარეობს არსებულ სხვადასხვა კუთხეების საშუალებით. მუშაობაში ჩაბმულია—160 წევრი.

უმაღლეს სასწავლებლებში წელს გამგეობას გაუგზავნია 4 წევრი და მუშფაკში—10.

გამგეობის მუშაობა ამ დარგში სწვდება წ.-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას. არსებობს სულ 4 სკოლა.

კავშირში 1 ოქტომბრამდე წ.-კითხვის უცოდინარი იყო 91 წევრი და 263 წ.-კ მცირე მცოდნე.

გამგეობას წელს 100 კაცი გაუგზავნია დასასვენებელ სახლებში.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, სადაც აღნიშნულია მთელი რიგი ღონისძიებებისა კავშირის მომავალი საქმიანობისათვის.

„რემედასს“-ის სამაზრო კონფერენცია

„რემედასს“-ის ცეკას საქმიანობა

(ამხ. მუშიშვილის მოხსენება)

„რემედასს“-ის საქართველოს განყოფილება დაარსდა 1924 წლის ზამთარში. საქართველოში არ არის არც ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ისეთი პოპულიარობით სარგებლობდეს, როგორც „რემედასი“.

„რემედასის“ მიზანია მატერიალური და მორალური დახმარების გაწევა კაპიტალისტურ ციხეებში დამწყვდეულ პოლიტიკურ პატიმრებისათვის და მასსების პოლიტიკური აღზრდა.

„რემედასს“-ის საქართველოს განყოფილების ცენტრალური კომიტეტი ფიქრობს, რომ შეიძლება მეტი უპარტიო მასსები ჩაიბას ამ ორგანიზაციაში, რადგან ქართველი გლეხობა პოლიტიკურის მხრივ მეტად აქტიურია.

1924 წელში „რემედასს“-ის საქართველოს განყოფილებაში ითვლებოდა 34.500 წევრი. მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრისათვის „რემედასს“-ის წევრთა რიცხვი უდრის 78.809 კაცს. „რემედასი“ აერთიანებს 1.049 უჯრედს; აქედან მუშათა უჯრედებია—91, გლეხთა უჯრედები—293, გაერთიანებული—364 და სამხედრო—64.

„რემედასს“-ის წევრთა საერთო რიცხვიდან 14.000 პარტიულია, დანარჩენები კი უპარტიო. სქესის მიხედვით „რემედასს“-ის წევრთა 92 პროც. მამაკაცებია, დანარჩენი 8 პროც. კი ქალები.

„რემედასს“-ის თბილისის კომიტეტის მუშაობა

(ამხ. გიკის მოხსენება)

„რემედასს“-ის თბილისის კომიტეტი თბილისში და მის მაზრაში ამ ჟამად აერთიანებს 26.384 წევრს, აქედან 11.496 მუშებია, 1.455 გლეხები, 4.196 მოსამსახურეები, 5.307 სამხედრო პირები, 1.182 მოსწავლეები და დანარჩენები—270. პარტიულობის მიხედვით 5.639—პარტიულია, 5.670—კომკავშირის წევრი და 17.227—უპარტიო. კაცები—21.165, ქალები 4.923.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წლის მარტში თბილისის კომიტეტის წევრთა რიცხვი უდრიდა—34.000. ხნიდან კი წევრთა რიცხვს ემჩნევა შემცირება, რაც აიხსნება იმით, რომ ჩვენ გადავედით ნებაყოფლობით წევრობაზე; წინათ კი წევრების მიღება ხდებოდა საერთო კრებებზე ხელის აწევით.

1924 წლის 15 აპრილიდან 25 წლის 1-ლ ოქტომბრამდე თბილისის კომიტეტში შემოვიდა 36.516 მანეთი და 22 კაპ. ამ თანხიდან „რემედასს“-ის საქართველოს ცეკას საშუალებით და აგრეთვე უშუალოდ ცენტრში გადაგზავნილი იქნა 30.820 მ. 60 კაპ. დანარჩენი თანხა კი მოხმარდა ადგილობრივ საჭიროებებს.

ამჟამად ხარჯების შემცირების მიზნით, განზრახულია ფასიანი მუშაკების რიცხვის შემოკლება.

თბილისის კომიტეტის მოხსენების შემდეგ მოსმენილი იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება და მოხსენებები ადგილებიდან, რის შემდეგაც მოხდა თბილისის კომიტეტის ხელახალი არჩევნები.

თბილისის საბჭოს სექციებში

განათლების სექცია

საბჭოთა შრომის სკოლა

პირველად სექციამ მოისმინა ამხ. კ. ბერიძის მოხსენება საბჭოთა შრომის სკოლის შესახებ: მომხსენებელი შეეხო იმ პრინციპებს, რომლებზედაც აგებულია სკოლა ბურჟუაზიულ ქვეყნებში ერთი მხრივ და მეორე მხრივ საბჭოთა რესპუბლიკებში. შემდეგ მომხსენებელმა სექციის წევრებს გააცნო მეცადინეობა-სწავლების მეთოდები საბჭოთა შრომის სკოლებში.

დამატებითი საგნები შრომის სკოლებში

(მომხსენებელი ამხ. ქაცარავა)

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები ვერ იტევენ და ვერც მომავალში დაიტევენ საშუალო სკოლა დამთავრებულ ახალგაზრდებს. ვინაიდან დღევანდელი შრომის სკოლათა უმრავლესობა ახალგაზრდებს ვერ აძლევს სპეციალურ განათლებას, მრავალი ახალგაზრდის შრომის სკოლის დასრულების შემდეგ გამოუყენებელი ხდება. იმ მიზნით, რომ შრომის სკოლის კურსდამთავრებულმა ახალგაზრდობამ შესძლოს ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებულ ამოცანების ასრულება, მომხსენებელი საჭიროდ სცნობს, რომ ჩვენს შრომის სკოლებში შემოღებულ იქნეს დამატებითი საგნები. მიმდინარე წლიდან სკოლებში შეტანილია ისეთი საგნები, რომელიც ახალგაზრდას აძლევენ სპეციალურ მომზადებას სასოფლო მეურნეობის კოოპერაციის ელექტრო-ტეხნიკის და ინდუსტრიალურ მრეწველობის დარგებში. შრომის სკოლების ყოველი უფროსი ჯგუფი იმუშავებს რომელიმე ზემოხსენებულ სპეციალურ დარგში.

მასწავლებლებისათვის ხელფასის მომატების შესახებ.

სექციამ მოისმინა ამხ. გეგენავას მოხსენება თბილისის და მისი მაზრის მასწავლებლებისათვის ჯამაგირის გადიდების შესახებ. მოხსენების თანახმად სექციამ დაადგინა, ეთხოვოს აღმასკომის პრეზიდიუმს მიიღოს ზომები მასწავლებელთა ხელფასის გასადიდებლად.

მიმდინარე საკითხები.

სექციამ მოისმინა ამხ. დიდებულიძის მოხსენება ოქტომბრის დღესასწაულში სკოლების მონაწილეობის შესახებ და დაადგინა, სკოლებმა მაქსიმალური მონაწილეობა მიიღონ დღესასწაულის ჩატარებაში.

დასასრულ სექციამ განიხილა საკითხი მასწავლებლების მიერ ფართლეულობა - ფეხსაცმელების ნისიად შეძენის შესახებ და დაადგინა, ეთხოვოს აღმასკომის პრეზიდიუმს მიიღოს ზომები, რათა მასწავლებლებს საშუალება მიეცეთ სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებიდან საქონლის ნისიად გამოტანისა.

სოფლად მუშაობის სექცია

აგრონომიული დახმარება თბილისის მაზრაში

(ამხ. გაბაშვილის მოხსენება)

თბილისის მაზრა დაყოფილია შვიდ აგრონომიულ რაიონად. თვითეულ რაიონს ხელმძღვანელობს გამოცდილი აგრონომი. ყველა რაიონს აქვს აგრონომიული პუნქტი საცდელ-საჩვენებელი მინდვრებით. გარდა ამისა ყარაიაზის რაიონში არსებობს საცდელ-საჩვენებელი სადგური და ერთი ცენტრალური სანერგე. საცდელ-საჩვენებელ მინდვრებში ითესება ისეთი მცენარეები რომელთა კულტურას ჩვენებური გლეხობა არ იცნობს. გასულ წლებში საცდელ-საჩვენებელ მინდვრებში დათესილმა მცენარეებმა კარგი ნაყოფი მოიტანეს. მომავალი წლიდან განზრახულია ცდების მოხდენა აგრონომების ხელმძღვანელობით იმ გლეხების ყანებში, რომელნიც დათანხმდებიან განმეორებულ იქნეს მათ მეურნეობაში საცდელ-საჩვენებელ მინდვრებში მოხდენილი ცდები.

აგროპუნქტები გლეხებს საქირაოდ აძლევენ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, ფორძონის სისტემის ტრაქტორებს (რომელნიც ამჟამად მარტყოფის რაიონში მუშაობენ) და სხვა დახმარებას. ვინაიდან თბილისის მაზრის გლეხობის 41 პროც. არ ჰყავს მუშა—საქონელი, მათთვის დახმარების გასაწევად გადაწყვეტილია შეძენილ იქნას 9 ტრაქტორი, გარდა ამ ღონისძიებათა აგროპუნქტები მართავენ ლექციებს და საუბრებს სასოფლო-მეურნეობის საკითხებზე. ერთი წლის განმავლობაში გამართა 300 ასეთი ლექცია, რომელსაც დაესწრო 6.400 მდე გლეხი.

აგრონომიული დახმარების პუნქტების გუთნებით წელს მოხნულ იქნა 1000 დესეტინამდე გლეხების ყანები. აგრონომიული დახმარების პუნქტები ბრძოლას აწარმოებდნენ მთელ სასოფლო-მეურნეობის მავნებლებთან (კალიებთან, მინდვრის თაგვებთან და სხვა). ზოგიერთი პუნქტების ფინანსიური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ისინი ფარავენ თავიანთ ხარჯებს საკუთარი საშუალებებით.

კამათის შემდეგ სექციამ დაადგინა მოწონებულ იქნეს აგროდახმარება მაზრაში და დაავალოს სასოფლო-სამეურნეო განყოფილებას გამოიმუშაოს საზამთრო მუშაობის გეგმა.

რკინის გზებზე

რკინისგზელთა ახალი ხელფასი

ა | წლის 1 ოქტომბრიდან რკინისგზელთათვის წესდება შემდეგი სატარიფო ცხრილი:

ციებ-ცხელებიან ადგილებში ხელფასი პირველი თანრიგისათვის დაწესებულია 14 მანეთი, მეორესთვის — 16 მ. და 80 კ., მესამესთვის—21 მ. 8 კ., მეოთხესთვის--25 მ. 20 კ., მეხუთესთვის—30 მ. 80 კ., მეექვსესთვის—35 მ., მეშვიდესთვის—39 მ. 20 კ., მერვესთვის—43 მ. 40 კ., მეცხრესთვის—49 მ., მეათესთვის—54 მ. 60 კ., მეთერთმეტესთვის—60 მ. 20კ., მეთორმეტესთვის—63 მ., მეცამეტესთვის—67 მ. 20 კ., მეთოთხმეტესთვის—71 მ. 40 კ., მეთხუთმეტესთვის—74 მ. 20 კ., მეთექვსმეტესთვის—77 მ., მეჩვიდმეტესთვის—79 მ. 80 კ., მეთვრამეტესთვის--84 მ., მეცხრამეტესთვის—86 მ. 80 კ., მეოცესთვის—89 მ. 60 კ., მეოცდაერთესათვის - 93 მ. 80 კ., მეოცდაორესთვის—98 მ., მეოცდასამესთვის—105 მ. და მეოცდაოთხესთვის—112 მან.

ციებ-ცხელებიან ადგილების სატარიფო სარტყელს ა | კ. რკ. გზებზე ეკუთვნიან შემდეგი უბნები: ჯულფა-ულუხანლუ, ერევან-კარაბურანი, აირუმ-სოლანლუღი, კარატაფა-იიბატი, სუმგაიტ-დერბენტი, ბათუმ-კოპიტნარი, ფოთი-სამტრედია, იორა-კაჭრეთი, გურჯაან-თელავი, გურჯაან-წნორის-წყალი და ზუბოვის და კიზილ-ფუ-ლინის წყალ-საქაჩავები.

ძირითად სატარიფო სარტყელისათვის დაწესებულია შემდეგი თვიური ხელფასი: პირველი თანრიგისთვის—13 მ., მე-2—16 მ. 60 კ., მე-3 19 მ. 50 კ., მე-4—23 მ. 40 კ., მე-5—28 კ. 60 კ., მე-6—82 მ. 50 კ., მე-7—36 მ. 40 კ., მე-8—40 მ. 30 კ., მე-9—45 მ. 50 კ., მე-10—50 მ. 70 კ., მე 11—55 მ. 90 კ., მე-12—58 მ. 50 კ., მე 13—62 მ. 40 კაპ., მე-14—66 მ. 30 კ., მე-15—68 მ. 90 კ., მე-16—71 მ. 50 კ., მე-17—74 მ. 10 კ., მე-18—78 მ., მე-19—80 მ. 60 კ., მე-20—83 მ. 20 კ., მე-21—87 მ. 10 კ., მე 22—91 მ., მე-23—97 მ. 50 კ., მე-24—104 მ.

ძირითად სატარიფო სარტყელს ეკუთვნიან ა | კ. რკ. გზების ყველა დანარჩენი უბნები.

ქვედა სატარიფო თანრიგებისათვის მომატება რჩება იგივე, როგორც იყო, სახელდობრ: პირველი თანრიგისთვის—10 მ., მეორესთვის 10 მ., მესამესთვის—9 მ. 50 კ. მეოთხესთვის—9 მ. 50 კ. და ასე შემდეგ.

აღნიშნული ახალი ტარიფი იმ პირებზე, რომლებიც იღებენ ჯამაგირებს სპეცგანაკვეთით და პასუხისმგებელ მუშაკების ტარიფით, არ ვრცელდება. ა | კ. რკინის გზებზე, ა | წლის 1 ოქტომბრამდე არსებული ნარდი სამუშაოებისათვის შრომის ჯილდო მექანიკურად დიდდება 10 პროცენტით.

სექტემბრის ვერსობრივი გასამრჯელოები რჩებიან უცვლელად.

საგზაო მშენებლობა

სურამ-ძირულის გზატკეცილი

სურამ-ძირულის გზატკეცილი გაჰყავს გზატკეცილების სამმართველოს, რომელიც გზის გაყვანას შეუდგა მიმდინარე წლის ზაფხულზე. შემოდგომის დამლევამდე სურამ-ძირულის გზის გასაყვან სამუშაოებზე მუშაობდა 3 არტელი, რომელთაგან ერთის გარდა დროებით შეაჩერეს მუშაობა. მუშაობის დაწყებიდან დღემდე შესრულებულია 8 ათასი კუბიკური საჟენი მიწა-კლდის სამუშაოები. აქედან კლდის სამუშაოები შეადგენენ 4000 კუბ. საჟენი 9 ვერსის მანძილზე. ძირულის რაიონში უკვე სწარმოებს ურმებით მოგზაურობა. გზის გაყვანაში მონაწილეობს ადგილობრივი სოფლების გლეხობაც.

სამხრეთ-ოსეთის გზატკეცილები

მუშაობა, რომელიც დაიწყო მიმდინარე წლის ზაფხულზე ჯავა-როკის მთავარი გზატკეცილის გასაყვანად, გრძელდება. გზატკეცილი ცხინვალ-ჯავის უბანში 8 ვერსის მანძილზე უკვე დასრულებულია და დეკემბრის [illegible] ამ უბანში დაიწყება საეტლო-საურმე მგზავრობა.

მუშაობა გაგრძელდება ზამთრის თვეებშიაც, თუ მკაცრი ზამთარი არ იქნა. მომავალი შემოდგომისათვის გზატკეცილი ცხინვალიდან—როკამდე დამთავრებული იქნება.

გზატკეცილები სვანეთში

განზრახულია სვანეთში ორი დიდი გზატკეცილის გაყვანა. პირველი მათგანი სვანეთს შეუერთებს და დაუკავშირებს ზუგდიდის მაზრას, ხოლო მეორე რაჭა—ლეჩხუმს და ქვემო იმერეთს. პირველი გზატკეცილის მიმართულება არის ზუგდიდი—ჯვარი—ბეჩო—მესტია. სიგრძე ამ მიმართულების უდრის 110 ვერსს. მიმდინარე წლის გასულ ზაფხულზე უკვე გამოკვლეულ იქნა 80 ვერსი. დანარჩენი 30 ვერსის გამოკვლევა დასრულდება ამ დღეებში. იმ გზატკეცილის მიმართულება, რომელმაც სვანეთი ლეჩხუმ—იმერეთს უნდა დაუკავშიროს, ჯერ არ არის გამოკვლეული. გზატკეცილების სამმართველომ უკვე გაგზავნა ტეხნიკური კომისია, რომელსაც დავალებული აქვს შეისწავლოს სვანეთიდან ლეჩხუმში მიმავალი [illegible] ბილიკები.

ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოში

— **საქონლის შემოტანა.** ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადასტურა შინა ვაჭრობის კომისარიატის მიერ წარდგენილი გეგმა სხვადასხვა ნაწარმოებთა შემოტანის შესახებ. გეგმის თანახმად შემოტანილი იქნება ერთი მილიონი ფუთი მარილი, 110 მილიონი ცალი ასანთი, 600 ათასი წყვილი კალოში, 700 ვაგონი სილიკატები და 635 ათასი ფუთი ქაღალდი.

— **კრედიტი სასოფლო - მეურნეობისათვის:** ამიერ კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ახლო ხანში ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიასთან მოწვეული იქნება დაინტერესებულ ორგანიზაციათა თათბირი სასოფლო-მეურნეობისათვის კრედიტის მისაცემად.

— **მეტრიული სისტემის გასატარებლად.** ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან დაარსებული იქნას მეტრიული ზომა-წონის შემოღების ცენტრალური კომისია. ამასთანავე გადაწყვეტილია გაუქმებული იქნას ზომა წონის მთავარი კომისია და ასეთივე კომისიები ცალკე რესპუბლიკებში.

წითელ ჯარში

ბრძოლა წ.-კითხვის უცოდინარობასთან

წითელი ჯარის რიგებში წერა-კითხვის ლიკვიდაციის კამპანია უკვე დაიწყო. კამპანიის ჩასატარებლად მოეწყო „წვევამდელთა და ცვალებად შემადგენლობაში წ.-კ. უცოდინარობასთან მებრძოლი კომისია“, რომლის ქვე-კომისიები ეწყობა სამაზრო აღმასკომებთან და ოლქებში.

კომისიამ შეიმუშავა გეგმა წვევამდელთა და ცვალებადელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ. გადაწყვეტილია ამ მიზნით 15 ნოემბრამდე შეადგინონ ყველგან წერა-კითხვის უცოდინართა სიები, რომლებიც გადაეცემა აღნიშნულ კომისიებს, წ.-კ. უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლებზე მისამაგრებლად.

ამის შესახებ სათანადო განკარგულებები გასცეს მე-2 დივიზიის შტაბის, პოლიტგანყოფილების და ტერ-სამმართველოს ხელმძღვანელებმა.

ამავე საკითხზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი ახლო ხანში ცალკე ცირკულიარს დაუგზავნის ადგილებს.

საბჭოთა სასამართლო

ბათუმი

აპოლონ წულაძის და აგრონომ გამხარაშვილის საქმე

ქ. ბათომში ა | წ. 31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს პირველ უბნის სახალხო სასამართლოში გაირჩა აპოლონ წულაძის საქმე, რომელიც პასუხისგებაში მიცემული იყო მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგის აგრონომ გამხარაშვილის მიერ იმ წერილის გამო, რომელიც აპოლონ წულაძემ ა | წ. 10 მაისს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ მოათავსა

აპ. წულაძე თავის წერილში.—„შავი აგრონომი წითელ კომისარიატში“, ერ. ბრალს სდებდა აგრონომ გამხარაშვილს იმაში რომ ძველად ბათომის ოლქში სამსახურის დროს ის იყო გუბერნატორის მარჯვენა ხელი და მისი პოლიტიკის გამტარებელი. თავის თბილ ადგილის შესანარჩუნებლათ გამხარაშვილი იმასაც კი არ ერიდებოდა, რომ უდანაშაულო თავის ხელქვეითები ლიბერალურ აზრებისათვის დაეთხოვა უმიზეზოთ სამსახურიდან, აელო ფეშქაშები თავის ხელქვეითებისაგან, არ კადრულობდა ხალხთან ქართულათ ლაპარაკს და ლაპარაკობდა მათთან მხოლოდ თარჯიმანების საშუალებით და დაახლოებული იყო ბათომში არსებულ შემმარილ რუსთა წრესთან.

სასამართლო ამ საქმის გარჩევას ორი დღე მოუნდა და წულაძე პასუხისმგებლობისაგან გაანთავისუფლა.

აღნიშნულმა საქმემ ბათომის საზოგადოება მეტად დააინტერესა. კომუნალურ მეურნეობის დარბაზი, რომელშიაც ეს საქმე ირჩეოდა, სავსე იყო ხალხით. საქმის ინტერესმა იმდენად გაიტაცა დამსწრე საზოგადოება, რომ მოხალისე მოწმეებიც კი გამოდიოდნენ საქმის გამორკვევის გასაადვილებლათ.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბრალდებული წულაძე თვითონ იცავდა თავისთავს, აგრონომ გამხარაშვილს დამცველათ კი გამოვიდა ვექილი გიორგი ლოდიძე.

ა. ბ—ლი.

გიორგი ჩადალ კევხიევის საქმე

გიორგი ჩადალ კევხიევი გაწვეული იყო სამხედრო სამსახურში.

როგორც იყო დასრულდა მან სამხედრო სამსახურის ვადა და სამსახურიდან წასვლის წინ გადასწყვიტა რამენაირად აღენიშნა ეს, თუნდაც ერთი ბოთლი ღვინის დალევით, მაგრამ ერთ ბოთლს მოჰყვა მეორე და მესამე...

ამ რიგად გიორგი კარგა მაგრად დამთვრალი, გამობრძანდა ქუჩაში დიდი ლანძღვა-გინებით და აყალმაყალით. გიორგისთან მიდის მორიგე მილიციონერი ხარაბავა და მოუწოდებს წესრიგისაკენ.

ეს იუკადრისა გიორგიმ, როგორ გაუბედეს მას წესრიგისაკენ მოწოდება; ავარდა-დავარდა, სწვდა ყელში ხარაბავას და წაუჭირა ხელი. ხარაბავას მიეშველა მილიციონერი ხანდუკელი, რომელსაც ერთი მაგარი სილა უთავაზა გიორგიმ.

ასტყდა აყალ-მაყალი, შეიკრიბა ხალხი. ბოლოს როგორც იქნა გიორგი კევხიევი ჩასვეს ეტლში და მიიყვანეს მე-4-ე კომისარიატში.

სასამართლომ გიორგი კევხიევს ადმინისტრაციის წარმომადგენლის თანამდებობის შესრულების დროს შეურაცხყოფისათვის მიუსაჯა 3 თვით, ხოლო ცემისათვის—6 თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება, მაგრამ მიიღო რა მხედველობაში ის, რომ ის არის წითელარმიელი, სასამართლომ ვადათ დაუდო მას სამი წელი, რომლის განმავლობაში ის უნდა გამოსწორდეს.

ქრონიკა

თბილისის აღმასკომში

— **ქალაქში ახლო-მახლო სოფლებიდან** დაკლული საქონლის შემომტანს, თბ. აღმასკომის დადგენილებით, უნდა ქონდეს ადგილობრივი ხელისუფლების მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ხორცი ჩამოერთმევა.

— **საბინაო ამხანაგობებს** აღმასკომის დადგენილებით, სახლები იჯარით ეძლევათ 9 წლის ვადით.

— **ზაჭეხის 6 თანამშრომელს,** რომლებიც ამჟამად სწავლობენ სხვადასხვა სასწავლებლებში, სასწავლო წლის დამლევამდი აღმასკომმა დახმარება დაუნიშნა.

დამზღვევ სალაროში

— **დაზღვეულებზე და დაზღვევის** საქმეზე გასულ საანგარიშო წელში სალაროს დაუხარჯავს 2,781,999 მან.

— **ამჟამად მთელ ამიერ-კავკასიაში** ითვლება 30 დამზღვევი სალარო, 43 დასაზღვევი პუნქტი და 39 თანხების გამცემი პუნქტი.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

— **სანიმუშო საფუტკრე.** მიწათმოქ. სახ. კომისარიატს განზრახვა აქვს მიმდინარე წელში მოაწყოს რამოდენიმე საცდელ-საჩვენებელი საფუტკრე.

— **მავნეებთან ბრძოლის ბიურო** ამ ჟამად მავნეებთან ბრძოლას აწარმოებს რაჭა-ლეჩხუმის, ოზურგეთის, თელავის და სხვა მაზრებში.

— **ტყე გლეხობას.** მიწათმოქ. კომისარიატის სატყეო განყოფილების ცნობით, სვანეთის გლეხებს დაურიგდება 10 ათასი დესეტინა ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

სხვადასხვა

— **„საქართველოს განათლების მუშაკი“.** გამოვიდა განათლების მუშაკთა ცენტრ. გამგეობის ორკვირეული პროფესიონალური პედაგოგიური ორგანო „საქართველოს განათლების მუშაკი“.

— **მუშათა საბინაო აღმშენებლობის** დამხმარე კომიტეტმა ქუთაისში მიავლინა თავის წარმომადგენელი ადგილობრივ საბინაო აღმშენებლობის ამხანაგობების მოსაწყობათ.

— **მთელ საქართველოში** გასული წლის განმავლობაში დაიკლა 203,831 სული საქონელი.

— ა. კ. და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციებთან არსებული ქართულ და რუსულ ენაზე საქმის წარმოების რაციონალიზაციის კურსების გახსნა შესდგება 1925 წ. 6 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე საქართ. იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში. მსმენელების მიღება კურსებზე სწარმოებს ა. კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციაში.

— **მუშათა სასახლის** პატარა დარბაზში გაიხსნა ქიმიურ მრეწველობის გამოფენა, რომელიც გაგრძელდება 5 დღეს. გამოფენის დათვალიერება შეუძლია ყველას.

— **კომუნალური ბანკი.** ამ დღეებში აგზავნის კომისიას ქუთაისში, ბათომში და ფოთში, დაგირავებულ მამულების საჯარო ვაჭრობების მოსაწყობათ. საჯარო ვაჭრობა დანიშნულია: ქუთაისში 6 ნოემბერს, ბათომში 12 ნოემბერს და ფოთში 18 ნოემბერს.

კრებები და მოხსენებები

— ხუთშაბათს, 5 ნოემბერს, საღამოს 8 საათ. საქართ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება ქართველ ექიმთა საზოგადოების მორიგი კრება:

1. თოდაძე—შარდსადინარის ფისტულის წამლობა;
2. იოსელიანი—მასალები სპონდილიტის ნაადრევი დიაგნოსტიკისათვის;
3. ფარცვანიძე—ფილარიის მაგვარი მორფოლოგიური ცვლილებანი კობროკულტურაში;
4. **მიმდინარე საკითხები.**

დავეხმაროთ „წერკუმს“-ს

განათლების კავშირის ცენტრალურ გამგეობას შეაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ 25 მანეთი (ოცდა ხუთი მანეთი) და იწვევს შემდეგ კავშირების ცენტრალურ გამგეობებს: 1) მიწა-ტყის, 2) მელითონეთა, 3) ქიმიკოსთა, 4) ხეზე მომუშავეთა, 5) სახალხო კვების, 6) მეტყავეთა, 7) სამთომადნო, 8) მბეჭდავთა, 9) გემოკვების, 10) ხელოვნების, 11) მედსანშრომის, 12) ფოსტა ტელეგრაფის, 13) კომუნალურ მეურნეობის, 14) მკერავთა, 15) ფეიქართა, 16) მშენებლთა, 17) ტრანსპორტის და 18) საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა.

განათლების კავშირის ცენტ. გამგეობის მდივნის მოადგილე **შ. გეგენავა.**

—

შემაქვს წერკუმს-ის სასარგებლოდ 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) შამშე ლეჟავას, 2) კანდიტ გობეჯიშვილს, 3) მიშა მეძმარიაშვილს, 4) ევგრაფ მამულაიშვილს, 5) მიხა ლაშხს, 6) მიხა გავაშელს, 7) პ. წულუკიძეს, 8) ვიქტორ კანდელაკს, 9) გოგვაძეს (განათლების კომისარიატის ინსტრუქტორი), 10) გძელიშვილს, 11) ნ. მგელაძეს, 12) ქ. რაჭველიშვილს და 13) ლევიცკის.

ვთხოვ აღნიშნულ ამხანაგებს გამოიწვიონ თავის მხრით ნაცნობმეგობრები.

ელიკო მეტრეველი.

—

შემაქვს „წერკუმს“-ის სასარგებლოდ მელიტონ თევდორაძის გამოწვევით 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) გოგიბერიძე გრიშას, 2) დიდიძე ნინას, 3) ქებაძე ნოეს, 4) ნუცუბიძე გრიშას, 5) წერეთელ ზურაბს, 6) ლორთქიფანიძე ალექსანდრეს, 7) ლომაძე ალიოშას, 8) ცერცვაძე ვასოს, 9) მეგრელიშვილ პარმენს, 10) ჩხაიძეს და 11) აროშიძეს.

ვთხოვ აღნიშნულ ამხანაგებს გამოიწვიონ თავის მხრივ ნაცნობმეგობრები.

თამარა დავითიანი.

—

შემაქვს 5 მანეთი „წერკუმს“-ის სასარგებლოდ და ვიწვევ დამცველ კოლეგიის შემდეგ წევრებს 1) შალვა მესხიშვილს, 2) დავით კვირკველიას, 3) იოსებ მაჭავარიანს, 4) ივანე ნასიძეს, 5) მელქისედეკ კანდელაკს, 6) არშაკ კუსიკოვს, 7) ალექსანდრე ანდრონიკაშვილს, 8) შალვა ჯინჭველაშვილს (მურავიოვს), 9) პარმენ [illegible], 10) არტემ ახნაზაროვს, 11) სიმონ [illegible], 12) გრიგოლ შალიბაშვილს, 13) შოთა დადიანს, 14) შალვა ქართველიშვილს, 15) ამირიდონ გოცირიძეს, 16) ნიკოლოზ ქიქოძეს, 17) კონსტანტინე მიქელაძეს, 18) ნიკოლოზ მზარეულოვს, 19) არმენაკ ოგაჯანოვს, 20) ალექსანდრე მაისურაძეს.

ვთხოვ აღნიშნულ ამხანაგებს გამოიწვიონ თავის მხრით ნაცნობმეგობრები.

გიორგი ჟორდანიანი.

—

შემაქვს „წერკუმს“-ის სასარგებლოდ 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) ნიკოლოზ კნაპპს, 2) ვანო მიგინეიშვილს, 3) მიხა ნაკაშიძეს, 4) ეკატერინე ყიფიანს, 5) გაიკ ტარაევს, 6) ალექსანდრე ფუტურიძეს, 7) ლილი ჟორდანიას, 8) თამარა შენგელიას, 9) მიტო მთვარელიძეს, 10) გრიშა ფანცულაიას, 11) სოლომონ სალიბეკოვს, 12) სტეფან ხახანოვს და 13) დათიკო მურმანიძეს.

აშხენ კირვალიძე.

—

საქართველოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების სასარგებლოდ ამხ. მ. თევდორაძის გამოწვევით შემაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: 1) ლადო გეგეჭკორს (სახ. გან. კომ. საფინანსო განყ. გამგე), 2) კირილე მებუკეს, 3) ვლასა ბარამიძეს (რკ. გზ. მეორე განყ. სამმართველო), 4) ივანე ბესარიონის ძე ურუშაძეს, 5) პაჭე ჟორდანიას, 6) აპოლონ ფრუშაძეს (ექიმი), 7) დავით გოგიჩაიშვილს, 8) ვარლამ მენაბდეს (კომუნალური ბანკი), 9) გიგლა მებუკეს, 10) ვარლამ რუხაძეს, 11) მოსე სულუხიას, 12) ლადიკო წულაძეს.

ვთხოვ აღნიშნულ ამხანაგებს გამოიწვიონ თავის მხრით ნაცნობმეგობრები.

სერგო ჯიბლაძე.

—

ფულის მიღება სწარმოებს წერკუმსში, რუსთაველის პრ. № 11.

ხელოვნება

ოპერა

„ფაუსტი“ შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით

გუნოს ოპერა „ფაუსტი“ განმეორებით დაიდგა ოთხი ახალი შემსრულებლის მონაწილეობით.

ნიჟიერი ბოკოვა (მარგარიტა) ღრმა დრამატიული განცდით ასრულებს თავის პარტიას. მისი შესრულებით მარგარიტა არის არა ოპერის გმირი, არამედ ნამდვილი ცხოვრებიდან აღებული სახე. შესრულების საუკეთესო მომენტებია—სცენა ტაძართან, გაგიჟების სცენა, ტრაფარეტულ ხერხის გრძნობის დაკარგვის გარდა. ეს საოპერო ხერხი როგორღაც არ შეეფერება მსახიობ ქალის მხატვრულ თამაშს. ვოკალური შესრულება მუსიკალურია.

სინიცკიმ (ფაუსტი) შექმნა ცოცხალი სახე. სიმღერა სასიამოვნო მუსიკალურია, მაგრამ გაუგებარია, რატომ აძლიერებს მსახიობი ზედმეტად ხმას (მესამე აქტის ტრიო).

ისეცკის შეუძლია მეფისტოფელის პარტია საუკეთესო პარტიად ჩასთვალოს თავის ფართო რეპერტუარში. ტემპერამენტით იყო შესრულებული მე-2-ე აქტის კუპლეტები და სერენადა. სცენაზე ტაძართან სასურველია მეტი განცდა და მრავალფეროვანი მიმიკა.

ძალიან მუსიკალურად მღერის ვენაძე ვალენტინის პარტიას.

მივესალმებით ბალეტში პანტომიმის ვოკალური ნაწილის შეტანას. სამწუხაროა, რომ ამ სცენაში გამოტოვებულია ტენორის საუცხოვო პარტია.

დანარჩენი შემსრულებლები ძველები იყვნენ.

პ. ბ.

—

— **„მედილი მიქავა“.** სახელმწიფო კინომრეწველობის რეჟისორი ამხ. ბეკნაზაროვი და ოპერატორი ს. ზაბოზლაევი გაემგზავრნენ ერევანში „მედილი მიქავას“ ნატურალურ სურათების გადასაღებათ. ორშაბათს, 2 ნოემბერს, გამგზავრდა მსახიობების ჯგუფი 23 კაცის შემადგენლობით.

— **სიმღერა-გალობის კურსები.** მიხეილ კავსაძემ გახსნა სიმღერა-გალობის პრაქტიკული კურსები. (ფეიერვერკის ქ. № 3). სწარმოებს მსურველთა ჩაწერა.

— **„ფიქრები მტკვრის პირას“.** გამოვიდა ცალკე წიგნად სიმონ ჩიქოვანის პოემა—„ფიქრები მტკვრის პირას“.

დავიწყებული ტეხნიკუმი

პროლეტკულტის ტეხნიკუმის დაარსებას, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, დიდი სიხარულით შეხვდა მშრომელი ახალგაზრდობა.

გეგმის მიხედვით ამ ტეხნიკუმში უნდა დაარსებულიყო: ლიტერატურული, დრამატიული და სამხატვრო სტუდია, სტენოგრაფიის, ენების შესასწავლი კურსები და სხვა. მაგრამ თავის არსებობის ოთხი წლის განმავლობაში არა თუ ეს გეგმა არ განხორციელებულა, არამედ ტეხნიკუმმა ვერ შესძლო თავის გარშემო შემოეკრიბა პროლეტარულ მწერალთა ახალგაზრდობის ცოტათ თუ ბევრათ მნიშვნელოვანი ჯგუფიც კი.

თვით თბილისში ბევრმა არ იცოდა და არ იცის პროლეტკულტის ტეხნიკუმის არსებობის შესახებ. პირველ ხანებში მრავლათ დაიარებოდა მუშები ფაბრიკა-ქარხნებიდან და გულდასმით ისმენდენ ლექციებს. მაგრამ უგეგმო მუშაობამ ისინი მალე დააფრთხო და იმედი დაუკარგა. აღსანიშნავია, რომ მუშა-მწერლები ქარხნიდან დაღლილები პირდაპირ ლექციაზე მოდიოდენ. ლექტორი და გამგე კი არსად სჩანდენ. შრომისგან დაღლილნი, გულგატეხილი მსმენელები კი უკანვე ბრუნდებოდენ. და განა ერთხელ მოხდა ასე? ასე მეორდებოდა მთელი ორი წელიწადი.

წარსულ წლებში მეცადინეობა იწყებოდა ნაცვლათ სექტემბრისა—იანვრიდან და ისიც, კვირაში თუ ორი გაკვეთილი გვექნებოდა, ნაყოფიერ კვირათ უნდა ჩაგვეთვალა. გვპირდებოდენ, რომ მდგომარეობა გამოსწორდებოდა, მაგრამ დაპირება დაპირებათ რჩებოდა.

სანდრო ეულის დროს კვირაში ოთხი-ხუთი ლექცია მაინც იკითხებოდა; სერგო კანდელაკის დროს ესეც განახევრდა, და ბოლოს მთლათ შესწყდა. ამ ორი სამი წლის განმავლობაში არავის არ უფიქრია პროლეტკულტის მდგომარეობაზე, არავინ არ დაინტერესებულა, თუ რას გავდიოდით და როგორი მეთოდით ვსწავლობდით, ან შეეფერებოდა თუ არა ჩვენ გეგმაში შეტანილი საგნები პროლეტკულტის დანიშნულებას. თვით გამგე ს. კანდელაკი მიუხედავათ იმისა, რომ იქვე გვერდით სცხოვრობდა, ჩვენთან არ შემოსულა. ასე თუ ისე, პროლეტკულტში მხოლოთ დრამატიული სტუდია მუშაობს, მაგრამ რა გაკეთდა და რამდენათ გაუმჯობესდა, ეს კი არავინ იცის.

დროა ვიცოდეთ, არის თუ არა საჭირო ლიტერატურული სტუდია პროლეტკულტისთვის, და თუ საჭიროა, რატომ აგვიანებენ მეცადინეობის დაწყებას? დროა ვიცოდეთ პროლეტკულტის ხელმძღვანელების საქმიანობა, რამდენათ ამართლებს იმ თანხას, რაც იხარჯება მის შტატის შენახვაზე.

და ბოლოს საჭიროა მეცადინეობის განახლებასთან ერთად ცეკას უშუალო ხელმძღვანელობით მოხდეს პროლეტკულტის რეორგანიზაცია.

სტუდიელების მინდობილობით:
შაქრო მამუკაშვილი.
ნ. ხეთაგური.

შემთხვევები

— **ბავშვს ვასრესა.** 2 ნოემბერს დილის 11 საათზე ტროცკის ქუჩაზე ავტომობილმა № 116, რომელსაც მართავდა შოფერი რაჟდენ ჯაგახოვი, გასრისა იოსებ გრიგორიანცის 4 წლის ბავშვი ქენია. შოფერი შეიპყრეს.

— **გამოტყუება.** 2 ნოემბერს ვართან არაბიანცმა განუცხადა მილიციას, რომ მის მაღაზიაში, ბნელი რიგი № 4, მისულა მისი ნაცნობი ვინმე სლესარიოვი და ტრესტიდან პაპიროსების გამოტანის დაპირებით დაუტყუებია 800 მან. და მიმალულა.

— **დაკარგვა.** 2 ნოემბერს სვერდლოვის ქ. № 14 მცხოვ. გაიკ გასპაროვმა განუცხადა მილიციას, რომ მამა მისი სეროფა გასპაროვი 31 ოქტ. დილის 5 საათზე გასულა სახლიდან და დღემდე უკან აღარ დაბრუნებულა.

— **სტამბის გაქურდვა.** 2 ნოემბერს გაქურდეს ცეკას სტამბის საწყობი. ეჭვი აქვთ გაბრიელ ტიხონოვზე, რომელიც მიმალულა.

— **ქურდობა.** 2 ნოემბერს ლენინის ქ. № 46 ავეტის აზოევის ბინიდან მოიპარეს 106 მან. ნივთები.

— ამავე დღეს იმავე ქუჩაზე № 25 გაქურდეს სამსონ გორდენიძეს ბინა.

— ამავე დღეს რევაზოვის ქ. № 13 გაქურდეს იოსებ იორდანიშვილის ბინა.

მუშათა ცხოვრება

სააქციზო სამმართველო და მისი „გამგე" ლამბაროვი

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ)

თუ ოდესმე რაიმე პატივისცემა და დაფასება ქონდა რომელიმე სპეცს მისი გულწრფელი და ენერგიული მუშაობისათვის, მით უმეტესად დღეს, როდესაც ჩვენი სახელმწიფო, როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურად თანდათანობით ზრდის და გაძლიერების პროცესში იმყოფება.

ყველამ კარგად ვიცით ჩვენი მთავრობის ის დაუზოგავი და დაუღალავი შრომა, რომელსაც ის ანდომებს სპეცებს, მათი ყოფაცხოვრების გაუმჯობესებისათვის. უდავოდ უნდა იქნეს აღიარებული ის, რომ სპეცებს დიდი უპირატესობა ეძლევათ და ყოველგვარი ზომებია მიღებული მათი დაუბრკოლებლად და თავისუფალ მუშაობისათვის. მიუხედავათ ამისა ზოგიერთი სპეცები მთავრობის ასეთ ნდობას და დახმარებას ბოროტად იყენებენ. ასეთი პირთა კატეგორიას ეკუთვნის ბ. ნესტორი ლამბაროვიც.

ვინც მისი წარსული მოღვაწეობის ისტორიას იცნობს, ის ყოველთვის დამერწმუნება იმაში, რომ ბ. ლამბაროვი არ არის გულწრფელი, გულმოდგინე, ხაზინის ინტერესების დაცვით დაინტერესებული მუშაკი, ის თავის მოვალეობის შესრულებას ძლიერ ზერელად უყურებს, იმას მხოლოდ ფორმალური და არა საზოგადო საქმე აინტერესებს და არა სახელმწიფოსი. ამით აიხსნება ის არა სასურველი ხმები, რომელიც გაისმის მასაში საქციზო სამმართველოს ირგვლივ. ამით აიხსნება ის უმოქმედობა, საქმეთა არევ-დარევა და რაც მნიშვნელოვანია ხაზინის ინტერესების შელახვა, რომელსაც ადგილი აქვს საქციზო სამმართველოში.

ყველა იმ დეფექტების, რომელთაც აქვს საქციზო სამმართველოში ადგილი, აქ აღნიშვნა შეუძლებელია, მხოლოდ მაგალითისათვის მომყავს აქ ერთი მაგალითი: თანახმად საქციზო წესდებისა აქა-იქ ქალ. თბილისში სწარმოებს ღვინის აღწუსხვა, ესე იგი ანგარიში შემოსავალ-გასავლის და ასეთი მუშაობის საწარმოებლად ყველა მესარდაფეებს უნდა ქონდეთ ეგრედ წოდებული დავთარი, ურომლისოდ ღვინის აღწუსხვა სარდაფში ყოვლად შეუძლებელია. ასეთი დავთრები უნდა ჰქონოდა ყველა მეღვინეს, უნდა ყოფილიყო დადასტურებული იმავე საქციზო სამმართველოს მიერ 1925—26 საბიუჯეტო წლის დაწყებიდან. მაგრამ ასეთი დავთრები ახლა დასტურდება ბ. ლამბაროვის მიერ და ეგზავნება მეღვინეებს ე. ი. 22 დღის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში, ვინ იცის, ქ. თბილისში მესარდაფეებმა რამდენი ვედრო ღვინო გაუშვეს და რამდენი ათასი მანეთი დააკლდა ხაზინას.

ასეთი ფაქტი დანაშაულად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოსათვის.

მე-2-ე მაგალითი, ამ დღეებში უზენაეს სასამართლოში გაირჩა საქმე საქციზო სამმართველოს და სასოფლო-სამეურნეო ბანკის კოოპ. „საეროს"-ს შორის, რომელსაც ბ. ლამბაროვის წყალობით მართებს ღვინის აქციზი 6.000 მ. და რომლის უზრუნველსაყოფად დაადვა ყადაღა საქციზო სამმართველომ კოოპ. „საეროს" 5.000 ვ. ღვინოზე. უკანასკნელი დაგირავებული ქონდა ბანკს და ამისათვის მოითხოვდა საქციზოდან ყადაღის ახსნას; დავა ბანკის სასარგებლოდ გადაწყდა, რასაც შედეგად მოჰყვა ხსენებული 6000 მ. სავსებით დაკარგვა, ვინაიდაინ „საეროს" ლიკვიდაცია ხდება.

საქმე იმაშია, რომ საქციზო სამმართველომ კიდევ ა/წ. მარტის თვეში აქციზის ვალში აწერა და დაადვა ყადაღა ერთ ნაწილ ღვინისას ხვედრი აქციზის გადახდევინების მიზნით, ღვინოს საჯარო ვაჭრობა დაინიშნა აქციზის ასანაზღაურებლად, მაგრამ, არ ვიცი, რა მოსაზრებებით ლამბაროვმა თავის განკარგულებით შეაჩერა. ამის შემდეგ მეორედ ასწერა რამოდენიმე ასი ვედრო ღვინო ამავე ვალში, მაგრამ ისევე მის მიერ იქნა შეჩერებული საჯარო ვაჭრობა, მესამედ ასწერა, დაადვა ყადაღა და ამავე დროს როგორც აღვნიშნე დაუწყო დავა ბანკმა და მათ შორის ატეხილ დავაში ბანკმა მოიგო და ამ რიგად ბ. ლამბაროვის ასეთი მოქმედებით ხაზინას დაეკარგა 6000 მან. წმინდა შემოსავალი. აქვე უნდა აღვნიშნო ის, რომ საქმე იაფი მოსაგები იყო ხაზინის სასარგებლოდ, მაგრამ ამ საქმეს მგონია აწარმოებდა მისი დავალებით იმავე დაწესებულების იურისკონსულტი მოქ. გობეჩია, რომელიც მგონია იმავე დროს ამ საქმის წარმოება ქონდა მინდობილი ბანკის მიერ წინააღმდეგ კოოპ. „საეროსა". რასაკვირველია ის მიიღებდა იქიდანვე ჯილდოს. ასეთი პიროვნება არაკეთილსინდისიერად უნდა ჩაითვალოს და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს საბჭოთა დაწესებულებაში. ბ. ლამბაროვი და გობეჩია ერთი მეორეს ძლიერ დაუახლოვდნენ. მე-3-მაგალითი, მოქ. თოფურიძის ჩამოტანილი კონტრაბანდათ 26 ფუთი თამბაქო დაკავებულ იქნა 1924 წ. ოქტომბრის 26. თვით ის მოქ. გაქცეულია სადღაც. თანახმად საქციზო წესდებისა ბ. ლამბაროვს შეეძლო გაეცა განკარგულება თამბაქოს გაყიდვის და თამბაქოს ფასის (დაახ. 1500 მ.) ხაზინაში შეტანის შესახებ. მაგრამ ბ. ლამბაროვი ფორმალურად ასრულებს საქმეს; ვითომც ეძებს თოფურიძეს და თამბაქო მგონია გაფუჭდა და ამით ხაზინას დააკლდა მისი აქციზი (2000 მანეთამდე და საერთოდ მეურნეობას (1500 მ.) სულ სამი ოთხი—ათასი მანეთი. ასეთი მაგალითები უამრავია და მათი აღნიშვნა ამ მოკლე წერილში ყოვლად შეუძლებელია საჭიროა და კიდევაც მგონია დროა ასეთი ელემენტებისაგან ერთხელ და სამუდამოდ გაიწმინდოს ა/კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართვ. არაპირდაპირ გადასახადთა ქვე-განყოფილება.

თანამშრომელი.

ქართულ ცენტრალურ მუშფაკში

1922 წლიდან არსებობს ცენტრალური მუშფაკი. იქ პირველად ირიცხებოდა 160 მსმენელი. მხოლოდ ეს რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა და დღეს ჩვენ მუშფაკში სწავლობს 1225 მსმენელი. უკვე სამი გამოშვება გვქონდა და კურსდამთავრებული მუშფაკელები გადაგზავნილი იქნენ სახელმწიფო უნივერსიტეტში; ამათი რიცხვი 100-ს აღემატება. დღეს მუშფაკში არსებობს 5 კურსი, რომელზედაც ირიცხება 1.225 მსმენელი. ამათში უმრავლესობას შეადგენენ პროვინციიდან გამოგზავნილი მუშები და გლეხები. ამათში 600-ს ეძლევათ სტიპენდია, დანარჩენები კი გარდა 150 მსმენელისა მსახურობს.

ლექციები იწყება საღამოს 6 საათიდან და გრძელდება ზოგჯერ 10 საათამდე. სწავლის საქმე კარგ დონეზეა დაყენებული. მუშფაკში გვყავს შერჩეული ლექტორები. ყველას სათანადო პედაგოგიური სტაჟიც აქვთ; მათგან უმეტესი ნაწილი აღჭურვილია უმაღლესი სწავლით. მასთან სავსებით დაცულია დისციპლინა სწავლის დროს: მასწავლებლები ორ-სამჯერ გვიხსნიან, როდესაც ესა თუ ის საგანი მუშისთვის რჩება გაუგებარი. ხშირია შემთხვევა, როდესაც რომელიმე მუშა ან სოფლიდან მოვლინებული გლეხი ვერ გაერკვა და საგანი ვერ შეითვისა. რა მასწავლებლებს თავიან სახლში დაყავთ და იქ უხსნიან უფასოდ. მუშფაკის ყოველი მასწავლებელი სცდილობს, მუშამ არ დაკარგოს წელი; არ დარჩეს ისევ იმავე ჯგუფში.

ურთიერთ კავშირი მოწაფეებსა და მასწავლებლებს შორის კარგია. ლექციების შემდეგ იმართება ამხანაგური საუბარი ლექტორებს და მუშფაკელებს შორის. აუდიტორიაში დაცულია წესრიგი. სტუდკომის მოთხოვნით აკრძალულია პაპიროზის წევა აუდიტორიებში შიგნით და გარედაც.

კულტურული მუშაობა.

მუშფაკში დაარსებულია 6 წრე: დრამატიული, ლიტერატურული, სასულე მუსიკალური, სიმებიანი ორკესტრი, მომღერალთა გუნდი და სამხატვრო წრე. ამ წრეებში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა. იმართება საღამოები და ლიტ-გასამართლებანი. ხელმძღვანელებად მოწვეული არიან გამოცდილი მასწავლებლები. ყველა წრეებში გამოდის კედლის გაზეთი.

საერთოდ კულტურულად მუშფაკელების აღზრდის საქმეში აქტიურ მუშაობას აწარმოებენ ყველა მასწავლებლები, განსაკუთრებით კი ამხ. მეძმარიაშვილი, თათარაშვილი და ნიკო მგელაძე.

დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი მასწავლებლების და ხელმძღვანელების ენერგიული მუშაობით ჩვენი მუშფაკელები მართლაც გაიმარჯვებენ კულტურულ ფრონტზე მშრომელთა საკეთილდღეოდ.

გ. ხუციბერიძე.

აუწიეთ ყური ამ სპეკულიანტს

(წერილი სენაკიდან)

ირაკლი ტყებუჩავა დ. აბაშის ერთ-ერთი სასადილოს პატრონია.

მოქ. ირ. ტყებუჩავას ყავს მზარეული.

ეს მზარეული კავშირის წევრი არ არის.

მას უნდა ჩაეწეროს მიწა-ტყის კავშირში წევრად.

მაგრამ... ირაკლი ტყებუჩავას ამას ვინ გაუბედავს.

როგორ?!.

მისი მოსამსახურე განა უნდა იყოს კავშირის წევრი? იმ კავშირის, რომელიც შემდეგ შებორკავს მის აღვირახსნილობას?

და აი ის არ აძლევს ნებას მზარეულს ჩაეწეროს კავშირში...

ის თავხედურად აგინებს კავშირის წარმომადგენლებს.

ხაზეინების თავგასულობას ჩვენ ლაგამი უნდა ამოვსდოთ!..

მოქალაქე ტყებუჩავას უნდა აუწიოთ ყურები!..

მხოლოდ მაშინ ისწავლის ის ჭკუას.

მუშკორი ბანი.

გამოგზავნილი წერილებიდან.

— **სანიტკომისიავ, ფხიზლად!** ლენინის ქ. სახ. № 10-ში ცხოვრობს პროლეტარული სტუდენტობა. ამ სახლში სუფევს საშინელი უსუფთაობა. კორიდორები ნაგვით და ნეხვით სავსეა. ამგვარ ანტისანიტარულ პირობებში ცხოვრება მოსწავლე ახალგაზრდობისათვის პირდაპირ აუტანელია და დაუშვებელიც.

სანიტკომისიავ გამოიღვიძე!

იქაური.

— **დაამყარეთ ამ სადგურზე წესრიგი.** ვერ იქნა და ვერა, რომ სად. ბადიაურზე წესრიგი და მყუდროება დამყარებულიყო. ეს სადგური ჩხუბის, აყალ-მაყალის და ყოველგვარ სხვა უსიამოვნებათა ბუდეთ გადაიქცა. სატყეო ტრესტის წარმომადგენელსა და ადგილობრივ გლეხკომს შორის ყოველდღე ჩხუბი და დავიდარაბა იმართება შეშის საკითხში. სადგურის ბუფეტში ყოველდღე ქეიფი და მუშტი-კრივი იმართება. თვით ბუფეტი საშინლად გაბინძურებულია იქ მოსიარულე ძაღლთა ხროვით.

მიიღეთ ზომები!

დაუჯი.

— **ადგილკომის გადარჩევა.** 25 ოქტომბერს შესდგა ახალციხის და ახალქალაქის ფოსტა-ტელეგრაფზე მომუშავეთა გაერთიანებული კრება. კრებამ მოისმინა ადგილკომის და სარევიზიო კომისიის მოხსენება მათი ექვსი თვის მუშაობის შესახებ და სცნო ადგილკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად. მასთან კრებამ აირჩია ახალი ადგილკომი სამი კაცის შემადგენლობით. კრებამ მიიღო დადგენილება საწარმოო თათბირების გამოცოცხლების შესახებაც.

მამუკაშვილი.

— **უპატრონო ადამიანი.** მე-3-ე უბანში ყოფ. შტაბის ქუჩაზე, ცეკავშირის ტროტუარზე და პუშკინის სკვერის გვერდით ყოველდღე დაინახავთ ჭუჭყიან და დამპალ ძონძებში გახვეულ ვიღაც მათხოვარს. ამ გაუბედურებულ ადამიანს საშინელი სუნი უდის. მის ახლოს გავლაც შეუძლებელია. ჯოჯოხეთური ყოფაცხოვრებით გაუბედურებული ადამიანი გამვლელ-გამომვლელ მოქალაქეთ „გროშებს" თხოულობს და თუ ვინმე მას ასეთს ვერ მისცემს, ჯოხითაც ემუქრება.

ალმასკომო, აიყვანე ქუჩიდან ეს უპატრონო, დავადებული ინვალიდი!

მუშა მნახველი.

— **მუშათა კლუბში უნდა [illegible] მუშაობა.** 1923—1924 წ. კირკის და ყოფ. ჩერქეზიშვილის ქუჩებზე გაიხსნა ამხ. ლ. სუხიშვილის სახელობის მუშათა კლუბი, სადაც პირველ ხანებში სწარმოებდა ენერგიული მუშაობა კულტურულ დარგში. ამჟამად ამ კლუბში არავითარი მუშაობა არ წარმოებს, ვითომდა იქ ყველაფერი გაიყიდა. ან კლუბად გამოიყენეთ ეს შენობა და აწარმოეთ კულტმუშაობა, ანდა იგი გადაეცით მუშებს საცხოვრებელ ბინად.

მუშა გამვლელი.

— **პროლეტ. სტუდენტთა სასადილოში.** ეს სასადილო წინად კარგი ხარისხის სადილებს ამზადებდა და იაფ-ფასებში აწვდიდა სტუდენტობას; ეხლა კი სადილი ძალიან მდარე ხარისხის გამოდის; სუფი სულ უბრალო თბილ წყალს უფრო მოაგონებს, ვიდრე სუფს.

გააუმჯობესეთ სადილები!

იგ—ნი.

მუშათა ქრონიკა

— **კონფერენციის მოწვევა.** საქონლის სადგურის ადგილკომთან არსებულმა კულტკომისიამ, კულტმუშაობის გაძლიერების მიზნით დაადგინა, მოიწვიოს კონფერენცია ყველა წრეების წარმომადგენლებისა ა/წ. ნოემბერში.

— **მთავარ სახელოს. ადგილკომის რევიზია.** მთავარ სახელოსნოში ადგილკომის რევიზია მოხდა, გზის კომიტეტის და საქ. პროფსაბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობით. მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად.

— **მუშებს დაურიგეს შეშა.** შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ოქტომბრის შუა რიცხვებში დაურიგა შეშა თავიანთ მუშა-მოსამსახურეებს—შეშის საფასურის 9 თვის განმავლობაში ჯამაგირიდან გამორიცხვით.

— **საქონ. სადგურის** ადგილკომმა გამოჰყო კომისია, რომელსაც დაავალა გამოარკვიოს ბაქოს, ბათომის სანიტრების და მუშების მდგომარეობა, კვირა-უქმე დღეებისა და სამუშაოთი დატვირთვის შესახებ.

— **საქონ. სადგურის** ადგილკომთან არსებულმა კულტ-კომისიამ დაადგინა—კედლის გაზეთი „წითელი შოლტი" იქნას გამოშვებული თვეში ორჯერ უფრო გაფართოებულ ფორმატით.

— **საქონ. სადგურის** ადგილკომმა დაადგინა, მიეცეს ტექნიკურ მომუშავეებს, როგორც წარმოებასთან დაკავშირებული, თვიური ჯამაგირი 15 მანეთის მინიმუმით.

წერილები სოფლებიდან

ბოლო უნდა მოეღოს

დღეს ჩვენს გაზეთში იბეჭდება კორესპონდენცია ლეჩხუმიდან, რომელშიაც გლეხკორი „ვარამი" გვატყობინებს, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვამ უკანასკნელ ხანებში მთელ მაზრაში მასიური ხასიათი მიიღო. კორესპონდენტს სხვათა შორის მოჰყავს ერთი მეტად აღმაშფოთებელი ფაქტი. ის გვწერს, რომ ასეთი სამარცხვინო საქციელი ჩაუდენია პარტიის ერთ უღირს წევრთაგანს.

შეიძლება ამ შემთხვევაში კორესპონდენტის წერილი მიწით მასიურათ ვაჭრობის შესახებ რამდენიმედ გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ ამ მოვლენას მართლაც აქვს ადგილი და არა მარტო ლეჩხუმის, არამედ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. მიწის არალეგალურათ ყიდვა-გაყიდვა უწინაც სწარმოებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც შემოღებულ იქნა იჯარით გაცემის უფლება, ამ სენმა კიდევ უფრო გაიდგა ფესვები და მიწით არალეგალურათ ვაჭრობას მეტი გასაქანი მიეცა. იყიდება მიწები იჯარის, გაცვლა-გამოცვლის სახით. ზოგიერთ შემთხვევაში, თუ მყიდველ-გამყიდველი ერთმანეთს ენდობა, იწერება ორგვარი საბუთი: ერთი მიწის იჯარით გაცემის შესახებ, მეორე კი ნასყიდობის. პირველი მყიდველს სჭირდება, როგორც ოფიციალური და დაკანონებული საბუთი, მეორეს ინახავს სამერმისოდ „ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ".

თავის-თავად გასაგებ მიზეზების გამო გამყიდველის როლში უმეტეს შემთხვევაში სოფლის ღარიბი მოსახლეობა გამოდის, ხოლო შემძენის ისედაც შეძლებული და თავისუფალ თანხის მქონე გლეხი. ადვილი წარმოსადგენია რა ზიანი მოაქვს ამას სოფლად საბჭოთა მშენებლობისათვის საერთოდ და კერძოთ მიწათმოწყობისათვის. პროვოკატორები იმდენათ გათამამდენ, რომ გლეხებში უშიშრათ დაძრწიან და ხმებს ავრცელებენ, რომ მიწით ვაჭრობა დღეს თუ არა ხვალ დაკანონებული იქნებაო.

ცხადია ასეთ მდგომარეობას ერთი წუთითაც ვერ შეურიგდება პარტია და ხელისუფლება. იმიტომ კი არ გაუღია მშრომელ ხალხს ამდენი მსხვერპლი ახალ მიწის კოდექსის მოსაპოვებლად, რომ მის საჯიჯგნათ და გასაბათილებლად ასე ადვილათ მიუშვას სოფლის ბნელი ძალები, რომლებიც სარგებლობენ გლეხის გაჭირვებით და მას არსებობის უმთავრეს წყაროს ხელიდან სცარცვიან.

ეს საკითხი ფართედ უნდა დაისვას სოფლის კრებებზე და ყრილობებზე. ადგილობრივათ მომუშავე ამხანაგებმა უნდა განუმარტონ სოფლის მოსახლეობას საბჭოთა მიწის კოდექსის მნიშვნელობა და შინაარსი. ყველამ უნდა გაიგოს, რომ მიწის ყიდვა-გაყიდვა სისხლის სამართლის ხასიათის ბოროტმოქმედებაა, რომელსაც ხელისუფლება მთელი სისასტიკით სდევნის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ იჯარით აღებული მიწა მხოლოდ და მხოლოდ დროებით სარგებლობაში გადადის ამა თუ იმ პირთან და ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება მის მუდმივ სარგებლობის საგნათ აღიარებული. კიდევაც რომ განაცხადოს ამის სურვილი „გამყიდველმა", მიწით ვაჭრობას არასოდეს არ დაუშვებს ხელისუფლება, ვინაიდან მიწა სახელმწიფო კუთვნილებას წარმოადგენს და არა კერძო პირის საკუთრებას. თავის დროზე იჯარით მისაკუთრებული მიწა ხელიდან გამოეცლება ყველა მის უკანონო მიმთვისებელთ.

რაც შეეხება კერძოთ კორესპონდენციაში მოთხრობილ შემთხვევას, ცხადია ლეჩხუმის ორგანიზაცია არ დააყოვნებს საქმის გამოძიებას და პარტიის ისეთ კუზიანებისაგან გაწმენდას, როგორიცაა შკუბულიანები. ამასთან ერთად არც ისეთი საკრედიტო ამხანაგობების თავმჯდომარეები უნდა დარჩენ ცოცხის გარეთ, რომელნიც თავის მდგომარეობას შკუბულიანების ხელის შესაწყობათ იყენებენ და ამით ძირს უთხრიან საბჭოთა კანონმდებლობას და რევოლიუციონურ კანონიერებას.

ა. გვრიხელი.

ვინ არღვევს საბჭოთა კანონებს?

(ლეჩხუმი)

ამ ბოლო ხანებში მაზრის ხვადასხვა თემებში გახშირდა მიწების ყიდვა-გაყიდვა. ამ მოვლენამ მასიური ხასიათი მიიღო. სამწუხაროდ მიწის ყიდვა-გაყიდვას ხელს უწყობენ ზოგიერთი მოსამსახურეები და თუ გნებავთ პარტიულებიც.

სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, რომ ცაგერის კომჯგუფის წევრს ამხ. შკუბულიანს უყიდია მიწა ლიპი მდივნისაგან. კომპარტიის წევრის ასეთი მოქმედება დაუშვებელია. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ცაგერის რაიონის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარემ თ. კახიძემ (ნიკოლოზის დროინდელი ჩაფარია) კარგად იცოდა, რომ შკუბულიანი მიწას ყიდულობდა და მას ბანკიდან 100 მანეთზე მეტი ასესხა. ასეთი საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე წყალსაც წაუღია. ტყვილა ვლაპარაკობთ რევოლიუციონურ კანონიერებაზე, როდესაც ასეთი ჯურის ბოროტმოქმედთ პასუხს არავინ სთხოვს.

რატომ არ გვეხმარებიან?

(ს. დირბი, გორის მაზრა)

სოფ. დირბის მცხოვრებლებს საკუთარი სახსარით გამოჰყავთ წყალსადენი სამვერსნახევარ მანძილიდან. ის, ვისაც უნახავს ჩვენი სოფელი—უზარმაზარ გადამწვარ და მოტრუსულ უდაბნოში ზედიზედ აყუდებული სახლებით, ვისაც გაუგონია ამ სოფლის მცხოვრებლების აუტანელი, გამოუთქმელი ტანჯვა-წვალება, რომელსაც განიცდიან ისინი უწყლობით, ის მიხვდება, თუ რა დიდი მნიშვნება აქვს ჩვენთვის ამ წყალსადენს და გულწრფელადაც დაგვეხმარება. მცხოვრებლებმა თავისი სურვილით გამოიღეს ფული, მაგრამ ეს თანხა არ ყოფნის გაკეთებას. გლეხობას, წყალის გამოყვანაზე საჭირო თანხის გამოტანა უჭირს, წელს მოუსავლობა ზედ დაგვერთო, სას.-სამ. გადასახადი უნდა გაიტანოს და წყლისთვის კი აღარ რჩება.

გორის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ აღგვითქვა დახმარება სესხის მოცემით. მაგრამ კომუნალურ ბანკის განყოფილება ქ. გორში უარს გვეუბნება. რატომ სჩადის ამას?! იქნებ არ გვენდობა. ხალხი მზათაა მთელი თანხა, რაც საჭირო ექნება; გამოიტანოს ნაწილობრივ. გლეხკომს მომავალ წელს 15 დესეტინა საუკეთესო მამულის მოსავალი იქნება სესხის გადახდა ადვილია, მხოლოდ საჭიროა დრო ერთი წელიწადი. ეს საქმე არ უნდა ჩაიშალოს. საჭიროა დახმარება სესხით. ამ სესხს გლეხობა მადლობით გადაიხდის.

სერნარი.

სიბნელის მსხვერპლი

(წერილი ხაშურიდან)

ამას წინეთ სოფ. პატარა ყელეთში (გორ. მაზ.) მოხდა მეტად საზიზღარი და აღმაშფოთებელი მკვლელობა. ტყის გზაზე ღამით ძმებმა ლომიძეებმა თოფით დახოცეს ორიმა წიქარიშვილები.

ამ საზიზღრობის მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: სოფ. წრომში მცხოვრებელ ნიკო გრიგალაშვილს თავისი მიწა იჯარით მიუცია წიქარიშვილებისთვის, ხოლო ადრე ამ მიწის იჯარით აღება სდომებია ძმ. ლომიძეებს, რაზედაც პატრონს უარი უთქვამს. ამის შედეგად მოყოლია დავა და ჩხუბი წიქარიშვილებსა და ლომიძეებს შორის.

ერთი თვის შემდეგ ეს საქმე სასამართლომდის მისულა მაგრამ ლომიძეებს არ მოუცდიათ საქმის გარჩევამდე. წინასწარი განზრახვით ჩასაფრებიდან ტყიდან მომავალ წიქარიშვილებს უსვრიათ თოფები და ორივე ძმები იქვე საზიზღრად დაუხოცნიათ. წიქარიშვილებს ტყეში ჰყოლიათ წაყვანილი მცირეწლოვანი შვილები და მათი დახოცვათ სდომებიათ ამ მხეცებს, მაგრამ ბავშვები ტყეში გადაცვივნულან და შემთხვევით მომავალ თოფიან მგზავრს—კაზულაშვილს თოფის სროლით გადაურჩენიათ, რის შემდეგაც საქონელთან ერთად ჩამოუყვანია სოფელში.

მომხდარი ამბით მეტად აღელვებული არის მთელი რაიონის გლეხობა და მოითხოვენ ლომიძეების ადგილობრივ გასამართლებას და უმაღლესი სიმკაცრით დასჯას.

ა. ც—ძე.

დანაპირები არ გაგვიმართლდა

როგორც სხვაგან ზუგდიდის მაზრაშიც დაარსდა აგრონომიული ტექნიკუმი. ამას დიდი სიხარულით შეხვდა მაზრის გლეხობა. ისინი ამბობდენ, რომ ასეთი ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ შვილები მოეხმარებიან თავიანთ მამებს ოჯახის მშენებლობაშიო.

ტექნიკუმის დაარსებისას და შემდეგშიც ნათქვამი იყო, რომ მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიანო სახელმწიფოს მიერ. ამ მიზნით სასწავლებელში თავიდანვე უღარიბეს გლეხობას ღებულობდენ. მაგრამ ეს ჯერჯერობით არ გამართლებულა. მოწაფეები ეს მეორე წელია ელიან უფასოდ უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებით მაინც. სინამდვილეში ეს არ არის. ჩემის აზრით მაზრის აღმასკომმა უნდა მოაგვაროს ეს საქმე. გამოითხოვოს ცენტრიდან რაც შესაძლებელია თვითონაც გაიღოს წვლილი და გაამართლოს ღარიბ მოწაფეების მოლოდინი.

ტ. როგავა.

ბინის კრიზისი დილომში

სოფ. დილომში არსებობს თემაღმასკომი, სოფ. საბჭო, გლეხკომი, კოოპერატივი, საკრედიტო ამხანაგობა, შვიდწლედი, საექიმო პუნქტი, საავადმყოფო, თეატრი, ქოხსამკითხველო, კომუჯრედი და სხვა დაწესებულებანი, მაგრამ ჩვენდასაუბედუროდა არც ერთ დაწესებულებას არ აქვს შესაფერი სადგომი ბინა. თემის აღმასკომს დაკავებული აქვს ორ პატარა ოთახიანი ძველი, ძალზე დაზიანებული სახლი. იმ ორ პატარა ოთახში მოთავსებულია თემ-მილიცია, გლეხკომი და თემ-აღმასკომი. ამავე დროს ამ ოთახებს საცხოვრებელ ბინათაც იყენებენ საბჭოთა მოსამსახურეები. აღნიშნულ შენობას რომ შევხედოთ გარედან, ვერას დროს ვერ იფიქრებთ თუ იქ რამე დაწესებულებაა მოთავსებული; გარედან ის უფრო თავლას წააგავს. სკოლა უარეს მდგომარეობას განიცდის. ერთ და იმავე ოთახში მოწაფეებს სამ ჯგუფად უხდებათ მეცადინეობა. არის გარდა ამისა სამი ჯგუფი სრულიად უბინაოდ, რის გამოც მეცადინეობა შეწყვეტილია.

აღმასკომი შუამდგომლობს დაწესებულების გადაჯგუფების შესახებ, რომ ამით მოხერხდეს სკოლისათვის ბინის გამოძებნა. თუ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა თბილისის აღმასკომმა, 150 მოწაფე მოსცდება სწავლას. აღსანიშნავია, რომ ახლად დანიშნული მასწავლებლები და საბჭ. მოსამსახურეები უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან. უბინაობის გამო მასწავლებლებს პარტებზე სძინავთ. ადგილობრივი თემ-აღმასკომი ვერაფერს ხდება თანხეაის უქონლობის გამო. საჭიროა ცენტრის დახმარება. თბილისის აღმასკომმა უნდა აღმოუჩინოს თემს დახმარება სესხის სახით.

ი. ლელონტი.

წერილებიდან

ქ. სიღნაღი

სამი მთვრალი. წარსულ კვირაში პარტკომის საქმეთა მმართველი, მისი ამხანაგი სვიმონიშვილი და ერთიც აფთიაქის თანამშრომელი ღვინით გალეშილები, უგრძნობლათ დაბარბაცებდნენ ქუჩაში. ისინი ბუნებრივ მოთხოვნილებას გამვლელთა მოურიდებლათ ქუჩაშივე იკმაყოფილებდნენ. ბოლოს გრძნობა დაკარგულები დაეცნენ და ძლივს ააყენეს, რის შემდეგაც დუქანში წაიყვანეს გამოსაძინებლათ.

ქედელი.

ქვალონი (ზუგდ. მ.)

მოსამართლეს არ შეფერის. 19 ოქტომბრისთვის დანიშნული იყო სასამართლოს სხდომა. გლეხები უკლებლივ გამოცხადნენ. ჩამოვიდა ზუგდიდიდან მსაჯული შონიაც. მაგრამ სანამ საქმეს შეუდგებოდა, საუზმე მოისურვა. აღმასკომის თავმჯდომარემ მიიპატიჟა ის დუქანში. აქ მოსამართლე იმდენათ გაიტაცა ღვინომ, რომ იმ დღეს სხდომა ვეღარ შესდგა. გლეხები უკმაყოფილონი დარჩნენ ტყუილ-უბრალოთ დღის გაცდენით.

დამსწრე.

ივან-დიდი (ხონის რაიონი)

სოფელი უსკოლოთ. ჩვენ სოფელს დღემდი არა აქვს თავისი სკოლა. ბავშვებს ხან ერთ სოფელში უხდებათ სიარული და ხან მეორეში. ივან-დიდში საკმაოთ მოიძებნება მომზადებული ძალები, რომელთაც შეუძლიათ ითავონ სკოლის დაარსება და ხელმძღვანელობა.

კიტა.

თერჯოლა (შორ. მ.)

სექციები ბევრია—საქმე კი არ სჩანს. ადგილობრივ თემსაბჭოს მრავლად ჰყავს სექციები. არის განათლების, საგზაო, კოოპერაციის, გლეხკომის, სანიტარული და საფინანსო სექცია. არც ერთი მათგანი არ იჩენს მუშაობის უნარს. ბევრს კიდეც დაავიწყდა რომელ კომისიის წევრია ის. გზები თერჯოლაში ისეა დაზიანებული, რომ ავდრიანში ცხენოსანიც ვერ გაივლის.

ვალ—ია.

ჭიათურა

საჭიროა ღამის სათევი. ჯამაგირზე და სხვა მოვალეობათა შესასრულებლათ მაზრაში ჩამოსული მასწავლებლობა უბინაობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდის. ღამეებს სადგურზე უძილოთ ათენებენ და მეორე დღეს მთვრალივით დაიარებიან. განათლების განყოფილებამ უნდა მოაწყოს სოფლიდან ჩამოსულთათვის მოსასვენებელი სახლი.

ვალი.

სვირი (ქუთ. მ.)

— **ხორცს მოხარშვა უნდა.** აქაურ წითელ სასადილოში ხშირათ უხარშავი ხორცით უმასპინძლდებიან მოსადილეებს. 20 ოქტომბერს ისეთი მაგარი ხორციანი კერძი იყო, რომ კბილები ვერაფერს აკლებდა. წითელ სასადილოში ასეთი მოვლენა დაუშვებელია.

ვალ—ია.

სოფლის ქრონიკა

— **სკოლის გახსნა.** ოქტომბრის დღესასწაულებზე სოფ. ტყვიავში მოხდება გლეხკომის მიერ აგებული სკოლის საზეიმო გახსნა.

— **სესხი გლეხებს.** გორის მაზრის გლეხკომებს დღემდე გლეხებისათვის სესხათ მიუციათ 4,126 ფუთი პური, 504 ფუთი ქერი და 1903 მანეთი ფულათ.

— **სიღნაღის მაზრაში** დაიწყო კამპანიის ჩატარება ტყეების უთავბოლო გაჩეხვის წინააღმდეგ.

— **საკრედიტო ამხანაგობანი.** აჭარის უმთავრეს ყველა სოფლებში განზრახულია გაიხსნას საკრედიტო ამხანაგობანი.

— **ქვიშხეთის** გლეხებმა გადასწყვიტეს თავიანთი ხარჯით გამოიყვანონ წყალსადენი.

ვუერთდები მუშათა კომისიის რწმუნებულთა დადგენილებებს

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო!

სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო მუშათა კომისიის რწმუნებულთა თათბირს, რომელიც შესდგა თბილისში გასულ ოქტომბერში, ვერ დაესწრო სიღნაღის მაზრის ყოფილ მენშევიკთა წარმომადგენელი.

ამიტომ ამხანაგების დავალებით გაცნობებთ, რომ სავსებით ვიზიარებთ თათბირის ყველა დადგენილებებს და გთხოვთ მის რეზოლიუციების, დეკლარაციის და ქართველ ემიგრაციის, [illegible] და [illegible] მიმართვის ხელისმომწერლების სიას მიუმატოთ ჩემი—სიღნაღის მაზრის რწმუნებულის—სახელი და გვარიც.

სიმონ დავითის ძე ნატროშვილი.

(სოციალ-დემოკრ. პარტიის წევრი 1901 წლიდან).

1 ნოემბერი 1925 წ.
ქ. სიღნაღი.

სტოვებენ მენშევიკურ პარტიას

— ვინაიდან ჩემი დაკვირვებით და გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ მენშევიკურმა პარტიამ საქართველოს მშრომელი ხალხი დაღუპვის კარამდი მიიყვანა და საბოლოოთ გადაუხვია რევოლიუციის გზიდან, მე ერთი წელია გავსწყვიტე ამ პარტიასთან როგორც იდეური, ისე ორგანიზაციული კავშირი. პარტიის რიგებში ვირიცხებოდი 1918 წლიდან.

კოტე მიხეილისძე ოთარაშვილი.

ვაცხადებ საყოველთაო საყურადღებოთ, რომ მე ყოველივე კავშირს ვწყვეტ და გამოვდივარ მენშევიკურ პარტიიდან, რომელშიაც ვირიცხებოდი 1917 წლიდან.

ილარიონ პიხვარია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

განმარტება

ს. ს. ს. რ. იუსტიციის სახალხო კომისარიატისა

სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციაში გატარების წესის შესახებ

ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭომ ა/წ. 2 აპრილის თარიღით და 16 №-ით გამოაქვეყნა დადგენილება ერთიან სავაჭრო რეესტრის შესახებ იმ მიზნით, რომ სწორედ ყოფილიყო აღრიცხული ა/კ. ს. ფ. ს. რ. ტერიტორიაზე მომქმედი ყველა სავაჭრო საწარმო და მათთვის მეთვალყურეობა გაწეული და აგრეთვე იმისათვის, რომ კოლექტიურ საწარმოებს იურიდიული პირის უფლებები ჰქონდა მინიჭებული, აღნიშნული დადგენილებით ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა და მის რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოთა რეგისტრაციაში უნდა იქნეს გატარებული ყველა არსებული და ახლად დაარსებული სავაჭრო საწარმო და აგრეთვე სამრეწველო საწარმოც. აღნიშნულ დადგენილების მესამე მუხლის პირველ შენიშვნის თანახმად სავაჭრო საწარმოდ უნდა ჩაითვალოს ისეთი სამრეწველო საწარმო, რომელსაც 6 მუშაზე მეტი ჰყავს და მამოძრავებელიც აქვს, ხოლო თუ მამოძრავებელი არა აქვს—12 მუშაზე მეტი ჰყავს. ასეთი რეგისტრაციისაგან განთავისუფლებულია მხოლოდ მესამე ხარისხზე დაბლა მდგომი სავაჭრო საწარმო.

ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ა/წ. 2 ივნისის თარიღით და 22 №-ით გამოქვეყნებული დადგენილებით კი სამრეწველო საწარმოთა რეგისტრაციისა და ხელახალი რეგისტრაციის შესახებ (გაზეთ „კომუნისტ"-ის № 129 (1284 ა/წ. 7 ივლისის) სახალხო სამეურნეო საბჭოს სამრეწველო-ეკონომიურ განყოფილებისა და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის რეგისტრაციაში უნდა გატარდეს, როგორც ყველა ახლად გასახსნელი სამრეწველო საწარმო, ისე ყველა, მის დიდ პატარაობის მიუხედავად, საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის საზღვრებში არსებული სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმო. ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 22 №-ით დადგენილების მიზანი ა/კ. ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 16 №-ის დადგენილების მიზნისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ამყარებს საქართველოს ახლად გასახსნელ სამრეწველო საწარმოთა სწორი რეგისტრაციის წესს და არკვევს უკვე არსებულთა მდგომარეობას.

მიუხედავად აღნიშნულ დადგენილებათა მიზნების სხვადასხვაობისა, მათი ცხოვრებაში გატარება გაუგებრობას იწვევს იმ მხრივ, რომ ზოგი საქართველოში მომქმედი სამრეწველო საწარმო ეწერება ქალ. თბილისში მხოლოდ უმაღლეს სამეურნეო საბჭოში და პროვინციაში მის ადგილობრივ ორგანოებში, ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინავაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოს და მის ადგილობრივ ორგანოების სავალდებულო რეგისტრაციაში კი არ ტარდება. ყველა ამის გამო და აგრეთვე აღნიშნულ დადგენილებით ნაგულისხმევი რეგისტრაციის სწორად გატარებისათვის იუსტიციის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ არ არის განთავისუფლებული ა/კ. ს. ფ. ს. რ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველოსა და მის ადგილობრივ ორგანოებში რეგისტრაციისაგან ისეთი სამრეწველო საწარმო, რომელიც ა/კ. ს. ფ. ს. რ სახალხო კომისართა საბჭოს ა/წ. 2 აპრილის თარიღით და 16 №-ით გამოცემული დადგენილების მესამე მუხლის პირველ შენიშვნის ძალით სავაჭრო საწარმოდ ჩაითვლება.

იუსტიციის სახალხო კომისარის მოადგილე: **ნ. ოკუჯავა.**
საკანონმდებლო განყოფილების გამგის მაგიერ: **ა. კოსტავა.**

საქართველოს საგანგებო კომისიის ბრძანება № 147

30 ოქტომბერი 1925 წ.

საქართველოს საგანგებო კომისიამ ბრძანებით № 35 ა/წ. 3 მარტის თარიღით წინადადება მისცა ყველა მოქალაქეებს და აგრეთვე საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს გაატარონ რეგისტრაციაში ამ ბრძანებაში აღნიშნულ ვადაში იარაღი, რომელიც მათ აქვთ. მიუხედავათ იმისა, რომ ვადა, რომელშიც იარაღი უნდა იქნას გატარებული რეგისტრაციაში დიდი ხანია გათავდა, ზოგიერთ მოქალაქეებს ასეთი დღემდის არ გაუტარებიათ რეგისტრაციაში.

საქართველოს საგანგებო კომისია უბრძანებს: 1. ყველა მოქალაქეებს და ორგანიზაციებს არა უგვიანეს ა/წ. 1 დეკემბრისა გაატარონ რეგისტრაციაში მათი იარაღი. ამ ბრძანების შეუსრულებლობისათვის დამნაშავეთა წინააღმდეგ მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები და ისინი მიცემული იქნებიან სამართალში იარაღის ბოროტ განზრახვის მიზნით ტარებისათვის.

2. საქ. საგანგებო კომისიის ყველა ადგილობრივ ორგანოებს და კომენდანტს ევალებათ იარაღის რეგისტრაციის ვადა განაახლონ და გააგრძელონ 1925 წ. 1 დეკემბრამდე. მომავალში, ყველა იმ პირთ, რომელთაც აღმოაჩნდებათ რეგისტრაციაში გაუტარებელი იარაღი, ასეთი ჩამოერთმევათ და ამავე დროს მიიცემიან სამართალში.

საქ. საგანგებო კომისიის თავმჯდომარე—**კვანტალიანი.**
ადმინისტრატიული განყოფილების გამგე—**სტანსკი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 4 ნოემბერს, საღამოს 7 ნახ. საათზე თბილ. კომიტ. მდივნის კაბინეტში გაიმართება კომუნისტ-ლექტორების თათბირი, რომლებიც ლექციებს კითხულობენ უმაღლეს სასწავლებლებში, ა/კ. უნივერსიტეტში, ცენტ. და თბილისის საბპარტ. სკოლებში, მუშფაკებში და ტექნიკუმებში.

დღის წესრიგი; 1) ლექტორულ ძალების აღრიცხვა, 2) ლექტორულ ძალების გამოყენება პარტმუშაობაში და პარტიულ დატვირთვის საკითხი, 3) სკოლის გარეთა მუშაობაზე მოსწავლეთა შორის, 4) ა/კ. უნ. პედაგოგიურ კაბინეტის შესახებ, 5) საორგ. საკითხები.

დასწრება სავალდებულოა ყველა კომუნისტ-ლექტორებისათვის, მთავარ პროფ. განათ. მუშაკთათვის და განათ. მუშაკთა ცენტ. გამგ. საორგ. განყ. გამგეთათვის.

თბილ. კომ. მდივანი—**ახრიბეკოვი.**

— **ქალაქის რაიკომი** წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებსა და კანდიდატებს, რომლებიც ირიცხებიან ქართულ, რუსულ და სომხურ მუშფაკებში და ამჟამათ იმყოფებიან სხვა უჯრედებში, დღეიდან გადაირიცხონ იმ მუშფაკების უჯრედებში, რომელშიაც ისინი ითვლებიან.

მდივანი—**გ. სტურუა.**

— **არსრაიკომი** იუწყება: დღეს, 4 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მელითონეთა კლუბში (ელისაბედის ქ. № 119) შესდგება სადელეგატო კრება რაიკომის უჯრედების ბიუროების წევრებსა და მდივნებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა ყველა დელეგატებისათვის და ბიუროების წევრებისა და მდივნებისათვის, აგრეთვე ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებისათვის.

კანდიდატობიდან—პარტიის წევრობაზე გადასარიცხნი:

ისაკ არატოვი, პავლე ალიმოვი, არამ აბგარიანი, ნიკ. აბულიანცი, ელენე აგბაროვი, სამსონ ავეტიანი, კარაპეტ ბაჯიაშვილი, გიორგი ბეგიაშვილი, სუმბატ ბაღდასაროვი, სიმა ბრასლავსკაია, კოსტა ბლიაკოვი, ევგენია ბუკოვა, გევორქ ბალოიან, ილია ბაკუროვი, ჟან ბერლანი, ვარ. გორდიაშვილი, ბარბარე გუნიტაშვილი, შაქრო გიგოლიევი, ელენე გრეჩკო, ივან გებორიანი, მარია გულიევა, ბენედ. დალაქიშვილი, შალვა ჯაბადარი, მიხ. დუდოჩკინი, სიმონ ეგიკოვი, ალ. ყურნანკოვი, გიორგი ზარდიაშვილი, სერგო ივანიცკი, ივან კუბიაშვილი, კოსტ. ყვაველაშვილი, ზაქარია კოლხიდაშვილი, ევგენია კოჩიევა, სარქის კოშეელოვი, გიორგი კლდიაშვილი, ეკ. კარპოვა, ლეონიდ კორიკო, ფედორ კარტოვენკო, პარასკევ ქართველიშვილი, ლადო კევხიშვილი, ნიკ. კუჩიევა, პეტრე კალინინი, მიხ. ლიტიაგინ, ზინაიდა ლაპშინა, სოლ. მირიანიშვილი, ალ. მამუკაშვილი, ნინა მამუკაშვილი, ვერა მოისეევა, ანნა მილოვანოვა, მურად მურადოვი, ალ. მალინი, სიმონ ბელნიკოვი, იადვიგა ალშევსკაია, დავით ოქრუაშვილი, ეფროსინე არზელოვი, კარაპეტ პეტროსიანი, მიხ. რაზმაძე, ონიკ სააკიანი, ხაჩატურ სოგოიანი, არტაშ სიროვი, ეკ. სარიჩევა, ამბროსი თითბერიძე, გრიგ. ტოგონიძე, მარტ ტოპრიანც, სარქის ტერ-ხაჩატუროვი, მიხ. უსტინოვი, კამილია ჩაპლინსკაია, ოგანეს ჩადრანოვი, ანტიმოს ჩეხონელიძე, არტემ ჩოპინოვი, ეკ. შლიფერი, ჰაიკ შიმლევი, ევდოკია ფედნევა.

პარტიაში კანდიდატებათ მისაღებნი:

ვლ. ალექსანდროვი, ოლგა არჯევანიძე, ბაღდ. არაქელიანი, პოღოს ალიხანოვი, გრ. ალინოვი, ის. ვართანოვი, თად. გოგოლაძე, კვარტა ჯანიკიანი, ივან ჯიჯავაძე, ლევ. ჯავახიშვილი, ნესტორ დევდარიანი, ნიკ. ხურაშვილი, ილია კოლუმბეკოვი, შალვა კაქელია, ს. რ. კაგრამანიანცი, სურენ კანციანი, გრ. ლელუაშვილი, ნიკ. მაჭავარიანი, გიორგი მონიაშვილი, ვლ. მახარაშვილი, ალ. მარქარიანცი, ვაგან მხითარიანი, მახმედ მესტოევი, გიორგი ნასიბოვი, დავით ოზაშვილი, ნიკ. მათიაშვილი, ონისიმ ფირცხალავა, ალ. რომანინი, ვერა სულაბერიძე, სირანუშ ხოეციანი.

მდივნის მაგ. **წითლიძე.**

— მესამე რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ რაიკომის საორგ.-განმანაწ. განყოფილებაში ამხ. მდინარაძესთან: სიმონ არუთინოვი, იონინა ტოლორაია, ზინაიდა გაი-სინიცინა, არშაკ მკრტიჩევი.

— თბილ. კომ. ალმრიცხ.—განმანაწ. განყ. სთხოვს ამხ. ნიკ. მჭედლიშვილს და არქიპ ქარაზველიძეს გამოცხადდენ განყოფილებაში ამხ. ჩარკვიანთან.

ამხ. ვასილ წომერიკს და სევასტი მესხს ეთხოვებათ, გამოცხადდენ დღეს, 4 ნოემბრს, დილის 10 საათზე ცენტ. საკ. კომისიაში.

— დღეს, 4 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე, მუშ. ცენტ. კლუბში შესდგება საზეიმო საღამო.

თბილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მერვე წლის თავის აღსანიშნავათ

პროგრამა: 1) მისალმებანი, 2) ამხ. ლუკაშინის მოხსენება, 3) მოსკოვის საორგ. თეატრის გამოსვლა. მოწვეული არიან: პროფესორები, სტუდენტები და სახ. პოლიტექ. ინსტ. თანამშრომელნი.

— ს. კ. პ. ლენინის რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იტყობინება, რომ პოლიტსკოლებში მეცადინეობა იწარმოებს ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით. ამისათვის ცხადდება ხელმძღვანელთა საყურადღებოთ, რომ ოთხშაბათობით მეცადინეობენ შემდეგი ხელმძღვანელები შემდეგ პუნქტებში:

შემოკლებული პოლიტ სკოლები: დეპოში ამხ. ბოკერია, სახარატო ცეხში ამხ. სალარეიშვილი, სამჭედლო ცეხში ამხ. ლაბარტყავა, საშემოსავლო სამსახურში ამხ. მოწონელიძე. მ ო | 2 ამხ. დანელიანი, რკინის გზის ახრანაში ამხ. ზანთარაძე, სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბანში ამხ. კაიშაური, რკინის გზის სამმართველოში ამხ. კატონოვი.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ:

საყუდი ამხ. კაიშაური და კატანოვი, სარონოდო ფარეხში ამხ. ბიხტაძე და ტერუნოვი, სახარატო ცეხში ამხ. კატინი, შესაკრებ ცეხში ამხ. ზანთარაძე, სადურგლო ცეხში ამხ. გაჩეჩილაძე, ჩამომსხმელ ცეხში ამხ. ლაბარტყავა, ამხ. რეუწოვი, კალანდაძე, და ბიტ-აბრამი თავთავიანთ სკოლებში.

ს. კ. პ. ლენრაიკომის სააგიტ.-საპროპ. განყ.

გამგის მოადგილე—საყვარელიძე

პ რ ო ფ ე ს ი უ ლ ი

— დღეს, საღამოს 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში—პროგრამების და მუშავება—3 და 4 ჯგუფის ქართველ მასწავლებელთათვის.

დაწუხრებული ოჯახი და ძმა გრიგოლ მიხეილის ძე ბარნოვი ცოლით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მათი საყვარელი და ძვირფასი

კოტე ბარნოვისას

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, საკუთარ ბინაზე კურსანტების ქუჩა № 11. გამოსვენება საკუთარ ბინიდან და დაკრძალვა მოხდება ნიკოლოზის სასაფლაოზე, ხუთშაბათს, 5 ნოემბერს საღამოს 4 საათზე

დამწუხრებული მშობლები: ევა და ლადო; ძმები: ირაკლი და ციციკო; ბებიები, ბაბუები, ბიძები, მამიდები, დეიდები, რძლები, ბიძაშვილები და მამიდაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის საყვარელ

ელენე ბულაშვილის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დასაფლავება ხუთშაბათს 5 ნოემბერს იქვე ნაშუადღევის 4 საათზე. 1—1 № 398

ღრმ დ დამწუხრებულნი: მეუღლე მელიკო, შვილი ვარლამ სიმონის ძე, ბიძაშვილი ზოსიმე გიორგის ძე და ძმისწული არტემ ზოსიმეს ძე ხომასაურიძეები, აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

სვიმონ დარჩიას ძე ხომასურიძე

რომლის დაკრძალვაც მოხდება ხუთშაბათს 5 ნოემბერს დღის 3 საათზე. გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან. (ყოფ. მიხეილის) დასაფლავებულ იქნება წმ. ნინოს სასაფლაოზე.

396 1—1

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“ (ქართულ ენაზე).

მოწაფეებს მიეცემათ შეღავათი, თუ ხსენებული სახელმძღვანელო დაკვეთილი იქნება 10 ცალზე მეტი

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—10

ხელის მომწერლებმა უველგვარი ცნობისა (...) უნდა მიმართონ „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას

რუსთაველის პრ. № 24 ტელეფონი № 10—49.

პროფ. ი. აბულაძეს

ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ ლექსიკონის მორიგი შემოსატანი ვისაც არ შემოუტანია, გთხოვთ გამოგზავნოთ შემდეგი მისამართით: რუსთაველის პროსპ. № 8 (ლექსიკონის) კანტორას.—თვიური შემოსატანი 1 ნახევარი მანეთი; საერთო ღირებულება 14 მანეთი; იანვრის შემდეგ 28 მ. ხელისმომწერი მიიღება გარდა ნაჩვენებ მისამართისა

წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა „განათლება“-ში

ოლოს ქუჩა № 6. ს. თავართქილაძესთან.

ნ. 157 2—1

სახელმწიფო წარმოებათა და კოოპერატიულ კავშირთა საყურადღებოდ

ა.-კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული

ამით აუწყებს სახელმწიფო წარმოებათა და კოოპერატიულ კავშირებს შემდეგს:

საკავშირო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. 4 სექტემბრის თარიღით დამტკიცებულ წესების მე-3 მუხლის თანახმად, მათი დაბეგვრის შესახებ სათანაბრო გამოსაღებით, ყველა ტრესტები, შენაერთები (კომბინატები), სააქციო საზოგადოებანი, რომელთა ძირითად მიზანს, მათი წესდებების თანახმად შეადგენს ექსპლოტაცია სამრეწველო წარმოებათა და კოოპერატიული კავშირები (მათ შორის „თბილისის მუშკოოპი“ და „ა | კ. ზაკტპო“) და რომელთა გამგეობანიც იმყოფებიან საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში, ვალდებულნი არიან 1926 წ. 31 იანვრამდე წარმოადგინონ რწმუნებულის სამმართველოს გადასახადთა განყოფილებაში დაწვრილებითი სიები თავის სავაჭრო და სამრეწველო საწარმოოთა (კანტორები, განყოფილებანი, სააგენტოები, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა). ამ სიებში აღნიშნული უნდა იყოს საწარმოოს ადგილმდებარეობა, ხარისხი და ღირებულება იმ პატენტისა, რომელიც აღებული აქვთ მათ 1925—26 საბიუჯეტო წლის პირველი ნახევარ წლედისათვის.

ამასთანავე, მიღებული წესით და უმეტნაკლებო სისწორით უნდა იყოს აღნიშნული სასტიკად შემოწმებული ცნობები, როგორც თვითეული საწარმოოს ბრუნვისა, ისე საერთოდ მთელი წარმოების ბრუნვათა 1924—25 საბიუჯეტო წლის მეორე საგადასახადო ნახევარწლედის განმავლობაში, ე. ი. 1925 წლის 1-ლ აპრილიდან 30 სექტემბრამდე.

იმავე წესდების მე-4 მუხლის თანახმად, დაწესებულია სინდიკატების, აქციონერთა საზოგადოების (მე-3 მუხლში გათვალისწინებულთა გარდა), ბანკების და საურთიერთო ნდობის საკრედიტო საზოგადოებათა დაბეგვრა სათანაბრო გამოსაღებით, რომლის მართვა-გამგეობაც მოთავსებულია გუბერნიისა ან მის თანაბარ ადმინისტრატიულ ერთეულის ცენტრში.

ამის გამო, საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში არსებული, ზემოხსენებული ორგანიზაციები, როგორც ისეთნი, რომელთა გამგეობანიც აქ იმყოფებიან, აგრეთვე იმ ორგანიზაციათა განყოფილებანიც, რომელთა გამგეობაც იმყოფება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ვალდებულნი არიან 1925 წლის 31 დეკემბრამდე მიღებულის წესით, წარმოადგინონ გადასახადთა განყოფილებაში ცნობები 1924—25 საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარწლედის ბრუნვათა შესახებ, ე. ი. 1925 წლის 1-ლ აპრილიდან 30 სექტემბრამდე, ამა თუ იმ წარმოების ყველა საწარმოოთა შესახებ, რომელიც კი არსებობს საბჭოთა საქართველოს ფარგლებში. ამ ცნობებში უნდა აღინიშნოს სწორი მისამართი საწარმოოთა და №№ ხარისხი და ღირებულება იმ სარეწავ მოწმობისა, რომელიც სავაჭრო წარმოებისათვის აღებული აქვთ 1925—26 საბიუჯეტო წლის პირველ ნახევარწლედში.

იმ წარმოებათ, რომელნიც აღნიშნულ ვადაზე არ წარმოადგენენ ცნობებს თავისი წარმოების ბრუნვათა შესახებ, თანახმად ზემოხსენებული წესდების მე-9 მუხლისა, ჯარიმათ დაედებათ არა უმეტეს ერთი ხუთად გადიდებული ღირებულება იმ უმაღლესი ხარისხის სარეწავ პატენტისა, რომელიც უნდა აეღო რომელიმე წარმოებისათვის. ამას გარდა, ასეთი წარმოებანი დაიბეგრებიან იმ მასალებისა და ცნობების მიხედვით, რომელიც ხელთ ექნება გადასახადთა საგანგებო კომისიას.

ხსენებული წესით ნავარაუდევი ბრუნვათა რაოდენობა შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს წარმოებისა ან საწარმოოს მიერ, მაგრამ საამისოდ უნდა წარმოადგინონ საჭირო ცნობები ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, რა დღესაც მათ ჩაბარდათ უწყება გადასახადთა საგანგებო კომისიის დადგენილებისა.

მათ მიერ წარმოდგენილი ცნობები, სათანადო შემოწმების შემდეგ, საფუძვლად დაედება სათანაბრო გამოსაღების შენაწერთა ხელახალ გამოანგარიშებას.

საკავშირო რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს—1925 წლის 11 სექტემბრის დადგენილების 393-ტე პუნქტის თანახმად, ადგილობრივ საბჭოთა შემოსავლის გასაძლიერებლად სათანაბრო გამოსაღების ზედნართით იბეგრებიან სახელმწიფო ტრესტები, სინდიკატები, სააქციო საზოგადოებანი (საპაიო ამხანაგობანი), ბანკები, საურთიერთო ნდობის საკრედიტო ამხანაგობანი და კოოპერატიული კავშირები.

იმავე ადგილობრივ საბჭოთა სასარგებლოდ საშემოსავლო გადასახადის ზედნართით იბეგრებიან სახელმწიფო და კოოპერატიული წარმოებანი და წარმოების შემადგენლობაში შემავალი შერეული საზოგადოებანი.

ამისათვის წარმოებანი და მათი გამგეობანი ვალდებულნი არიან, გუბერნიის ანუ მის თანაბარ ადმინისტრატიულ-ტერიტორიალურ ერთეულების ადგილობრივ საბჭოთა სასარგებლოდ თვითეული წარმოების შემადგენელ ნაწილისათვის სათანაბრო გამოსაღების ზედნართის ანგარიშში ამთავითვე წარმოადგინონ იმ ოდენობის თანხა, რომელიც ზედნართად ჰქონდათ შეწერილი გასულ საგადასახადო ნახევარწლედში.

ხსენებული თანხა ორ თანასწორ ნაწილად უნდა იქნას შემოტანილი: პირველი ნახევარი ა. წ. 30 ნოემბრამდე, ხოლო მეორე ნახევარი კი 1926 წლის 28 თებერვლამდე. ეს შემოტანილი თანხა მათ ჩაეთვლებათ იმ შენაწერის ანგარიშში, რომელსაც საბოლოოდ დაადგენს სათანაბრო გამოსაღების რაოდენობის გადამწყვეტი გადასახადთა საგანგებო კომისია.

ის სამრეწველონი და წამოწყებანი, რომლებიც მიმდინარე საგადასახადო ნახევარწლედში დაარსებულა, ე. ი. 1925 წ. 1 ოქტომბრის შემდეგ მიმდინარე ნახევარ წლედში განთავისუფლებულნი არიან საამთავო თანხის შემოტანისაგან. წინა საგადასახადო ნახევარწლედში დაარსებული წარმოებანი და წამოწყებანი კი, (ე. ი. 1925 წ. 1 აპრილიდან 1-ლ ოქტომბრამდე დაარსებულნი) ვალდებულნი არიან საამთავო თანხა ზედნართის ანგარიშში ზემოხსენებულ ვადებში წარმოადგინონ სამასი პროცენტის რაოდენობით (ერთი სამად) ის ძირითადი ღირებულება, რა ღირებულებისაც ჰქონდა აღებული სამრეწველო მოწმობა მიმდინარე საგადასახადო ნახევარი წლისათვის.

ა | კ. ფინსახკომის რწმუნებულის მაგ. საქართველოში—ფანცხავა

გადასახადთა განყოფილების მმართველი—ჯაფარიძე

ნ. 159 1—1

საუკეთესო სურათი

„დიადი—მარადიული“

კარინა გრიფფიტის მონაწილეობით

ფასები პირველ სეანსის დაწყებამდის: პარტერი—85 კ. ამფითეატრი—25 კ. მეოთხე ადგილები—20 კ.

იუკონის ნაპირებზე

დოროტეაა დალტონის მონაწილეობით

სოლისტი—იაკობ ბროდსკი

მეორე კვირა გრძელდება

„ბაღდადელი ქურდი“

მთავარ როლში დუგლას ფერბენკს

აპოლლო

ართისტრო

სოლეი

0—6 ნ. 115

კ ი ნ ო ა პ ო ლ ლ ო

დღეიდან—ყოველ დღე

სეზონის საუკეთესო სურათი. გამოშვება 25 წ. შეუდარებელ კარინა გრიფფიტის მონაწილეობით

დიადი-მარადიული

გაძლიერებული სიმებიანი ორკესტრი რომანოვსკის ხელმძღვანელობით.

სოლოს ვიოლონჩელზე შეასრულებს—მალუშცევი. როიალზე—მ. შავერზაშვილი

შენიშვნა: ადგილების ფასები პირველ სეანსის დაწყებამდის: პარტერი—35 კ. ამფითეატრი—25 კაპ. მეოთხე ადგილები—20 კაპ.

ყველგან იწვევს დიდ აღტაცებას

[illegible] აე დღეებში „უძღები შვილის სიდიდე“ [illegible]

ნ. № 158 1—1

ექიმი ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.

პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ პირდაპირ. მიღება 8—11 დილ., 6—8 საღ.

25—1

ექიმი ვ. ს. არზუტინსკი

ელისაბედის ქუჩა, 53.

ყურის, ყელის და ცხვირის ავადმყოფობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ. დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება დილის 8—9 საათ. და საღ. 9—7 ს. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდი მთავრის),

25—1 ქვ. 326

ექიმი შუხმანი

ვენერიული და შარდ-სასქესო ორგანოების ავადმყოფობანი.

მიღება ქალებისათვის 2—3 საათამდე, მამაკაცებისათვის—საღამოს 5—7 საათამდე.

ელისაბედის ქ. 89.

(ქსენიევის ქუჩის პირდაპირ).

25—1.

ექიმი ნ. ვ. ახვერდოვი

დაბრუნდა გ მა იიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება ქალურ ავადმყოფობასა და მეანობაში, სინათლით მკურნალობა.

ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათამდე, საღამოთი 4—7 საათამდე. ყოველ-დღე. ვერის დაღმართი № 15.

25—1.

ექიმი ა. ს. ფონ-ირეტელი

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი). ქალთა საქმიანი, სიფილისის და ქირურგიული ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის. სქესობრივი სისუსტე, ტრიპერი) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარული განათლების გამომცემლობა

ყოველთვიური სანიტარულ-პოპულიარული ჟურნალი

„საუნჯე“

ამით აცხადებს ხელისმომწერთა და მკითხველთა საყურადღებოდ, რომ 1-ლ ნოემბრიდან 1925 წლისა თბილ. აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარული განათლების გამომცემლობის წარმომადგენლობა და საექსპედიციო ნაწილი გადაეცა მოქალაქე ვლადიმერ გიორგის ძე ურუშაძეს და ვასილ ზაქარიას ძე ბოქოლიშვილს, რომელთაც მიენდოთ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში სანგანმანათლებელი ლიტერატურის გავრცელების მიზნით სათანადო აგენტურის მოწყობა. დღეიდან ყოველგვარი ხელშეკრულება სხვა ექსპედიციებთან და ყოველგვარი მანდატები ჩვენი სახელით გაცემული, გაუქმებულია და ხელისმოწერა ყველა ჩვენ გამოცემაზე სწარმოებს მხოლოდ ზემოაღნიშნულ პირების ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით და მათ სახელზე არის გაცემული სათანადო მანდატები და ჩვენ მიერ დადასტურებული საქვითარო წიგნაკები, ვინაიდან ბოლო ხანებში ადგილი ჰქონია ასეთ შემთხვევებს, როდესაც აგენტებს მიუღიათ ხელის მოწერა და ფული ხელისმომწერლებისაგან და არავითარი ცნობა ამის შესახებ რედაქციისათვის არ მიუციათ, რის გამოც ხელისმომწერთ ჟურნალი არ მიუღიათ.

ვსთხოვთ ყველა ასეთ პირებს დაუყოვნებლივ აცნობონ რედაქციას და წარმოადგინონ სათანადო ქვითარი კუთვნილი ნომრების მისაღებად. ნ 151—8—3

გ ა ზ ე თ „კომუნისტი“-ს

მთავარი კანტორა აცხადებს, რომ 1 ნოემბრიდან დაწესებულია განცხადებებზე შემდეგი ტარიფი:

1. სტრიქონი ნონპარელით ტექსტის ბოლოს . . . 40 კაპ.
2. ტექსტში ორჯერ მეტი . 80 კაპ.

განცხადებებს იღებს გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა (რუსთაველის პრ. № 24) და რწმუნებულები, რომელთაც აქვთ სათანადო მოწმობები.

არავითარ საშუამავლო კანტორებს და სარეკლამო ბიუროებს განცხადებების მიღების უფლება არა აქვთ.

მთავარი კანტორა.

0—3

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების ელექტრო ქსელის ქ. განყოფილებასთან

დ ა ა რ ს ე ბ უ ლ ი ა

სამონტაჟო-დამყენებელი ბიურო,

რომელიც ღებულობს როგორც ახალის მოწყობას, ისე ძველი ელექტრო-დადგმულობების გადაკეთებას, ნორმების თანახმად. ძლიერი ელექტრო დენის ელექტრო-დადგმულობების ნორმები და წესები იყიდება ზემოხსენებულ დაწესებულებაში (ფასი 1 აბაზი).

მისამართი: თავისუფლების მოედანი, ქარვასლა მე-2 სართული.

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგე ახრიევი.

ელქგადამყვანის გამგე ბრეგაძე.

მთ. ინჟენერი პროფესორი დიდებულიძე.

თანახმად სასოფლო-სამეურნეო ამხ-ბათა კავშირის

„წითელი ქართლი“-ს

წესდების 82, 83 მუხლებისა შესდგა უკანასკნელის

სალიკვიდაციო კომისია,

რომელიც იუწყება, რომ ყოველივე პრეტენზია, მიმართული „წითელი ქართლი“-ს მიმართ, უნდა იქნეს განცხადებული სალიკვიდაციო კომისიაში (მისამართი: გრაფის ქუჩა № 9) არა უგვიანეს ა. წ. 15 ნოემბრისა, რის შემდეგ კომისიაში შემოტანილი პრეტენზიები არ იქნებიან დაკმაყოფილებულნი.

3-8 375 „წითელი ქართლი“-ს სალიკვიდაციო კომისია.

ქუთაისის მაზრა ქალაქის სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილება, არსებული სამაზრო აღმასკომთან,

ამით აცხადებს, თანახმად თავისი 26 ოქტომბრის 1925 წ. დადგენილებისა, დაფუძნებული ს. ს. ს. რ. დეკრეტისა № 28-ის § 61—64, რომ ქ. ქუთაისში მცხოვრებს, მიხეილ ექვთიმეს ძე, იგივე გერასიმეს ძე, რიკრიკაძეს და მის მეუღლეს ნინო აპოლონის ასულ რიკრიკაძისას გვარი „რიკრიკაძე“ შეეცვალოს „კიკნაძე“-ზე და თუ ვინმეს საწინააღმდეგო ამისა აქვს, დღიდან გამოცხადებისა ორი თვის განმავლობაში შეუძლია მიმართოს ზემოაღნიშნულ დაწესებულებას.

395 1—1 გამგე ჩხაიძე.

ფეხსაცმელი ს.ს.ს.რ. ფეხსაცმელი

შრომის სახ. კომისარიატი

მეჩექმეთა კოლექტივი

„ფეხსაცმელი“

პლეხანოვის ქუჩა, № 67, თვითმშრომლების კლუბის პირდაპირ

ღებულობს შეკვეთებს ყველა ფეხსაცმელებზე

ქალების, კაცების და სხვა ნაკლებ ზომებისა

სპეციალურად არსებობს საბავშვო განყოფილება

მზად ფეხსაცმელების ამორჩევა. მზადდება მასიური და ინდივიდუალური. განსაკუთრებული ყურადღება მიქცეულია სიმაგრეზე და სიკოხტეზე. ფასები ხელის მისაწვდენია. 347 2—2

ელექტრონით და სინათლით

ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

საწოლებით რენტგენი დიარსოჩვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—1

დოქტორი გ. მეგრაბიანი

ფილტვების, გულის და ციების წამლობა ხელოვნური მთის მზით, პნეიმოტორაქსით და ტუბერკულინებით, რენტგენის, და სინათლის, ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 ს. საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი.

მიღება ავადმყოფ. დილით 8 ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღე 1—2 ს. და საღამო 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს. რუსთაველის პროსპექტი № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.

ქალებისთვის 12—1 საათ.

ასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

25—23

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი

კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.

მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.

ექიმი ზ. ა. თარუმოვი

დაბრუნდა აბასთუმნიდან.

ტრიბუნალის ქუჩა № 12.

31 18—1

ექიმი კ. გ. ვართაპეტოვი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

მიღება დილით 8—9 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე.

სურამის ქუჩა № 9, სადგურის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—1.

ექიმი გ. მ. ფხალაძე

კანისა და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—8 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ)

კბილის ექიმი

ტ. ფ ა ღ ა ვ ა

ძნელაძის ქ. (საპიორნაია) № 29 ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის პირდაპირ)

ჰკურნავს კბილებსა და ღრძილებს, და აკეთებს პლომბებსა და ხელოვნურ კბილებს.

მიღება დილით 9—12-ს.

საღ. 4—7-ს. 25—1

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, 9—2 საათ. და 4—6 საათ.

რუსთაველის პროსპ. № 12.

ექიმი ი. დ. თოფურიძე

ლენინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებით) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს: შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ, დილით—7-დან 8 საათამდე. ვენერიულით, საშარდე და სასქესო ორგან. და სიფილისით საღამოობით—5 დან 7 საათ.

მისამართი: ბარნოვის (ყოფ. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩიდან მარჯვნივ (1 უბანი). 25—1

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

დაბრუნდა ტფილისში

და კვლავ განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას დილის 9 საათიდან სრულ 12 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. ყ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56.

2675 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი

ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.

მიღება დილის 9 საათიდან 11 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე, ქალები—დღის 1—2 საათამდე.

საპიორის ქ. № 35 (ყოფ. კადეტთა კორპუსის უკან). 25—1

ექიმი მალაევი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 6—7 საათამდე.

თვალის სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

დაბრუნდა

ექიმი ზანდუკელი

შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონის კაბინეთი.

ავადმყ. მიღება საღ. 6—7 საათ. ლენინის (ოლღას ქ. № 49) ტელ. 4—82

361 25—1

ქიმიურ-ბაქტერიოლოგ. კაბინეთი

ექიმ ნ. პ. ფალიაშვილის

მიიღებს ყოველგვარ მედიკურ ანალიზებს შარდის, სისხლის, ნახველის და სხვა; ვასერმანის რეაქცია (ათაშანგზე), ბუზრედკოსი (ჭლექზე) და სხვა; ანალიზებს მიიღებს მთელი დღე. პირადათ საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა; ბაქრაძის შესახვ. (ყოფ. აგურის) № 10. 25—1

დაიკარგა კომპარტიის წევრობის მანდატი № 1110 მიხეილ ანტონისძე ჩხაიძის სახელზე. ჩ. გ. 389 1—1

დაიკარგა საბჭოთა მუშ. დაზღვევის წიგნაკი № 1015 დავით შარაშიძის სახელზე. ჩ. გ. 393 1—1

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 40090 ვალოდია რუხაძის სახელზე. ჩ. გ. 392 1—1

დაიკარგა კავშირის წიგნაკი № 1205 კარაპეტ გრიგორიანის სახელზე. ჩ. გ. 894 1 1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 14573 და წლიური ბილეთი უფასო მგზავრობის № 426697 მიხეილ ვასილისძე სხილაძის სახელზე. ჩ. გ. 890 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 225 მიხეილ კიმოთესძე მეტონიძის სახელზე ჩ. გ. 397 1—1

დაიკარგა მონადირე ძაღლი „პოინტერი“-ს ჯიშის 30 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, თეთრი, ყვითელ ნიშნებით, 6 თვის, უკანა მარცხენა ფეხზე აჩნია (ნაოპერაციევი) დაღი, სახელად „აია“. მპოვნელს ვთხოვ მაცნობოს შემდეგი მისამართით: ანასტასიევის ქუჩა № 21 ან და ტელეფონით 11—31 და 16—83—გოგიბერიძე.—ძაღლის მომყვანი ან ცნობის მომწოდელი მიიღებს გასამრჯელოს. 2—1 386

ტირაჟი—19.8 სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს საშა წულუკიძის ქუჩა № 4